

თბილისში ჩინელები არალეგალურად ვაჭრობენ A2



"იუნიფესტი" მსოფლიოსთვის A6



გიხაროდენ, გვიხაროდენ.... A7


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 18 ნოემბერი, 2005 წელი. №257 (1117)

ფასი 50 თეთრი


## ამბები

### თბილისში ახალი შინაარსის პლაკატები გამოჩნდა

"ქალაქში მკვლელია," - ორი დღის წინ თბილისში ასეთი შინაარსის პლაკატები გამოჩნდა, რომელმაც ხალხში შიში, ხოლო მთავრობაში გაღიზიანება გამოიწვია.

A2

## ამბები

### ჟურნალისტები გამგებლის - გამგებელი კი ჟურნალისტების წინააღმდეგ

გურჯაანში მოქმედი მედიასაშუალებების წარმომადგენლები რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს, აკაკი სიხარულიძეს დაუპირისპირდნენ. ამ ყველაფრის მიზეზი, სიხარულიძის მიერ ადგილობრივი ტელევიზიით გადაცემული ინტერვიუ გახდა, სადაც მან ჟურნალისტები კორუფციაში და შეკვეთილი მასალების მომზადებაში დაადანაშაულა.

A2

## სამართალი

### გალის რაიონში აფხაზებს დამატებითი ძალები შეჰყავთ

გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში - ოტობაიაში, გაგიდაში, ფიჩორსა და განახლებაში შეყვანილია აფხაზური მილიციის დამატებითი ძალები.

A4

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A4

## ამინდი

| | 18/11 | 19/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 17 | 16 |
| ტყიბული | 19 | 18 |
| სოხუმი | 19 | 17 |
| დმანისი | 11 | 10 |
| გორი | 13 | 13 |
| ონი | 12 | 12 |
| ზუგდიდი | 21 | 19 |
| ახმეტა | 16 | 16 |
| გაგრა | 17 | 15 |
| სამტრედია | 21 | 20 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7975 |
| ევრო | 2.1074 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.1196 |
| რუბლი | 0.0623 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| საზოგადოება | A 8 |
| ტენდერი | B 2 |
| კვირის TV პროგრამა | B 3 |
| სხვადასხვა | B 4 |


# „უკრსპეცექსპორტი" უარს ამბობს საკუთარი ხარჯებით ტექნიკის რემონტზე

## გაფუჭებული საბრძოლო მანქანების სკანდალი გრძელდება

*უხარისხო უკრაინული საბრძოლო მანქანების თაობაზე აგორებულმა სკანდალმა, შესაძლოა, ახალი გაგრძელება პოვოს. საქართველოს სამხედრო უწყებამ უკრაინულ მხარეს ამჯერად ათი თვის წინ შემოტანილი ჯავშანტრანსპორტიორების მწყობრიდან გამოყვანის გამო წაუყენა პრეტენზია. "უკრსპეცექსპორტის" ხელმძღვანელობა კი, რომელიც მიიჩნევს, რომ საქართველოში ექსპლუატაციის ნორმები ირღვეოდა, უარზეა საკუთარი ხარჯებით გაარემონტოს აღნიშნული ტექნიკა.*

კობა ლიკლიკაძე
*სპეციალურად „24 საათისთვის"*

ჯერ კიდევ არ გარკვეულა, თუ რამ გამოიწვია 10 თვის წინ უკრაინაში შეძენილი რამდენიმე ათეული ქვეითთა საბრძოლო მანქანის (ბმპ-2-ის) მწყობრიდან გამოსვლა, მაგრამ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უკრაინულ სახელმწიფო კომპანიას ახალ პრეტენზიას უყენებს. ამჯერად საქმე ეხება 10 ერთეულ ჯავშანტრანსპორტიორ ბტრ-80-ს,

გაგრძელება A3 გვერდზე

# ახლა რთული დროა, ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ

მაია ჭალაგანიძე

*დემოკრატიული ძვრებით, რაც საქართველოში 2 წლის წინ მოხდა და რაშიც აშშ-ს მაშინდელმა ელჩმა საქართველოში რიჩარდ მაილსმა გარკვეული ისტორიული მისია შეასრულა, დასრულდა საწყისი დემოკრატიული ეტაპი. ახლა როგორმე უნდა დაიწყოს ის, რაც ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია – დემოკრატიული ცხოვრება. როგორც ყველგან და ყოველთვის, ეს ჩვენთვისაც ძალიან რთული რამ არის და ამ გზაზე, ჯერ-ჯერობით, შეცდომები სჭარბობს სწორად გადადგმულ ნაბიჯებს. ისეთი ქვეყნის წარმომადგენლისთვის, როგორიც შეერთებული შტატებია, ეს ნორმალური პროცესია. აშშ-ს ახალ ელჩს საქართველოში ჯონ ტეფტს სამოღვაწეოდ ერგო ქვეყანა ჩამოუყალიბებელი დემოკრატიული ინსტიტუტებით, სეპარატისტული კონფლიქტებით, მეზობლებთან მოუგვარებელი ურთიერთობებით, უკონტროლო საზღვრებით. ასე რომ, ყველა პირობა არსებობს იმისთვის, რომ მისი მისიაც ერთგვარად ისტორიული გახდეს.*

გაგრძელება B1 გვერდზე



*ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი.*

# ისრაელის ხელისუფლება ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე შეთანხმდა

## არიელ შარონი დათმობებზე მიდის

ხათუნა გაბიევი

ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი და შრომის პარტიის ახალი ლიდერი ამირ პერეცი მომავალი წლის დასაწყისში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებაზე შეთანხმდნენ. თუმცა, ეს შრომის პარტიის შიდა არჩევნების ჩატარების შემდეგ მოულოდნელი უკვე აღარც იყო. პარტიის ახალი ლიდერი ამირ პერეცი ჯერ კიდევ არჩევნების შედეგების გამოვლენამდე საუბრობდა გამარჯვების შემთხვევაში მმართველი კოალიციიდან "ავოდას" გამოყვანაზე და ქვეყნის პოლიტიკური კურსის ცვლილებაზე, თუ არიელ შარონი ვადამდელი არჩევნების ჩატარებაზე არ დათანხმდებოდა მას. როგორც ირკვევა, დიპლომატიური ჩიხიდან გამოსავალი უკვე მოძებნილია და არც შრომის პარტიას მოუწევს მმართველი კოალიციის დატოვება.

გაგრძელება A5 გვერდზე



*არიელ შარონი.*

# კორუფციის მაღალი რისკი

## ბიუროკრატიულ რეიტინგში საქართველო მეორე ადგილზეა

*ამ ცოტა ხნის წინათ მსოფლიო ბანკმა იმ კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ ბიუროკრატიას ზომავს. ავტორიტეტული ორგანიზაციის კვლევამ აჩვენა, რომ პოსტრევოლუციურ საქართველოში ბიუროკრატია კვლავაც მაღალია.*

მარიამ ჭაჭავაძე

მსოფლიო ბანკის ხსენებული კვლევის შესახებ დეტალურ ინფორმაციას ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში არსებული ბიუროკრატიის თვალსაზრისით მეორე ადგილი უკავია. ამ რეიტინგში პირველი ადგილი ყაზახეთს უჭირავს.

ერთი საინტერესო დეტალი: სექტემბერში, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულმა ერთი კვლევის შედეგებმა საქართველოს ხელისუფლებას საკუთარი თავის გაპიარების კიდევ ერთი კარგი საშუალება მისცა. კვლევა ეხებოდა 2004 წელს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გატარებული რეფორმების რაოდენობას. ამ კვლევის თანახმად, საქართველო რეფორმატორი ქვეყნების სამეულში მოხვდა. შეგახსენებთ, მაშინ ჩვენი ქვეყანა მეორე ადგილზე გავიდა. სხვათა შორის, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის ეს კვლევა გულისხმობდა ქვეყნებში გატარებულ რეფორმებს ბიუროკრატიის ნაწილშიც.

მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ზემოთ ხსენებულ კვლევაში, ძირითადად, ის მასალებია მოცემული, რომლებიც მეწარმეებისთვის პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის დროს არის აუცილებელი. აქვე მითითებულია ჩინოვნიკთა ხელმოწერებისა და შესაბამისი პროცედურებისთვის საჭირო დღეების რაოდენობაც.

ამ ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოში მეწარმეს ქვეყნის ტერიტორიიდან ტვირთების გასატანად სჭირდება 9 დოკუმენტი, 35 ხელმოწერა და 54 დღის ლოდინი. იმპორტის შემთხვევაში დოკუმენტების რაოდენობა 15-მდე იზრდება, ხელმოწერა - 42-მდე და კალენდარული დღეების რაოდენობა 52-მდე მცირდება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# პარლამენტი და საგარეო უწყება „საქართველოსთვის არასასურველ პირთა" სიას შეადგენს

პარლამენტი და საგარეო საქმეთა სამინისტრო იმ პირთა "შავი სიის" შედგენაზე დაიწყებს მუშაობას, რომელთა ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე არასასურველია.

ქართული მხარე პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივით იწყებს მუშაობას საკუთარი "შავის სიის" შედგენაზე. სიის შედგენის იდეა ოთხშაბათს მას შემდეგ წარმოიშვა, რაც რუსეთის საელჩომ უარი განუცხადა საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს გივი თარგამაძეს დროულად ვიზის გაცემაზე. გივი თარგამაძე პეტერბურგში დსთ-ს საპარლამენტო ასამბლეის სამიტში მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრებოდა.

საქართველოში რუსეთის ელჩი ვლადიმირ ჩხიკვიშვილი აცხადებს, რომ რუსეთის ხელისუფლებას ქართველი პოლიტიკოსების არავითარი "შავი სია" არ გააჩნია: "არსებობს მხოლოდ ის სია, რომელშიც გაერთიანებული პირები რუსეთის ფედერაციას საფრთხეს უქმნიან; ასეა ნებისმიერ სხვა ქვეყანაშიც. არსებობს, მაგალითად, ტერორისტების, კონტრაბანდისტებისა და ნარკომოვაჭრეების სიები და ა.შ. ბატონი თარგამაძე არც ერთ სიაში არ ირიცხება," - აცხადებს ვლადიმირ ჩხიკვიშვილი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სამხრეთ კავკასიის მედიის ფორუმი თბილისში

სამხრეთ კავკასიის მედიის მეორე ყოველწლიური კონფერენცია, რომელიც გუშინ ეუთო-ს ეგიდით თბილისში გაიხსნა, საზოგადოებრივ მაუწყებლობას და ინტერნეტს მიეძღვნა. კონფერენციაში მონაწილე ჟურნალისტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საქართველოდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან იმსჯელეს ამ ქვეყნების მედიის წინაშე დღეისთვის არსებულ პრობლემებზე.

**"სამხრეთ კავკასიაში ყოველწლიური მედია-კონფერენციების გამართვისკენ ცენტრალურ აზიაში ჩატარებული ანალოგიური ფორუმების წარმატებულმა გამოცდილებამ გვიბიძგა. ჩვენ შევკრიბეთ ჟურნალისტები, მედიის პრობლემებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების, ხელისუფლების წარმომადგენლები, სპეციალისტები სხვადასხვა ქვეყნიდან. წინა კონფერენციაზე განვიხილეთ ინფორმაციის მისაწვდომობისა და ცილისწამების დენორმატიზაციის საკითხები. წლევანდელი კონფერენცია ორ თემას ეძღვნება – საზოგადოებრივ მაუწყებლობას და კონტროლს ინტერნეტზე,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბარში მედიის თავისუფლების საკითხებში ეუთო-ს წარმომადგენლის ბიუროს უფროსმა მრჩეველმა ალექსანდრ ბოლდირევმა. მისი თქმით კონფერენციის მიზანი გამოცდილების, პრობლემების ერთმანეთისთვის გაზიარებაა. მისი მონაწილეები შეიმუშავებენ ერთობლივ დეკლარაციას და რეკომენდაციებს მთავრობისათვის.

რა მსგავსება და განსხვავებებია დღეისთვის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს შორის მედიის მდგომარეობის თვალსაზრისით? რა მოუტანა მეზობელ ქვეყნებს საზოგადოებრივი მაუწყებლობის შექმნამ? - ამ კითხვებით "24 საათმა" ფორუმის მონაწილეებს მიმართა.

ლევან რამიშვილი ("თავისუფლების ინსტიტუტი"): **"არსად მედია ბოლომდე თავისუფალი არ არის. ამის განმაპირობებელი ფაქტორი თავად ჟურნალისტებში, რედაქციების მუშაობაშიცაა. არ არსებობს დამოუკიდებლობის ტრადიცია. კანონები ქაღალდზე რჩება, რადგან ჟურნალისტებსაც ეზარებათ სამართლებრივი ინსტრუმენტების გამოყენება. გარდა ამისა, სამივე ქვეყანას ახასიათებს მსგავსი ეკონომიკური მდგომარეობა, სარეკლამო ბაზრის მცირე მოცულობა. თუმცა, ჩვენს მეზობლებთან მედიას უფრო მეტი პრობლემა უშუალოდ ხელისუფლებისაგან ექმნება."**

გაგრძელება A3 გვერდზე




1995 წელი შეიძლება ჩაითვალოს ბორჯომის მინერალური წყლის ახალი ისტორიის ათვლის წერტილად. **"საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია"** (**Georgian Glass & Mineral Waters Co N. V.**) ქართველმა ბიზნესმენებმა -- მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ დააარსეს. ამ პერიოდისათვის, საქართველოში მინერალური წყლის წარმოებამ ისტორიულ მინიმუმს მიაღწია. ქვეყანა აწარმოებდა 70-ჯერ ნაკლებ მინერალურ წყალს, ვიდრე საბჭოთა კავშირის დროს, ანუ მხოლოდ 5 მილიონი ბოთლი წელიწადში. 1995 წლისათვის, საყოველთაოდ ცნობილი ბრენდისგან მხოლოდ ბრწყინვალე ისტორიაღა იყო შემორჩენილი.




"ბორჯომის" საგაზეთო რეკლამა - 1926 წ.

მამუკა ხაზარაძეს და მის გუნდს მთელი რიგი ურთულესი ამოცანა უნდა გადაეჭრა. **"ბორჯომის"** ისტორიული ჩამომსხმელი N1 და N2 ქარხნების აღჭურვილობა მოძველებული და მწყობრიდან გამოსული იყო. ხაშურის მინის ქარხანა კი სავალალო მდგომარეობაში. წლების განმავლობაში, საწარმოს მილიონობით დოლარის ვალი ჰქონდა დაგროვილი.

ყველა ამ ამოცანის გადასაჭრელად აუცილებელი იყო ინვესტიციების მოზიდვა. მამუკა ხაზარაძე დაუკავშირდა ჰოლანდიელ ბიზნესმენს ბობ მეიერს და დაარწმუნა კაპიტალდაბანდების რენტაბელობაში. ასე გახდა ჰოლანდიური ფონდი **"Venture Capital Investment" (VCI)** ქართული კომპანიის პირველი სერიოზული ინვესტორი. პირველ ეტაპზე მოხდა რამდენიმე მილიონი დოლარის ვალის გასტუმრება, მოგვიანებით 3.5 მილიონი დოლარი დაიხარჯა ხაშურის მინის ქარხნის გადაიარაღება-რეკონსტრუქციაზე.



"ბორჯომის" ბოთლების შეფუთვა - 1905 წ.

1997 წელს გამოცხადდა ტენდერი ბორჯომის მინერალური წყლის რესურსების სარგებლობაზე. ტენდერში **"საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ"** გაიმარჯვა და შედეგად, მოიპოვა ლიცენზია **"ბორჯომის"** ექსკლუზიურ ჩამოსხმაზე 10 წლის ვადით.

საერთაშირისო ბაზარზე "ბორჯომის" წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი კომპანიის მიერ საერთაშორისო მენეჯმენტზე დაყრდნობაა. კომპანიაში ამბობენ, რომ ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა დიდი წარმატების მიღწევა. კომპანიის სწორ მენეჯმენტს ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ჰარვარდის უნივერსიტეტში იკითხება ლექცია "ბორჯომის" შესახებ. სტუდენტებს არა მხოლოდ საქართველოსა და ბორჯომის ისტორიას აცნობენ, არამედ კონკრეტულად ესაუბრებიან საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიის, როგორც წარმატებული ბიზნეს-სუბიექტის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე, იმ პირებზე, ვინც ეს კომპანია შექმნა, ასევე მათზე, ვინც თანამედროვე მინერალური და სასმელი ბუტილირებული წყლების მსოფლიო ბაზარზე ამინდს ქმნის. ლექციათა ეს ციკლი, ანუ იგივე **ჰარვარდის ქეისი** საუბრობს ყველა იმ დეტალზე, რომელიც "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიას", ქართველ თუ უცხოელ ინვესტორსა და პარტნიორს გადახდა ფორმირების პროცესში. განსაკუთრებით ხაზგასმულია ის მეთოდები, რომელთა მეშვეობითაც ინვესტორებმა შეძლეს პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი კორუფციისა და კრიმინალური გავლენის დაძლევა. თანამედროვე პრინციპებზე მომუშავე კომპანიის ჩამოყალიბება და საერთაშორისო ბაზარზე თვალსაჩინო ადგილის დამკვიდრება.

BORJOMI
ბორჯომი
БОРЖОМИ
GG&MW Co.N.V.
საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია

# ჟურნალისტები გამგებლის - გამგებელი კი ჟურნალისტების წინააღმდეგ

*გურჯაანში მოქმედი მედიასაშუალებების წარმომადგენლები რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს, აკაკი სიხარულიძეს დაუპირისპირდნენ. ამ ყველაფრის მიზეზი სიხარულიძის მიერ ადგილობრივი ტელევიზიით გადაცემული ინტერვიუ გახდა, სადაც მან ჟურნალისტები კორუფციაში და შეკვეთილი მასალების მომზადებაში დაადანაშაულა. მოგვიანებით აკაკი სიხარულიძემ აღნიშნულის გამო ბოდიში მოიხადა და განმარტა, რომ მან ასეთი სახის განცხადება, რეგიონულ გაზეთ "იმედის" მთავარი რედაქტორის, გელა მთივლიშვილის მისამართით გააკეთა. ეს უკანასკნელი კი გამგებელს სასამართლოთი ემუქრება.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

დავიდარაბა გურჯაანის რაიონის პირველ პირსა და ჟურნალისტებს შორის მას შემდეგ გამწვავდა, როცა გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი აკაკი სიხარულიძე ადგილობრივი ტელეკომპანიის ეთერით, რაიონში მოქმედ ჟურნალისტებს სპეცსამსახურებით დაემუქრა და კორუმპირებული უწოდა. რეგიონის მედიამ კი პროტესტის ნიშნად გამგეობის შენობის წინ აქცია გამართა. ისინი სიხარულიძისგან ბოდიშის მოხდასთან ერთად, მის მიერ გაკეთებული განცხადების ახსნასაც ითხოვდნენ. **"შეურაცხმყოფელი იყო რაიონის გამგებლის მიერ ადგილობრივი ტელევიზიით გაკეთებული მწვავე განცხადება, მან, ფაქტობრივად, დაადანაშაულა ყველა ჟურნალისტი. ამასთან ერთად, მისი კომენტარი თათბირების საჯაროობის შესახებ აბსოლუტურად სცილდება ადმინისტრაციული კანონის ფარგლებს. მან დააკონკრეტა, რომ მუშა თათბირებზე ჟურნალისტების დასწრება მისი კეთილი ნებაა. ამის გამო, დღეს ჩვენ ადმინისტრაციული კოდექსი ვაჩუქეთ, იქნებ გაერკვნენ, რომ ეს კეთილი ნება კი არა, კანონის დაცვაა,"** - ამბობს კახეთის რეგიონული გაზეთის "სპექტრის" მთავარი რედაქტორი მაია ყალაბეგაშვილი.

მოგვიანებით, რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ჟურნალისტებს ბოდიში საჯაროდ მოუხადა და მისი განცხადების კონკრეტული მისამართი დაასახელა. აკაკი სიხარულიძემ გაზეთ "იმედის" რედაქტორი მის დაშანტაჟებაში დაადანაშაულა. **"იმის გამო, რომ სოციალური პაკეტიდან მას 35 ლარიანი დახმარება მიეღო, საკუთარ დედმამიშვილებზე უარი თქვა და თავისი სოფლის გამგებელს იძულებით დააწერინა განცხადება, თითქოს იგი ობოლი იყო და დახმარება ეკუთვნოდა"**, - ამბობს სიხარულიძე.

საგულისხმოა, რომ "იმედი" კახეთში სწორედ ის გაზეთია, რომელსაც გამგეობამ უპირატესობა მიანიჭა და მიმდინარე წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2 ათას 500 ლარი იმის გამო გადაურიცხა, რომ გაზეთში გამგეობის ბიუჯეტი და დებულებები გამოქვეყნდა.

აღნიშნული მედიასაშუალების ხელმძღვანელის მიმართ კი, გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს პრეტენზიები მას შემდეგ გაუჩნდა, რაც მის წინააღმდეგ ზედიზედ, როგორც აკაკი სიხარულიძე ამბობს, შეურაცხმყოფელი სტატიები გამოაქვეყნა. გელა მთივლიშვილი სიხარულიძის ბრალდებებთან დაკავშირებით სარჩელის შეტანას რაიონულ სასამართლოში გეგმავს. **"რასაც გამგებელი ლაპარაკობს, ეს არის ბინძური ბრძოლის გაგრძელება და მას სასამართლოში მოუწევს პასუხისგება,"** - ამბობს გელა მთივლიშვილი.

აღსანიშნავია, რომ მორალურად შეურაცხმყოფელი სტატიების გამო გაზეთ "იმედს" ეკონომიკურ დანაშაულთან, კორუფციასთან და კონტრაბანდასთან ბრძოლის კავშირი სასამართლოს ძალით 50 ათას ლარს სთხოვს. ამ დროისთვის კი პროკურატურა გაზეთის რედაქტორის ცემის, ოფისის დარბევის და მის საცხოვრებელ ბინაში ხელყუმბარის შეგდების ფაქტს იძიებს.

# თბილისში ჩინელები არალეგალურად ვაჭრობენ

ნათია მსხილაძე

*საქართველოში ჩინელთა რაოდენობა ელვის სისწრაფით იზრდება. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ამ ეტაპზე საქართველოში 550 ჩინელია.თბილისში ჩამოსული ჩინელები საქართველოს კანონებს არღვევენ, რადგან გარე ვაჭრობით არიან დაკავებული და ქართველი გარემოვაჭრეებისგან განსხვავებით, მათ უკანონო საქმიანობას არავინ აკონტროლებს. კანონის თანახმად, გარევაჭრობის შემთხვევაში, კანონის დამრღვევი ჯარიმდება ან ორი კვირით აპატიმრებენ.*

გარევაჭრობის ბაზარზე ერთმანეთის კონკურენტები ჩინელები და ბოშები გახდნენ. ჩინელები არალეგალურად ვაჭრობენ, რადგან ჭიაბერაშვილის მერობის დროს, გარევაჭრობა აიკრძალა. კანონის დამრღვევი ჩინელები, ერთ ლარად გაყიდული წინდით ვერც საქართველოს ბიუჯეტში შეიტანენ თუნდაც მინიმალურ გადასახადს.

როგორც თბილისის პრემიერმა, თემურ ქურხულმა განაცხადა, ქალაქის მთავრობა ჩინელების გარევაჭრობასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს. მისივე თქმით, ნებისმიერ შემთხვევაში გარევაჭრობა არალეგალურია. **"გარევაჭრობა, რა თქმა უნდა, უკანონოა. ჩვენ ჩინელების გარევაჭრობასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ვფლობთ, თუმცა ამ საკითხით აუცილებლად დავინტერესდებით. ბოლო დროს, გარევაჭრობა წერეთლისა და ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე ნამდვილად შეინიშნება, რასაც აუცილებლად მივხედავთ,"** - აღნიშნა თემურ ქურხულმა და აქვე დასძინა, რომ გარე ვაჭრობის შემთხვევაში, პატრულს აქვს უფლება, გარემოვაჭრე დააჯარიმოს, ან ორი კვირით დააპატიმროს. ფაქტია, რომ მსგავსი რამ გარემოვაჭრე ჩინელებს ნამდვილად არ შეხებია.

ჩინელები, ჩინური ენის გარდა, არც ერთ ენას არ ფლობენ. თარჯიმნით სარგებლობა კი საკ-



*ჩინელი მოვაჭრე თბილისის ტროტუარზე.*

მაოდ ძვირი სიამოვნებაა, რაც ქუჩაში მოვაჭრე ჩინელებს ნამდვილად არ უღირთ. მათთან კონტაქტი მხოლოდ ჟესტიკულაციით არის შესაძლებელი. გარემოვაჭრე ჩინელებმა ხელების მეშვეობით მხოლოდ იმის ახსნა მოახერხეს, რომ ისინი საქართველოში თვითმფრინავით ჩამოვიდნენ.

როგორც გავარკვიეთ, ჩინეთიდან თბილისში ჩამოფრენა, მოსკოვის გავლით, 553 დოლარი ჯდება. მგზავრობის ხარჯების გარდა, ერთი თვის განმავლობაში მათ თბილისში ყოფნა, სულ ცოტა, 400 დოლარამდე დაუჯდებათ (რა თქმა უნდა, ამაში კომფორტული ცხოვრება არ იგულისხმება, რადგან წვიმაში და ქარში მდგომი ჩინელები, მაქსიმუმ, სამლარიან ნივთს ყიდიან). თუ მათ მიერ გაყიდულმა საქონლის საფასურმა დღიურად ოცი ლარი შეადგინა, მაშინ თვიურად ჩინელების ბიუჯეტი 600 ლარი გამოდის. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ ჩინელები თავიანთ სამშობლოში დასაბრუნებელ ფულსაც ვერ შეაგროვებენ და საქართველოში ყოფნას ან ზარალის საფასურად, ან კიდევ არალეგალურად განაგრძობენ.

საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოში სულ 550 ჩინელია. **"2005 წლის მონაცემებით, საელჩოებში 70 ვიზაა გაფორმებული. გარდა ამისა, საკონტროლო გამტარ პუნქტებში არსებულ სავიზო პუნქტებში გაცემულია 110-მდე ვიზა. საგარეო საქმეთა სამინისტროში დაახლოებით 100-მდე ვიზის მოქმედების ვადაა გაგრძელებული (ვიზის ტიპები განსხვავებულია. პირს შეიძლება ჰქონდეს ორჯერადი ან მრავალჯერადი შემოსვლის და გასვლის ვიზა). ამ ეტაპზე ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 550-მდე ჩინელი უნდა იყოს,"** - აღნიშნა საკონსულო დეპარტამენტის უფროსმა, გია ტაბატაძემ.

რაც შეეხება, ჩინელების საქართველოში შემოსვლის გზებს. როდესაც საქართველოს საელჩო ჩინეთში არ არსებობდა, მაშინ მათ ერთ-ერთ საკონსულო დაწესებულებაში უნდა აეღოთ ვიზა. აქედან გამომდინარე, საკონსულო დეპარტამენტის განცხადებით, ჩინელებს რომ რომელიმე საელჩოში მოეთხოვათ ვიზა, გასაკვირი არ არის. **"მაქვს ინფორმაცია, რომ სომხეთსა და აზერბაიჯანში, ჩვენს საელჩოებში, ამ წელს ჩინეთის მოქალაქეებზე დაახლოებით 70 ვიზაა გაცემული. მათი გარკვეული ნაწილი ტურისტული მიზნით შემოდის, რათა ამიერკავკასიის ქვეყნები დაათვალიეროს. ტურისტული ვიზის ვადა სამი თვეა,"** - აცხადებს გია ტაბატაძე.

არალეგალურად მოვაჭრე ჩინელების რიცხვი, მართალია, დიდია, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც უკანონო ვაჭრობას ერიდებიან და საქართველოს ბიუჯეტის შემოსავალზეც ფიქრობენ. როგორც ერთ-ერთი ჩინური მაღაზიის მფლობელმა, ლი ფენმა გვითხრა, მას საქართველოში ჩამოსვლის სურვილი ტელევიზორიდან მიღებული ინფორმაციის შემდეგ გაუჩნდა. **"როდესაც საქართველოში ჩამოვედი, მაღაზიის გახსნა გადავწყვიტე. კანონიერ ბიზნესს ვაწარმოებ და ბიუჯეტშიც გადასახადებს კანონიერად ვიხდი. გარემოვაჭრე ჩინელებთან არანაირი კავშირი არ მაქვს. მსგავსი საქმიანობის წინააღმდეგი ვარ,"** - აცხადებს ლი ფენი. ქართულად ილიად წოდებული ლიფენი მიიჩნევს, რომ მის მაღაზიაში საკმაოდ დაბალი ფასებია და, შესაბამისად, მყიდველთა რაოდენობა დიდია. **"გასაყიდ საქონელს ფასის შესაბამისი ხარისხი აქვს. ჯერჯერობით, ერთწლიანი ვიზა მაქვს აღებული, თუმცა დიდი სურვილი მაქვს, რომ საქართველოში დავრჩე და ქართული ენაც შევისწავლო, რათა მომხმარებელთან მეტი კონტაქტი დავამყარო,"** - აღნიშნა ლიფენმა.

უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წელს ჩინეთში ფრინველის გრიპის ფაქტი დაფიქსირდა, თუმცა სპეციალისტების განცხადებით, საქართველოში ჩინელების შემოსვლით ფრინველის გრიპის გავრცელება გამორიცხულია, რადგან ამ ვირუსს ადამიანიდან ადამიანზე გადასვლის თვისება არ გააჩნია. **"ჩინელების საქართველოში შემოსვლა ფრინველის გრიპის გავრცელების თვალსაზრისით საშიშროებას არ წარმოადგენს. საფრთხე მაშინ შეიქმნება, თუ ჩინეთში პანდემიას ექნა ადგილი. ფრინველის ვირუსს ადამიანიდან ადამიანზე გადასვლის თვისება რომ შეეძინა, მსგავსი რამ მსოფლიოს მასშტაბით არ დაფიქსირებულა,"** - აცხადებს დაავადებათა კონტროლისა და სტატისტიკის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე შოთა ცანავა.

# თბილისში ახალი შინაარსის პლაკატები გამოჩნდა

"ქალაქში მკვლელია," - ორი დღის წინ თბილისში ასეთი შინაარსის პლაკატები გამოჩნდა, რომელმაც ხალხში შიში, ხოლო მთავრობაში გაღიზიანება გამოიწვია.

პლაკატები, ძირითადად, მთაწმინდა-კრწანისისა და ვაკე-საბურთალოს რაიონებში იყო გაკრული (კერძოდ, რუსთაველის, ჭავჭავაძისა და მელიქიშვილის გამზირებზე). მათი რაოდენობა თხუთმეტს აღწევდა. გაურკვევლობაში ჩავარდნილი, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი მხოლოდ ერთადერთ კომენტარს აკეთებდა, რომ **"მსგავსი შინაარსის პლაკატების გაკვრა მის სამსახურთან არ შეუთანხმებიათ".**

პლაკატების გაკვრის მიზეზებს ვერც თბილისის მკვიდრნი ხსნიდნენ. "ვერ გეტყვით, ვისი იდეით შეიძლებოდა მსგავსი შინაარსის პლაკატების გაკვრა, თუმცა ფაქტია, რომ მოსახლეობაში გარკვეული შიში გამოიწვია," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას თბილისის მოქალაქე სოფო ჯინჭარაძემ.

უნდა აღინიშნოს, რომ პლაკატებმა მოსახლეობაც და ხელისუფლებაც სერიოზულად დააფიქრა. სავარაუდოდ, პლაკატების გაკვრას რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის საპროტესტო PR-აქციას, ან გარკვეულ სამართლებრივ საკითხებს უკავშირებდნენ.

დედაქალაქში ღამით გაკრულმა ახალი შინაარსის პლაკატებმა სიტუაცია უფრო გაამძაფრა. "მოკლულია 28 წლის ზაზუშა", "16 წლის თიკო მოკლეს", "20 წლის დათუნა მოკლეს"...

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი კობა სუბელიანი პლაკატების გამკვრელთა ვინაობის დასადგენად გვიან ღამით ქალაქის ცენტრში გავიდა. ერთ-ერთი პლაკატის გაკვრისას შეამჩნიეს უცნობი პირები, რომლებმაც გაქცევა მოახერხეს. სუბელიანის თქმით, მისთვის ამ პირთა ვინაობა უცნობია. **"ჩემი თანამშრომლები ქალაქის ცენტრის გასაკონტროლებლად მომხდარი შემთხვევის გამო გავუშვი. ისინი გავაფრთხილე, მსგავსი პლაკატების გაკვრის მცდელობისთანავე ჩემთვის ეცნობებინათ. ადგილზე მისვლისას სამი სპეცტანსაცმლიანი მუშა დამხვდა. ისინი ამწეთი იყვნენ მოსულები. რას უნდა უკავშირდებოდეს მსგავსი შინაარსის პლაკატების გაკვრა, ჩემთვის უცნობია. ასეთი პლაკატები ხალხისთვის შოკის მომგვრელია. ერთადერთი ის ვიცი, რომ მსგავს პლაკატებს აუცილებლად ჩამოვხსნით. როგორც მითხრეს, ეს პლაკატები შესაძლოა ანტინარკოტიკულ აქციასაც უკავშირდებოდეს,"** - განაცხადა კობა სუბელიანმა "24 საათთან" საუბრისას.

*24 საათი*

## მოკლედ

### ნოღაიდელი ორდღიანი ვიზიტით ყაზახეთში მიემგზავრება

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი დღეს ორდღიანი სამუშაო ვიზიტით ყაზახეთში გაემგზავრება. დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრები ყაზახეთის პრეზიდენტ ნურსულთან ნაზარბაევთან და ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. პრემიერ-მინისტრთან ერთად ქართული დელეგაციის შემადგენლობაშია ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური. ვიზიტისას განიხილება საქართველოსთვის ყაზახური გაზის მოწოდების საკითხები. ზურაბ ნოღაიდელი საქართველოში 19 ნოემბერს დაბრუნდება. **ინტერპრესნიუსი**

### სალომე ზურაბიშვილი მხარდამჭერებს ფოთში შეხვდა

საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი სალომე ზურაბიშვილი მხარდამჭერებს ფოთში, ნიკო ნიკოლაძის ძეგლთან შეხვდა. ზურაბიშვილის თქმით, ეს არ იყო წინასწარ დაგეგმილი შეხვედრა და ფოთის მოსახლეობასთან გასაუბრება სპონტანურად მოხდა. ფოთის მცხოვრებლები "სალომე ზურაბიშვილის მოძრაობის" ლიდერს ქალაქის პრობლემების, ნავსადგურში მიმდინარე შემცირების, უმუშევრობის და მეზღვაურების დაუცველობის შესახებ ესაუბრნენ. "მე თქვენი პრობლემები მოვისმინე, მაგრამ მათი გადაწყვეტა ხელისუფლების პრეროგატივაა," - განაცხადა საპასუხოდ სალომე ზურაბიშვილმა.

ჯერჯერობით, ფოთში არ არის დაფუძნებული ექსმინისტრის მოძრაობის ოფისი. ამ მიზნით, სალომე ზურაბიშვილი საპორტო ქალაქში დაბრუნებას რამდენიმე თვეში გეგმავს. სალომე ზურაბიშვილმა არ დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ იგი საქართველოს პარლამენტში კენჭისყრას ქალაქ ფოთიდან აპირებს. **ინტერპრესნიუსი**

### საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის ვიზების გაცემა საგრძნობლად გართულდება

ორშაბათიდან საქართველოს მოქალაქეებს რუსეთის ვიზების აღება მნიშვნელოვნად გაურთულდებათ. ამ ინფორმაციას საქართველოში რუსეთის ელჩი ვლადიმერ ჩხიკვიშვილიც ადასტურებს და შექმნილ ვითარებას, გარკვეულწილად, ქართული მხარის მიერ რუსი სამხედროებისთვის ვიზების გაუცემლობას უკავშირებს. ჩხიკვიშვილის თქმით, უკვე რამდენიმე თვეა, ქართული მხარე რუს სამხედროებს ვიზებს არ აძლევს და ამ საკითხის მოგვარება დღემდე ვერ ხერხდება. რუსეთის ელჩის განცხადებით, შექმნილი ვითარების მიუხედავად, რუსეთი ყველანაირად ცდილობს, რომ ვიზების აღებასთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეებს პრობლემები არ შეექმნათ. ჩვენ ვიზის მიცემაზე რუსეთში გამგზავრების მსურველთა მხოლოდ 7 პროცენტს ვეუბნებით უარს, მაშინ, როცა სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში ეს მაჩვენებელი 40-50 პროცენტს აღწევს. **ინტერპრესნიუსი**

### თბილგაზმა მოსახლეობისთვის აირის უკანონოდ მოხმარებაზე ამნისტია გამოაცხადა

სადისტრიბუციო კომპანია "თბილგაზი" მოსახლეობის სექტორისთვის ამნისტიას აცხადებს. ამის შესახებ "თბილგაზის" გაკოტრების მმართველმა გიორგი გვიჩიანმა კომპანიის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. "თბილგაზის" ხელმძღვანელმა შესაბამის ბრძანებას ხელი უკვე მოაწერა. ბრძანების მოქმედების ვადა 3 დეკემბერს იწურება.

"ყველა ის მოსახლე, რომლებიც "თბილგაზის" ძველი თანამშრომლების ან შპს-ების მოტყუების შედეგად არალეგალურად მოიხმარდნენ გაზს უფასოდ, ასლარიანი ჯარიმის გადაუხდელად გახდებიან "თბილგაზი"-ს აბონენტები," - განაცხადა გვიჩიანმა. მისი თქმით, აღნიშნული შეღავათი მხოლოდ მოსახლეობაზე ვრცელდება და იმ სუბიექტებს, რომლებიც არალეგალურად მოიხმარენ გაზს, "თბილგაზის" ბიზნესცენტრებში დარეგისტრირების საშუალება 3 დეკემბრამდე ეძლევათ. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . დიზაინი: გიორგი ხმალაძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია

# სამხრეთ კავკასიის მედიის ფორუმი თბილისში

პირველი გვერდიდან

ელინა პოლოსბეკიანი ("ერევნის პრეს-კლუბი"): **"სომხეთში ყველა ტელემაუწყებელი ოლიგარქიულია, ანუ მათი მფლობელები ხელისუფლებასთან დაახლოებული მეწარმეები არიან, რაც მათ საქმიანობაზე აისახება. პრესა უფრო მეტად პლურალისტურია. გაზეთები სხვადასხვა მიმართულებისაა, თუმცა მათი ტირაჟები მიზერულია და გავლენა საზოგადოებრივ აზრზე ტელევიზიასთან შედარებით უმნიშვნელოა. გარდა ამისა, პრესა საკუთარ თავში ჩაიკეტა და მკითხველისთვის გასაგები ენით აღარ წერს. საზოგადოებრივი მაუწყებლობის საბჭოს შექმნის პროცედურა პრეზიდენტს აძლევს საშუალებას, დანიშნოს სამეთვალყურეო საბჭო. საბჭოს მიერ ვაკანსიების დასაკავებლად ჩატარებული პირველივე კონკურსის შედეგებმა აჩვენა, რომ არხის საინფორმაციო პოლიტიკა უცვლელი დარჩა. ქვეყანამ შეასრულა ვალდებულება ევროპის საბჭოს წინაშე, თუმცა ეს მხოლოდ სახელმწიფო არხისთვის აზრის გამოცვლა გახდა."**



*მედია სამხრეთ კავკასიაში - პრობლემები ერთმანეთს ჰგავს.*

არიფ ალიევი (აზერბაიჯანის ჟურნალისტთა კავშირი "იენი ნესილი", გაზეთ "გუნ სეგერ"-ის რედაქტორი): **"ჩვენთვის საერთო პრობლემაა დამოუკიდებლობა, რაც ეკონომიკურ საკითხებს, თავის გატანას უკავშირდება. ყველაფრის საფუძველი ეკონომიკური მხარეა. არის სხვაობები კანონმდებლობაში, ჟურნალისტურ კულტურაში, პროფესიულ დონეში. ჩვენს პოლიტიკურ კულტურაში შეიძლება ყველაზე კარგი კანონიც დამახინჯდეს. ევროპული სტანდარტის კანონმდებლობის საფუძველზე მახინჯი მედიასაშუალებები იქმნება. საზოგადოებრივი ტელევიზიის შექმნის სომხეთის და აზერბაიჯანის გამოცდილება ძალიან ჰგავს ერთმანეთს. საზოგადოებრივი მაუწყებლობა ვერ გახდა ახალი მოვლენა მედია-სივრცეში. ის გახდა უფრო სუსტი ასლი მანამდე არსებული სტრუქტურისა. ჩვენთან საზოგადოებრივი არხის ხელმძღვანელად დაინიშნა სახელმწიფო ტელევიზიის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, რომელიც საზოგადოებაში პოლიტიკურად ანგაჟირებული ჟურნალისტის სახელით სარგებლობს. თუმცა, ჩემი აზრით, საქართველოში არის იმის იმედი, რომ წარმატებული საზოგადოებრივი მაუწყებლობა შეიქმნება."**

# სერგეი ბაგაფში აფხაზეთიდან საომარი მოქმედებების განახლებას პროგნოზირებს

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შემთხვევაში აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი **სერგეი ბაგაფში** საომარი მოქმედებების განახლებას არ გამორიცხავს.

ამის შესახებ სერგეი ბაგაფშმა გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის ევროპული ოფისის დირექტორის მოადგილესთან **უდო იანცთან** გამართულ შეხვედრაზე განაცხადა.

მისივე თქმით, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ყოველწლიურად ზრდის სამხედრო ბიუჯეტს, არმიის წვრთნასა და აღჭურვაში კი დასავლეთის ქვეყნები და აშშ აქტიურად ეხმარება, საქართველოს პარლამენტის მიერ კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესრულება "ყოვლად დაუშვებელია" და ეს "ომისკენ მიმავალი გზაა".

ბაგაფში უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამოც, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა საქართველოს სამხედრო ძალებში მიმდინარე პროცესებს და პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის "სამხედრო რიტორიკით გაჯერებულ განცხადებებს ყურადღებას არ აქცევს."

ბაგაფშის აზრით, კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობოების გაყვანა იმ შემთხვევაშიც დაუშვებელია, თუ მხარეებმა "კონფლიქტის ზონის უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიების შესახებ" დეკლარაციის ხელმოწერა შეძლეს.

*24 საათი*

# პარლამენტი და საგარეო უწყება „საქართველოსთვის არასასურველ პირთა" სიას შეადგენს

პირველი გვერდიდან

ქართველი პარლამენტარების განცხადებით, სია ჯერ შედგენილი არაა, თუმცა მასზე მუშაობა უახლოეს დღეებში დასრულდება. საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი **გიგა ბოკერია** აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის ტერიტორიაზე რეაქციულად განწყობილ რუსი პოლიტიკოსების შემოსვლას ყველანაირი ბერკეტის გამოყენებით შეზღუდავს: "რუსეთმა უგუნური ნაბიჯი გადადგა", მაგრამ სამაგიეროდ კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა, თუ როგორ არის იგი განწყობილი საქართველოსადმი. ჩვენც მივიღებთ ადეკვატურ ზომებს და საერთაშორისო ბერკეტების გამოყენებით შევზღუდავთ რუსი პოლიტიკოსების მოძრაობას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რომელთა სეპარატისტულ რეჟიმებს რუსი პოლიტიკოსები ყოველგვარი კანონებისა და საერთაშორისო ნორმების დარღვევით სტუმრობენ," - აცხადებს გიგა ბოკერია.

როგორც ამბობენ, ამ სიაში უკვე მოხვდნენ დუმის ვიცე-სპიკერი ლუბოვ სლისკა, რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს წევრები ალექსანდრ მიტროფანოვი, დიმიტრი როგოზინი, სერგეი ბაბურინი, ვიქტორ ალქსნისი, ვლადიმირ ჟირინოვსკი და გენადი ზუგანოვი, პოლიტოლოგები - სერგეი მარკოვი და ანდრანიკ მიგრანიანი. ასევე შავ სიაში ფიგურირებს რამდენიმე რუსი სამხედრო პირის გვარი, რომელთაც რუსეთის თავდაცვის სამინისტროში, გენერალურ შტაბში და ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ 58-ე არმიაში საკმაოდ მაღალი თანამდებობები უკავიათ.

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, ფრაქცია "როდინას" წევრი **ალექსეი ალქსნისი** საქართველოს ხელისუფლების "შავ სიაში" მოხვედრის შესაძლებლობას "დიდ ტრაგედიად" არ აღიქვამს. რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების გამწვავების შემთხვევაში ალქსნისი ფრაქცია "როდინას" მიერ საქართველოდან რუსეთის ელჩის გამოწვევის საკითხის კატეგორიულად დაყენების შესაძლებლობასაც არ გამორიცხავს: "თუ საქართველოს ხელისუფლება "შავ სიაში" შემიყვანს, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ," - განაცხადა **ალექსეი ალქსნისმა**.

ქართულ-რუსულ საერთაშორისო სკანდალს რუსეთის ფედერაციის საბჭოს სპიკერი სერგეი მირონოვიც ეხმიანება. მან სინანული გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს დელეგაცია სანკტ-პეტერბურგში დსთ-ს საპარლამენტთაშორისო ასამბლეაში მონაწილეობის მისაღებად არ ჩავიდა.

მირონოვი ირწმუნება, რომ რუსეთში უცხოელ პოლიტიკოსთა არანაირი "შავი სია" არ არსებობს.

მირონოვს მიაჩნია, რომ საერთაშორისო სკანდალი საქართველოში რუსეთის საელჩოს თანამშრომლის დაუდევრობამ გამოიწვია და ამასთან დაკავშირებით მას რუსეთის საგარეო სამინისტრომ პასუხი უნდა მოსთხოვოს.

*24 საათი*

# ლუბლიანაში მოლაპარაკებები დასრულდა

კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავას განცხადებით, შეხვედრა ფაქტობრივად უშედეგოდ, ყოველგვარი შეთანხმების გარეშე დასრულდა.

"ერთადერთი, რაზეც მხარეები შეთანხმდნენ, ის არის, რომ კონფლიქტის ზონაში კვლავ გაგრძელდება ეუთო-ს სარეაბილიტაციო პროექტები," - აღნიშნა ხაინდრავამ.

დღესვე საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ლუბლიანადან ვენაში, ეუთო-ს შტაბ-ბინაში გაემგზავრება.

შსკ-ს სხდომა სლოვენიის დედაქალაქ ლუბლიანაში ეუთო-ს ეგიდით, ეუთო-ს მოქმედი თავმჯდომარის დიმიტრი რუპელის მონაწილეობით 15 ნოემბერს დაიწყო. შეხვედრაზე ქართულ დელეგაციას კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა ხელმძღვანელობდა. რუსეთის მხარეს - საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი ვალერი კენიაკინი, ხოლო სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის დელეგაციას - საგანგებო დავალებათა ელჩი ბორის ჩოჩიევი.

*ინტერპრესნიუსი*

# „უკრსპეცექსპორტი" უარს ამბობს საკუთარი ხარჯებით ტექნიკის რემონტზე

პირველი გვერდიდან

რომელიც საქართველოში უკრაინიდან გასული წლის დეკემბერში შემოვიდა. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელობამ აქაც 9 თვის შემდეგ, ოქტომბერში აღმოაჩინა, რომ ერთ-ერთი მანქანის ძრავა მწყობრიდან გამოვიდა და მიზეზების დასადგენად უკრაინელ სპეციალისტებს უხმო. თუმცა, როგორც ჩვენთან საუბარში ქართული კომისიის წევრმა, პროტესტის ნიშნად თანამდებობიდან გადამდგარმა, უფროსმა ლეიტენანტმა თემურ ბოჭორიშვილმა აღნიშნა, ტექნიკის ყველა ერთეული მიღების დროს გამართული იყო და ჩატარდა შემოწმების ყველა აუცილებელი პროცედურა. **"ეს ტექნიკა, როდესაც ჩამოვიდა, გადანაწილდა სამხედრო ნაწილებში, შეიქმნა კომისია და ყველაფერი ხელახლა გადამოწმდა ადგილებზე,"** – ამბობს თემურ ბოჭორიშვილი.

ქართული მხარის მოწვევით, "უკრსპეცექსპორტის" წარმომადგენლები მარტის თვეში ჩამოვიდნენ საქართველოში, შეამოწმეს სადავო ჯავშანტრანსპორტიორი და დაასკვნეს, რომ მანქანის მწყობრიდან გამოყვანა ადგილზე არასწორმა ექსპლუატაციამ გამოიწვია. მაგრამ, როგორც პარტნიორებს შეეფერებათ, უკრაინელი სპეციალისტები მზად არიან, ტექნიკა თბილისის ტანკსარემონტო ქარხანაში გაარემონტონ, რათა ააცილონ საქართველოს სამხედრო უწყებას ხარჯები, რაც ტექნიკის უკრაინაში წაღებას დასჭირდებოდა. "უკრსპეცექსპორტის" გენერალური მდივნის მოადგილის ანატოლი კოვალენკოს მიერ საქართველოს გენერალური შტაბის უფროსის პოლკოვნიკ ლევან ნიკოლეიშვილის სახელზე გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ ხსენებული ჯავშანტრანსპორტიორის რემონტის ხარჯების დაფარვას, უკრაინელი სპეციალისტები, საქართველოს სთხოვენ.

ამ ფონზე, საქართველოს სამხედრო უწყების უცნაური საქციელის ახსნა სულ უფრო ძნელი ხდება. მით უფრო, რომ იგი აგრძელებს ტექნიკის შესყიდვაზე კონტრაქტს "უკრსპეცექსპორტთან". სულ ერთი თვის წინ უკრაინიდან კიდევ შემოვიდა 4 ერთეული ჯავშანტრანსპორტიორი, რომელთა ვარგისიანობაზე სამხედრო უწყებას მიღებიდან ერთ თვეში გაუჩნდა პრეტენზია, მაგრამ ამ პრეტენზიას არ იზიარებს უკრაინის მხარე და ყველაფერს ქართული ეკიპაჟები მოუმზადებლობას და გაუწაფაობას აბრალებს.

# „უცნობი თავისუფლება"

გადაცემის სტუმრები არიან ჟურნალისტები:
სოფო ჩხაიძე და გიორგი ახვლედიანი

**ალექსანდრე ელისაშვილი**: მოგესალმებით. რას იტყვით წინანდლის სახლ-მუზეუმის იჯარით გაცემაზე?

**სოფო ჩხაიძე:** კარგი იქნებოდა თუ ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმს სახელმწიფო მოუვლიდა. მაგრამ, თუ სახელმწიფოს არ ძალუძს და თუ მას ინვესტორი მიხედავს, მაშინ რატომაც არა.

**ა.ე.:** "ვარდების რევოლუციის" მეორე წლისთავზე იხარჯება შვიდასი ათასი ლარი. ეს თანხა სახლ-მუზეუმს რომ მოხმარდებოდა?

**ს.ჩ.:** მე ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის, თუ როგორ მოუვლიან ამ მუზეუმს.

**გ. ა.:** წლების მანძილზე ინგრეოდა ეს სასახლე. ჰუმანური იქნებოდა ის რომ რევოლუციის წლისთავის აღნიშვნის მაგივრად თანხა დახარჯულიყო წინანდალზე, მაგრამ ეს ხელისუფლებისთვის არამომგებიანია.

**ა.ე.:** რას იტყვით ვანო მერაბიშვილის განცხადებაზე, კრიმინალების ადგილზე ლიკვიდაციის შესახებ? რამდენად მისაღები იყო ეს თქვენთვის?

**გ.ა.:** ეს ჩემთვის ყოვლად მიუღებელია. ძალიან ბევრი უდანაშაულო ადამიანები ეწირება ასეთ შემთხვევებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პატრული გამოუცდელი და ახალგაზრდა კადრებით არის დაკომპლექტებული.

**ს.ჩ.:** გაუმართლებელია. ვნახეთ რა მოხდა თვრამეტი წლის ლევან გულუას შემთხვევაში. ნებისმიერი დამნაშავე შეიძლება გამოსწორდეს. ჩვენ მათ ამ შანსს ვართმევთ. მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული, რა შემთხვევაში შეიძლება სროლა.

**მსმენელი:** ისე ჩანს, ხელისუფლებას ამით სურს თავისი სიძლიერის ხაზგასმა, მაგრამ ეს ყველაზე დიდი სისუსტეა. ამაზე განგაში უნდა ატყდეს.

**ს.ჩ.:** პოლიცია კვლავ სავსეა დამნაშავეებით. ხელისუფლების ამ განცხადებების გამო შეიძლება ბევრი უსიამოვნო ფაქტი მოხდეს. რა საჭიროა მაშინ სასამართლო?! ეს ლინჩის წესს უფრო გავს.

**გ.ა.:** ამას შეიძლება ქაოსი მოჰყვეს. იქნებ ჯობია საკანონმდებლო ბაზა დავხვეწოთ?!

**ა.ე.:** ეკონომიკურ წინსვლაზე რას იტყვით? ეკონომიკური პოლიტიკა როგორ მოგწონთ?

**გ.ა.:** ახალმა ხელისუფლებამ აირჩია პროირიტეტები. ჩემი აზრით, ჯობდა ბიუჯეტიდან სამასი მილიონი ლარი შეიარაღების ნაცვლად ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებესებაზე დახარჯულიყო.

**ს.ჩ.:** დადებითია ის, რომ საგადასახადო პოლიტიკა შეიცვალა.

**ა.ე.:** ორი წლის თავზე რას დაუწუნებთ ხელისუფლებას?

**გ.ა.:** პრიორიტეტები იქნა არასწორად შერჩეული.

**ს.ჩ.:** სოციალური ფონი და გაუმჭირვალობა. ყველაფერი ისე არ არის, როგორც გვაჩვენებენ.

**ა.ე.:** კარგი რა ხდება ქვეყანაში?

**ს.ჩ.:** უდავოდ უნდა აღინიშნოს განათლების რეფორმა.

**გ.ა.:** ძალიან ბევრი რამ ხდება კარგი. ბოლო ათი წელი, გახსოვთ, ალბათ საქართველოში სრული უძრაობა იყო. ახლა კი ქვეყანაში წინსვლა შეიმჩნევა.

# პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი აფხაზეთის მოქალაქეობის ახალ წესს გმობს

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის განცხადებაში, რომელიც პარლამენტის საიტზე გამოქვეყნდა, კომიტეტი საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდებს, დაგმოს აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის ქმედება, რომელიც ე.წ. აფხაზეთის მოქალაქეობის მინიჭების ახალ წესს ეხება. მიმართვაში, რომლის ადრესატებიც არიან კოლეგები პარტნიორი ქვეყნების პარლამენტებიდან, გაეროს უშიშროების საბჭოს წევრები, IPU-ს წევრები, აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მოგვარების ჟენევის პროცესის მონაწილეები, ევროსაბჭო, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეა და აღმასრულებელი ორგანოები, ევროპარლამენტი, ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანოები, სუამ-ის წევრი ქვეყნები, ყველა სხვა დაინტერესებული დემოკრატიული ძალა, საუბარია ქართული მოსახლეობის უფლებების შელახვაზე. კერძოდ, ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას აიძულებენ, მიიღონ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მოქალაქეობა, ძალდატანებით მიერეკებიან მათ უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებში სამხედრო სამსახურის მოსახდელად და ახდევინებენ უკანონო გადასახადებს. "ეს ყველაფერი ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა და სცილდება ყველანაირ სამართლებრივ თუ ეთიკურ ნორმებს. სეპარატისტული რეჟიმის ამგვარი ქმედებები ხელს უწყობს ეთნიკურ დისკრიმინაციას, ამასთანავე ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივებას, რაც გაეროს წესდების აშკარა დარღვევაა," - ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი აღნიშნავს, რომ ზემოხსენებული უკანონო გადაწყვეტილება არღვევს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებსა და ელემენტარულ დემოკრატიულ ღირებულებებს. კომიტეტის შეფასებით, ეს სეპარატისტული რეჟიმის მიერ ქართველთა ეთნიკური წმენდის შედეგების დაკანონების მცდელობაა. ქართველთა ეთნიკური წმენდა დანაშაულად არის აღიარებული ეუთოს ბუდაპეშტის, ლისაბონისა და სტამბულის სამიტებზე. **ჯი-ეიჩ-ენი**

# კორუფციის მაღალი რისკი

პირველი გვერდიდან

აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით მეზობელ თურქეთში, სომხეთსა და რუსეთში გაცილებით გამარტივებული ბიუროკრატიაა, რაც მეწარმეებს ტვირთების ოპერატიულად გაფორმებაში მნიშვნელოვნად ეხმარება.

მარტივი შედარებისთვის: თურქეთის რესპუბლიკაში ექსპორტიორებს 9 დოკუმენტი, 10 ხელმოწერა და 20 დღის ლოდინი სჭირდება; იმპორტიორებს - 13 დოკუმენტი, 20 ხელმოწერა, 25 დღე. სომხეთში ექსპორტიორებს 7 დოკუმენტი, 12 ხელმოწერა და 34 დღე სჭირდებათ; იმპორტიორებს 6 დოკუმენტი, 15 ხელმოწერა და 37 დღე.

ამ სიის სათავეში, როგორც უკვე ითქვა, ყაზახეთი იმყოფება, სადაც მეწარმეებს ტვირთების გატანის დროს 14 დოკუმენტი, 15 ხელმოწერა და 93-დღიანი ლოდინი უწევთ; ქვეყნის ტერიტორიაზე ტვირთების შეტანის შემთხვევაში კი - 18 დოკუმენტი, 17 ხელმოწერა, 87 დღე.

ამ კვლევაში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა გერმანია, აშშ, ჩინეთი და ლატვია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩამოთვლილ სახელმწიფოებში ბიოროკრატია, ფაქტობრივად, ნულის ტოლია ან მათ ძალიან მარტივი ბიუროკრატიული აპარატი გააჩნიათ.

აი, როგორ აფასებს კვლევის ამ შედეგებს ეკონომიკური ექსპერტი გია ხუხაშვილი საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენთან" საუბრის დროს: **"ჩვენი ხელისუფლება ხშირად საუბრობს ბიუროკრატიის გამარტივებაზე, თუმცა საუბარი და რეალობა ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. შევეჩვიეთ დეკლარირებული ფასეულობების წარმოჩენას, მაგრამ თუ ბიზნესის განვითარების კონკრეტულ გარემოს დავაკვირდებით, იგი კიდევ უფრო გამკაცრებულია. ეს ყოველივე კი თავდაპირველად ინვესტიციების მოზიდვაზე უარყოფითად მოქმედებს."**

შესაძლოა პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ყოველივე ამის ფონზე საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო ბალანსი წელს, შარშანდელთან შედარებით, დაახლოებით 500 მილიონი აშშ დოლარით არის გაზრდილი. თუკი გასული წლის იანვარ-სექტემბერში ქვეყნის სავაჭრო ბრუნვამ 1 მილიარდ 700 მილიონ ლარს ოდნავ გადააჭარბა, წელს ანალოგიურ პერიოდში ამ მაჩვენებელმა 2 მილიარდ 210 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტმა 599 მილიონი, ხოლო იმპორტმა 1 მილიარდ 610 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. წელს 9 თვეში ექსპორტი, შარშანდელთან შედარებით, 32 პროცენტით გაიზარდა, იმპორტი – 28 პროცენტით. მიუხედავად ამისა, ქვეყნის სავაჭრო ბალანსი წელსაც, ისევე როგორც გასულ წლებში, უარყოფითია. წელს საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 1 მილიარდ 111 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, შარშან ეს მაჩვენებელი მხოლოდ 803 მილიონი იყო, 2003 წელს კი - 482 მილიონი.

ერთი საყურადღებო დეტალი მსოფლიო ბანკის ზემოთ ხსენებული კვლევიდან. რეიტინგის ბოლოს მითითებულია ბანკის ასეთი მინაწერი: **"როდესაც ტვირთზე ჩინოვნიკთა ხელმოწერები ძალიან ბევრია, ეს იმის მაჩვენებელია, რომ კორუფციის რისკიც მაღალია."**

UNOMIG МООННГ

United Nations Observer Mission in Georgia
МИССИЯ ООН ПО НАБЛЮДЕНИЮ В ГРУЗИИ

## განცხადება

გაეროს დამკვირვებელთა მისიას საქართველოში ესაჭიროება კონტრაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს ტაქსით მომსახურებას თბილისის ოფისისათვის.

შესაბამის ტაქსის სამსახურებს, რომლებიც დაინტერესებულნი იქნებიან მონაწილეობა მიიღონ ტენდერში, შეუძლიათ მიიღონ სატენდერო საბუთები გაეროს დამკვირვებელთა მისიის თბილისის ოფისის ადმინისტრაციაში, კრწანისის 38, თბილისი, 14 ნოემბრიდან 2005 18 ნოემბრის ჩათვლით.

შევსებული საბუთები მოგვაწოდეთ დაბეჭდილ კონვერტში, არა უგვიანეს 24 ნოემბრისა, ადგილობრივი დროით 12.00 საათამდე გაეროს დამკვირვებელთა მისიის თბილისის ოფისის ადმინისტრაციაში.

## ქართველი სამხედროები კუთხურ ნიადაგზე ჩხუბობენ

არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართალი და თავისუფლების" წარმომადგენლის, სამხედრო ექსპერტის შალვა თადუმაძის ინფორმაციით, 15 ნოემბერს ჩხუბი მოხდა თავდაცვის სამინისტროს მე-4 ბრიგადაში, რომელიც ყოფილი მე-8 პოლკის ტერიტორიაზე, სამხედრო პოლიციიდან 50 მეტრის დაშორებით მდებარეობს. ამჟამად შინაგანი ჯარის საცხოვრებელ ბაზაზე დისლოცირებულ თავდაცვის სამინისტროს მეოთხე ბრიგადაში 1.500-მდე სამხედრო მსახურობს. გავრცელებული ინფორმაციით, ჩხუბში ათასამდე სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. არაოფიციალური ინფორმაციით, სამხედრო ნაწილში ჩხუბი კუთხურ ნიადაგზე მოხდა. როგორც ამბობენ, ნაწილის უფროსმა ცალ-ცალკე დაყო საქართველოს სხვადასხვა კუთხის ახალწვეულები, რაც, საბოლოოდ, მათ შორის დაპირისპირების საბაბი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ინციდენტს ადგილობრივი მოსახლეობაც შეესწრო, თავდაპირველად თავდაცვის სამინისტრო მას საიდუმლოდ ინახავდა. სხვათა შორის, ამ ფაქტთან დაკავშირებით სამინისტრო კომენტარს დღესაც არ აკეთებს. მიუხედავად ამისა, სამხედრო ექსპერტმა შალვა თადუმაძემ მომხდარი ფაქტი დაადასტურა და განაცხადა, რომ ჩხუბის შედეგად არიან დაშავებულებიც. მისი ინფორმაციით, 12 სამხედრო მოსამსახურე, რომლებსაც სერიოზული დაზიანებები აღენიშნებათ, სამხედრო ჰოსპიტალში დააწვინეს. ამასთან დანგრეულია მეოთხე ბრიგადის შენობაც. "მეოთხე ბრიგადა, უკვე ორი წელია, "უპატრონოდაა" მიტოვებული. ამ ხნის განმავლობაში მას არ ჰყავს მეთაურიც. ამ ბრიგადაში სრულიად მოშლილია სამხედრო სისტემა. სწორედ ამ მიზეზებმა განაპირობა მსგავსი მასშტაბური დაპირისპირებებიც", - აცხადებს შალვა თადუმაძე, რომელიც მზად არის, იურიდიული დახმარება გაუწიოს ამ ინციდენტით დაზარალებულებს. **24 საათი**

## მებაჟეები დააკავეს

სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით, ფინანსური პოლიციის თბილისის ოპერატიულმა სამმართველომ გუშინ, გვიან ღამით ორი მებაჟე დააკავა. როგორც ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსმა ლევან მხეიძემ განაცხადა, დაკავებულნი არიან თბილისის აეროპორტის საბაჟოს თანამშრომლები მანჯგალაძე და ჯანიკაშვილი. გამოძიების ინფორმაციით, მებაჟეებმა დუბაიდან ჩამოტანილი 2 000 დოლარზე მეტი ღირებულების საყოფაცხოვრებო ტექნიკა არ განაბაჟეს. დაკავებულთა დაკითხვა გვიან ღამით დასრულდა. მას გენერალური პროკურორის მოადგილეც ესწრებოდა.დაკავებულები ამჟამად წინასწარი დაკავების იზოლატორში არიან გადაყვანილები. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით არის აღძრული, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. “აღნიშნულ საქონელს ექსპერტიზა უტარდება და მატერიალური ზარალი ექსპერტის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე გამოიკვეთება", - განაცხადა მხეიძემ. კანონმდებლობის თანახმად, მათ სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. **ინტერპრესნიუსი**

## სტუდენტები პრაქტიკოსი იურისტების როლში

უზენაეს სასამართლოში სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციულ სამართალში მეოთხე ეროვნული ოლიმპიადა იწყება. ოლიმპიადის გახსნის საზეიმო ცერემონიასთან დაკავშირებით გუშინ ერთობლივი პრესკონფერენცია ჩაატარეს "აშშ-ს იურისტთა ასოციაციის", საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და "საქართველოს იურისტ-სტუდენტთა ასოციაციის" წარმომადგენლებმა. როგორც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ კოტე კუბლაშვილმა განაცხადა, ეროვნულ-სამართლებრივი ოლიმპიადა საქართველოში დღემდე განხორციელებულ პროექტთაგან უმნიშვნელოვანესია, რადგან ოლიმპიადის საშუალებით ახალგაზრდა იურისტებს პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოვლენის უნიკალური საშუალება ეძლევათ. მისივე თქმით, მსგავსი ოლიმპიადა საქართველოში მეოთხედ ტარდება და სტუდენტებს პროცესში მონაწილე მხარეების - ადვოკატების, პროკურორების და მოსამართლეების როლის გათავისების საუკეთესო შანსს აძლევს. "საქართველოს იურისტ-სტუდენტთა ასოციაციის" თავმჯდომარის თათა ალექსიძის განცხადებით, ოლიმპიადის დროს ოთხი წევრისგან დაკომპლექტებული ჯგუფები რეალურ პროცესთან მაქსიმალურად მიმსგავსებულ პროცესს გამართავენ და უკვე განხილულ სასამართლო საქმეებს უზენაესი სასამართლოს დარბაზებში საპროცესო კანონების დაცვით ხელახლა განიხლავენ. ოლიმპიადა მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდება. მასში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადები 15 დეკემბრამდე უნდა წარადგინონ. 18-21 დეკემბერს სტუდენტები ტესტირებას გაივლიან. 11 თებერვლიდან ოლიმპიადის პირველი ტური დაიწყება, 11-12 მარტიდან კი მეორე ტური. სპეციალური კომისია გამარჯვებულებს 20 მარტს დაასახელებს. ოლიმპიადაში მონაწილეობა, სავარაუდოდ, 100-მდე გუნდმა უნდა მიიღოს. ჟიური, რომლის შემადგენლობაში უზენაესი სასამართლოს წამყვანი მოსამართლეები, ადვოკატები და სამართლის ექსპერტები შედიან, 12-საუკეთესო გუნდს დაასახელებენ და სამ საუკეთესო მოსამართლეს, საუკეთესო ორატორებს და პროცესის მონაწილე მხარეებს გამოავლენენ. გამარჯვებულებს სიგელები და სპეციალური საჩუქრები გადაეცემათ. ოლიმპიადა უზენაესი სასამართლოს ორგანიზებით ტარდება, მის ფინანსურ მხარდაჭერას აშშ-ს იურისტთა ასოციაცია და ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტო უზრუნველყოფს. **ინტერპრესნიუსი**

## გალის რაიონში აფხაზებს დამატებითი ძალები შეჰყავთ

*გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში - ოტობაიაში, გაგიდაში, ფიჩორსა და განახლებაში შეყვანილია აფხაზური მილიციის დამატებითი ძალები.*

აფხაზური მხარის ინფორმაციით, ისინი გალის აფხაზური მილიციის თანამშრომელს ჯგერენაიას ეძებენ, რომელიც ორი კვირის წინ გაუჩინარდა. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, გუშინ დილიდან აფხაზური მილიციის წარმომადგენლები სოფლებში სპეციალური სამხედრო მანქანებით შევიდნენ, რომელიც კუთვნილებაში აქვს გალის აფხაზურ მილიციას. მოსახლეობის განმარტებით, მილიციელებთან ერთად მოძრაობენ კინოლოგები. ჯგერენაია გალიდან თავის მშობლიურ სოფელ ოტობაიაში დაბრუნების დროს დაიკარგა. აფხაზური მხარის განმარტებით, ამ გატაცებაში შეიძლება ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელთა ხელი ერიოს და მიმდინარეობს ყველა საეჭვო პირის და საეჭვო სახლის შემოწმება. ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება სპეციალური რეიდები. არაოფიციალურად იმასაც ამბობენ, რომ ჭუბურხინჯში ბაგაფშის ხელისუფლებამ თავისი და კრასნოდარის გუბერნატორის პირადი დაცვის სპეცდანიშნულების რაზმები შეიყვანა, რომელსაც ერიკ ეუბა ხელმძღვანელობს. თითოეულ სოფელში სპეცდანიშნულების რაზმის 120 წევრი იმყოფება. მათი კარვები და დამატებითი ტექნიკა დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების საგუშაგოებთანაა მობილიზებული, მაგრამ სამშვიდობოების მხრიდან ამას არანაირი შეფასება არ მისცემია. ერთ-ერთი ვერსიით, აფხაზური მხარე გალში კონტროლს ქართველი პარტიზანების შესაძლო გააქტიურების გამო აძლიერებს. მართალია, გალის რაიონის ქართველი მოსახლეობა აღნიშნავს, რომ ჯერჯერობით აფხაზური მილიციის წარმომადგენლებს რაიმე სახის ძალადობისთვის მოსახლეობის წინააღმდეგ არ მიუმართავს, მაგრამ რა მოხდება მომავალში, არავინ იცის. როგორც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში აცხადებენ, გალის რაიონში ვითარება უკიდურესად დაძაბულია. მოსახლეობაში პანიკაა. ისინი უნდობლობას უცხადებენ ადგილობრივ სამართალდამცველებს და დახმარებას საქართველოს ხელისუფლებისგან ელიან. გალის რაიონში, ბოლო ერთი თვის განმავლობაში უკიდურესად დაძაბული ვითარების ფონზე, აფხაზები უარს ამბობენ ჭუბურხინჯის ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაში მონაწილეობაზეც. აღნიშნული შეხვედრა გუშინ აფხაზური მხარის გამოუცხადებლობის გამო ჩაიშალა.

ქართული მხარის წარმომადგენლის, სამშვიდობო ძალების სარდლის, ვალერი ჯაფარიძის განცხადებით, შეხვედრაზე აფხაზური მხარის გამოუცხადებლობის გამო, მხარეებმა მხოლოდ ურთიერთკონსულტაციური საუბარი გამართეს. აქედან გამომდინარე, ქართულმა მხარემ ვერ მოახერხა აფხაზური მხარისთვის გადაეცა საკუთარი მოთხოვნა, გალის რაიონში ბოლო დროს გახშირებული ადამიანის გატაცებებთან დაკავშირებით; კერძოდ, შეხვედრაზე უნდა განხილულიყო გალის რაიონის რამდენიმე სოფელში ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებზე მოქალაქეების აფეთქების და რამდენიმე გატაცების ფაქტი, რომელთა დროსაც დაზარალდნენ ქართველი ეროვნების მოქალაქეები.

**"ამასთან, ჩვენ უნდა მოგვეთხოვა პასუხი, თუ რატომ შეიყვანეს აფხაზებმა გალის რაიონის დაბალ ზონებში სპეცდანიშნულების რაზმი"**, - განაცხადა ვალერი ჯაფარიძემ, რომელმაც საბოლოოდ იმის გარკვევაც ვერ შეძლო, რატომ არ გამოცხადდა აფხაზური მხარე მოლაპარაკებებზე.

რაც შეეხება 10 ნოემბერს გამართული ჭუბურხინჯის შეხვედრის გადაწყვეტილებებით შექმნილ საგამოძიებო ჯგუფს, ის აგრძელებს მუშაობას. იგი დაღუპული დანიელ წურწუმიას მკვლელობის ფაქტს იძიებს. თუმცა, საგამოძიებო ჯგუფს დასკვნა ჯერჯერობით არ წარმოუდგენია.

**“თუ 24 ნოემბერს ჭუბურხინჯის შეხვედრა კვლავ აფხაზური მხარის გამოუცხადებლობის გამო ჩაიშლება, ქართველი სამხედრო დამკვირვებლები შესაბამის ზომებს მიიღებენ”**, - აცხადებენ ქართული მხარის წარმომადგენლები. თუმცა, კონკრეტულად რა ზომების მიღებას გეგმავენ, წინასწარ არ ამხელენ.

*24 საათი*

## საპროცესო კოდექსის ცვლილებებს დღეს მეორე მოსმენით განიხილავენ

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების შესწორებების განხილვას დღეს გააგრძელებს.

გუშინ კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვა გადაიდო. როგორც გიგა ბოკერიამ განაცხადა, საკითხის გადადება მხოლოდ იმის გამო მოხდა, რომ გუშინ იურიდიულ საკითხთა კომიტეტს საკმაოდ დატვირთული დღის წესრიგი ჰქონდა. **"ამ საკითხისადმი ინტერესი ძალიან დიდია, დღეს ბევრი სხვა საკითხი გვაქვს განსახილველი, ამიტომაც სხდომა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან დაკავშირებით ხვალ შედგება"**, - განაცხადა გიგა ბოკერიამ.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ნინო კალანდაძის ინფორმაციით, იურიდიულ საკითხთა კომიტეტი არ აპირებს, ცვლილებები შეიტანოს შინა პატიმრობასთან და სასამართლო პროცესებზე ჟურნალისტების დასწრებასთან დაკავშირებით. კალანდაძის განცხადებით, იურიდიულმა კომიტეტმა უფრო დააზუსტა ის ნორმა, რომელიც პროცესებზე ჟურნალისტების დასწრებას ითვალისწინებს.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოვალეობის შემსრულებელის ზურაბ დეკანოიძის განცხადებით, პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის შენიშვნები გაითვალისწინეს და კოდექსში შესატან ცვლილებებში იმ ნივთების ზუსტი ჩამონათვალი განისაზღვრა, რომელიც, საპატიმროებში შეტანის შემთხვევაში, უკანონოდ ჩაითვლება. საპატიმროში იკრძალება ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული პრეპარატის, მობილური ტელეფონისა და ალკოჰოლური სასმელების შეტანა. ცვლილებების თანახმად, განსაკუთრებით მკაცრად დაისჯება პენიტენციური დაწესებულების ის თანამშრომელი, რომლის საშუალებითაც ჩამოთვლილი ნივთების ნუსხიდან ციხეში ან წინასწარი დაკავების საკანში რომელიმე მაინც შევა. გარდა ამისა, სასჯელი დაემატება იმ პატიმარსაც, ვისაც აკრძალული ნივთები აღმოაჩნდება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები და წინადადებები საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა პარლამენტის კანცელარიას ჩააბარა. სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტში სისხლის სამართლის კოდექსთან დაკავშირებით დებატები დაიწყო, მისი მოძრაობის იურისტებმა კოდექსში შესატან სავარაუდო ცვლილებებზე სერიოზულად იმუშავეს. მისივე თქმით, შენიშვნები, ძირითადად, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე, 128-ე და 161-ე მუხლებს შეეხება.

სალომე ზურაბიშვილი აცხადებს, რომ მას ყველაზე მეტად ფარული საგამოძიებო მოქმედებების დაკანონება აწუხებს, რაც, პრაქტიკულად, უკვე ლეგალიზებულია. **“იმ სისტემის დაკანონება, რომელიც ძველ მმართველობასთან გვაბრუნებს, არასწორად მიმაჩნია"**, - განაცხადა ზურაბიშვილმა, რომელიც მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებებით საქართველოს პარლამენტი ადამიანის უფლებებს არღვევს და ევროპულ ღირებულებებზე უარს ამბობს.

*24 საათი*

## ახალგაზრდა იურისტრთა ასოციაცია არაკონსტიტუციური ბრძანების წინააღმდეგ

საქართველოს ”ახალგაზრდა იურისტრთა ასოციაცია” საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს და შს მინისტრ ვანო მერაბიშვილს პოლიციისთვის კანონდარღვევისკენ მოწოდებაში ადანაშაულებს და პარლამენტს რეაგირებას სთხოვს. როგორც ასოციაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, თითქმის ყოველდღიურად მოდის სისრულეში შს მინისტრის განცხადება, რომელიც მან პარლამენტში სამთავრობო საათზე, 10 ნოემბერს გააკეთა. მერაბიშვილმა თავისი უწყებას მოუწოდა, “გამოიყენის იარაღი და მოახდინოს კრიმინალთა ლიკვიდაცია, თუ საფრთხე შეექმნება პოლიციელის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას.”

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში მიიჩნევენ, რომ აღნიშნული განცხადებით შს მინისტრმა უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლი, რომლის მიხედვით, სიცოცხლე ადამიანის ხელშეუვალი უფლებაა. ამასთან, ამ განცხადებით ირღვევა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მესამე მუხლი – “ყოველ ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება”.

ამას გარდა, ახალგაზრდა იურისტების განცხადებით, მინისტრმა დაარღვია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის პრინციპები, საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის - პოლიციის შესახებ კანონი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონი. საქართველოს ახალგაზრდა იუსრისტთა ასოციაცია მიესალმება სამართალდამცავების აქტიურ ბრძოლას დამნაშავეობის წინააღმდეგ, მაგრამ მიიჩნევს, რომ აუცილებელია, ეს ბრძოლა განხორციელდეს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის და სავალდებულო საერთაშორისო აქტების მოთხოვნათა ფარგლებში. ახალგაზრდა იურისტები მოუწოდებენ საქართველოს პარლამენტს, განახორციელოს კონსტიტუციით გათვალისწინებული ფუნქცია – გააკონტროლოს აღმასრულებელი ხელისუფლება და მკაცრად შეაფასოს საქართველოს პრეზიდენტისა და შს მინისტრის უკანონო განცხადებები, რომლებიც სამართალდამცავ ორგანოებს აშკარად უბიძგებენ კანონის დარღვევისკენ. **პრაიმ-ნიუსი**



# განცხადება

## ბორჯომის რაიონის გამგეობის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით "დაბა ბაკურიანის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის" შედგენის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ბორჯომის რაიონის გამგეობა აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს დაბა ბაკურიანის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასრულებელია:

1) დაბა ბაკურიანის ტერიტორიის ტოპოგრაფიული გადაღება;
2) ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევა;
3) ტერიტორიის ვერტიკალური დაგეგმარება;
4) გენერალური გეგმის შედგენის ორგანიზაციის პროექტის დამუშავება;
5) გენერალური გეგმის შედგენის ხარჯთაღრიცხვა.

მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი თვე.

დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ღირებულების გარეშე) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 3 დეკემბრამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი №1, ბორჯომის რაიონის გამგეობა.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობებს სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სხვა სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირისათვის:

ა) ლიცენზიას საპროექტო სამუშაოების განხორციელების შესახებ;

ბ) ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში გაწეული ანალოგიური მომსახურების შესახებ;

გ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ.

იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ, პირველადი სატენდერო წინადადების შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნები, რის შესაბამისადაც წარმოდგენილი უნდა იქნეს ზოგადი მონაცემები ჩასატარებელი საპროექტო სამუშაოების შესახებ ღირებულების გარეშე.

პირველადი და საბოლოო სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგინება დახურული კონვერტებით.

პირველადი სატენდერო წინადადების შეფასებისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასების წესი.

პრეტენდენტის კვალიფიკაცია მიენიჭებათ ტენდერში მონაწილეობის მსურველ იმ პირებს, რომელთა მიერ წარმოდგენილ საკვალიფიკაციო მონაცემებზე არსებობს აღნიშნული მომსახურების სფეროში პოლიტიკის გამტარებელი ორგანოს საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნა.

სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისთვის დადგენილ პირობებს.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერის მეორე ეტაპზე მოწვეულ პრეტენდენტებს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი №1, ბორჯომის რაიონის გამგეობა.

სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის კონკრეტული ვადა პრეტენდენტებს საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებთან ერთად ეცნობებათ შერჩევიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) დღის ვადაში. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

ტენდერის შედეგად შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე: ქ. ბორჯომი, რუსთაველის მოედანი №1, ბორჯომის რაიონული გამგეობის აპარატის უფროსი, სატენდერო კომისიის წევრი ელდარ გოგოლაძე.

**საკონტაქტო ტელ: 8(267) 2-24-52, 899-48-26-24.**

სატენდერო კომისია



## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

________________________________________

ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი**..............................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**..............................

**საკონტაქტო ტელეფონი**..............................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დაწერს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოტიპიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია [illegible] ჩამოთვლილ [illegible] და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "[illegible]" ([illegible]);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "[illegible] II";
6. მეტროს სადგური "[illegible]";
7. მეტროს სადგური "[illegible] II" ([illegible] მეტროს სადგური "[illegible]");
8. მეტროს სადგური "[illegible] I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. [illegible] 45 "[illegible]" [illegible] გაზეთ "24 საათის" ოფისთან;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისთან;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0179 თბილისი, წერეთლის გამზ.77 იურიდიული ოფისი "გაპი".



## იუსტიციის სამინისტროს ინფორმაცია

**გაზეთის "24 საათი" 2005 წლის 16 ნოემბრის ნომერში იუსტიციის სამინისტროს მიერ სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შეტანილი ცვლილებების შესახებ**

გაზეთის "24 საათი" 2005 წლის 16 ნოემბრის ნომერში სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში შეტანილია შემდეგი ცვლილება:

1. სამუშაოების ჩამონათვალი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

| N | სამუშაოს დასახელება | სამუშაოს შესრულების ადგილი |
|---|---|---|
| ლოტიN1 | სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები | ქ.თბილისი, ი. აბაშიძის ქ.N68 საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის შენობა |
| ლოტიN2 | სამშენებლო სამუშაოები: 1. სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები | ქ.თბილისი, ც. დადიანის ქ.N34 საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის შენობა |

# აშშ-ს გასაიდუმლოებული ციხეები ევროპაში

*აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ვერტმფრენთა მიერ ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების საჰაერო სივრცის უკანონო გადაკვეთის თაობაზე ინფორმაციის გავრცელების შემდეგ, სხვადასხვა ქვეყნებში შესაბამისი საგამოძიებო პროცესები იწყება. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო ევროპაში დაწყებული სკანდალის შესახებ არ საუბრობს. კომენტარს ჯერჯერობით არც თეთრი სახლი აკეთებს.*

ნანა ნასყიდაშვილი

ბოლო დღეებში მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამსახური ევროპისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში ტერორიზმთან კავშირში მყოფ პატიმართა ვერტმფრენებით ტრანსპორტირებას ფარულად ეწევა. სავარაუდოდ, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ვერტმფრენთა მიერ ამა თუ იმ ქვეყნის საჰაერო სივრცის არალეგალურად გადაკვეთის შემდეგ, პატიმრებს სპეციალურ ციხეებში ათავსებენ. ჟურნალისტთა ვარაუდით, საიდუმლო პენიტენციური დაწესებულებები ბულგარეთში, ესპანეთში, პოლონეთში, იტალიაში, გერმანიაში, უნგრეთში, მაროკოში, პორტუგალიაში, რუმინეთსა და შვეიცარიაშია განლაგებული. ევროკომისიის ერთ-ერთი წარმომადგენლის, იტალიელი ფრანკო ფრატინის თქმით, ევროკავშირის წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ასეთ საიდუმლო დაწესებულებათა არსებობა ევროკავშირის პრინციპებს მკვეთრად უპირისპირდება. **"მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის წევრ-ქვეყანათა ხელისუფლებებმა ბოლო დღეებში გავრცელებული ინფორმაცია უარყვეს, მისი გადამოწმება მაინც აუცილებელია,"** – აღნიშნა ევროკომისარმა.

შვედეთის ხელისუფლებამ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ შვედეთში განხორციელებულ ფარული საჰაერო ოპერაციების თაობაზე, ქვეყნის სამოქალაქო ავიაციას მთავრობისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება მოსთხოვა. შვედური საინფორმაციო სააგენტო "TT"-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 2002-2005 წლებში შვედეთის ტერიტორიაზე მდებარე აეროპორტებში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს კუთვნილი მინიმუმ ორი ვერტმფრენი დაეშვა. არსებობს გარკვეული მოსაზრება, რომ აღნიშნული საჰარეო რეისებით აშშ-ს ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ ქვეყანაში ის პატიმრები ჩაიყვანა, რომლებსაც ტერორიზმთან კავშირი დამტკიცებული არ აქვთ. სავარაუდოდ, ამერიკელებმა ეს პატიმრები გუანტანამოს (კუბა) ბაზაზე გადაიყვანეს (აღნიშნულ ბაზაზე მყოფი პატიმრები სასჯელს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე იხდიან).



*ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს პატიმრები ევროპაშიც ჰყავს.*

შვედეთის დეპუტატთა გარკვეული ნაწილი დაინტერესდა იმით, თუ რამდენად იყო ინფორმირებული ქვეყნის ხელისუფლება აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ქვეყნის ფარგლებში საქმიანობით და თავადაც ხომ არ მონაწილეობდა ორგანიზაციის საიდუმლო ოპერაციებში. თუმცა, შვედეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნები კომენტარისგან ჯერჯერობით თავს იკავებენ და კოლეგებს ყველაფრის გარკვევას ჰპირდებიან. ამავდროულად, შვედეთის სადაზვერვო სამსახურის წარმომადგენელთა განცხადებით, ისინი ამერიკელთა მიერ შვედეთის საჰაერო სივრცის უკანონო გადაკვეთის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ.

ესპანეთში აღნიშნული საკითხის გარშემო სკანდალი სამშაბათს, ქვეყნის ერთ-ერთ გავლენიან გაზეთ "Pais"-ში გამოქვეყნებული პუბლიკაციის შემდეგ დაიწყო. გაზეთი იუწყება, რომ აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ოთხი თვითმფრინავი ბალეარის კუნძულებზე არალეგალურად რამდენჯერმე (ესპანეთის სამოქალაქო გვარდიის მიერ შემუშავებულ ოქმზე დაყრდნობით, საშუალოდ ათჯერ მაინც) დაეშვა. ესპანეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ხოსე ანტონიო ალონსოს თქმით, მადრიდი შესაბამის გამოძიებას ჩაატარებს. დიპლომატი გავრცელებული ინფორმაციის დამტკიცების შემთხვევაში აშშ-სა და ესპანეთის დიპლომატიურ ურთიერთობებში არასახარბიელო ცვლილებებს არ გამორიცხავს.

აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამსახური გავრცელებულ ინფორმაციაზე კომენტარებს ჯერჯერობით არ აკეთებს.

## ორი სიტყვით

**აღმოსავლეთ აზია.** აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და სამხრეთ კორეის ლიდერმა რო მუ ჰენმა კორეის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების სურვილი გამოთქვეს. თუმცა, მანამდე ჩრდილოეთ კორეამ ბირთვულ იარაღის შექმნის მცდელობებზე უნდა თქვას უარი.

სამხრეთ კორეის ქალაქ ჰუსანში გამართულ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ კორეა ელექტროენერგიის გამომუშავების მიზნით მსუბუქ წყალზე მომუშავე ატომურ რეაქტორს მხოლოდ ბირთვული პროგრამის შეწყვეტის შემდეგ მიიღებს.

ამ განცხადებით ბუშმა მიანიშნა, რომ აშშ-ს პოზიცია ამ საკითხში კვლავინდებურად მკაცრი და უცვლელია. ჯორჯ ბუშმა და სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა რო მუ ჰენმა ერთობლივი პრესკონფერენცია ორმხრივი შეხვედრის შემდეგ გამართეს. არც ბუშს და არც რო მუ ჰენს არაფერი უთქვამთ იმის შესახებ, რა ზომების მიღებას აპირებენ ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ, თუ ფხენიანთან დავა დიპლომატიური მეთოდებით ვერ მოგვარდება.

ქალაქ ჰუსანში, სადაც ორი ქვეყნის პრეზიდენტები იმყოფებიან, დღეს აზია-წყნარი ოკეანეთის ეკონომიკური თანამშრომლობის სამიტი იხსნება. აშშ-სა და სამხრეთ კორეის ხელმძღვანელთა გარდა, ფორუმში კიდევ 17 სუვერენული სახელმწიფოს, ასევე ჰონკონგისა და ტაივანის ლიდერები მიიღებენ მონაწილეობას. **24 საათი**

■ ■ ■

**რუსეთი.** 2006 წელს ოფიციალური მოსკოვი მილიონი იმიგრანტის ლეგალიზებას გეგმავს, - ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის საიმიგრაციო სამსახურმა განაცხადა.

ახალი დოკუმენტის პროექტის თანახმად, იმიგრანტებს სამართლებლივი სტატუსი უნდა მიენიჭოთ, რის შემდეგაც ისინი რუსეთის ბიუჯეტში გადასახადებს გადაიხდიან.

საიმიგრაციო სამსახურში დარწმუნებულები არიან, რომ რუსეთს იმიგრანტები სჭირდება – ეს ობიექტური რეალობაა. ამიტომ, აუცილებელია მათი ინტერესების გათვალისწინება, "რათა ისინი მილიციას სარდაფებში არ ემალებოდნენ".

ოფიციალური ინფორმაციით, სულ რუსეთში 7-დან 14 მილიონამდე უკანონო იმიგრანტი ცხოვრობს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**ირანი.** ოთხშაბათს ირანის საკანონმდებლო ორგანომ მიიღო გადაწყვეტილება ქვეყანაში ბენზინის დაბალი ფასების შესანარჩუნებლად, დაახლეობით, 3 მლრდ დოლარის დოტაციის გამოყოფის შესახებ.

ამჟამად, ირანელები ერთ ლიტრ ბენზინში დაახლოებით 10 ცენტს იხდიან მაშინ, როცა იგივე ოდენობის სასმელი წყალი გაცილებით ძვირი ღირს. დოტაციის უდიდესი ნაწილი (2,6 მლრდ) ნავთობის სტაბილიზაციის ფონდიდან დაიფარება, რომელიც ნავთობზე მაღალი ფასებიდან მიღებული დამატებითი შემოსავლებით ივსება. **როიტერსი**

# ისრაელის ხელისუფლება ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე შეთანხმდა

პირველი გვერდიდან

ვადამდელი არჩევნები, სავარაუდოდ, თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში გაიმართება.

**"შარონმა თვითონ გადაწყვიტოს, თებერვლის ბოლოს ჩაატარებს არჩევნებს თუ მარტის დასაწყისში. ნებისმიერი თარიღი ჩემთვის მისაღები იქნება, მაგრამ რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უკეთესი. უმოკლეს ვადებში არჩევნების ჩატარებით თავად შარონიც დაინტერესებულია,"** - აღნიშნა ამირ პერეცმა პრესკონფერენციაზე.

არაოფიციალური ინფორმაციით, არჩევნები შესაძლოა 28 თებერვალს ჩატარდეს, თუმცა, კონკრეტულად პრემიერის ადმინისტრაცია თარიღს ორშაბათს დააზუსტებს.

როგორც არიელ შარონმა ისრაელის ერთ-ერთ გავლენიან გაზეთთან ინტერვიუში აღნიშნა, შიდაპარტიული არჩევნების შემდეგ ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება მკვეთრად შეიცვალა. ამდენად, არ არის გამორიცხული, გარკვეულ დათმობებზე წაუსვლელობა უარყოფითად აისახოს ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით რეგულირების პროცესებზე.

**"როგორც კი ცხადი გახდა, რომ არსებული პოლიტიკური ჩარჩოები იმსხვრეოდა, გადაწყვეტილება მივიღე. ვფიქრობ, ქვეყნისთვის უკეთესი იქნება, უმოკლეს ვადებში ჩავატაროთ ვადამდელი არჩევნები. ეს დიპლომატიური ჩიხიდან გამოგვიყვანს. დაუშვებელია, რომ სამშვიდობო პროცესის ეფექტიანად წარმართვისას მომდევნო წელიც დაკარგულად ჩაითვალოს"**, - ამბობს არიელ შარონი "ედიოტ ახრონოტ"-თან ინტერვიუში.

შრომის პარტიის ახალი ლიდერი კი მოსახლეობას ისრაელის სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ძირეულ შეცვლასა და პალესტინელებთან მოლაპარაკებების განახლებას პირდება.

თანაც ყოველივე ზემოთქმულს იმასაც თუ დავუმატებთ, რომ ცოტა ხნის წინ არიელ შარონის ვაჟმა ომრი შარონმა 1999 წლის წინასაარჩევნო კამპანიისას ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობის ბრალდება თითქმის ყველა პუნქტით აღიარა, მამის პოზიციების შერბილება კიდევ უფრო გასაგები ხდება. სკანდალური "შარონის საქმის" აღძვრისას ხომ უფროსი შარონიც იყო დაკითხვაზე პროკურატურაში. ფინანსურ მაქინაციებში მის დაინტერესებას არც მაშინ გამორიცხავდნენ სამართალდამცველები.


## გცს.ს. "საქართველოს საზღვაო ბანკი" აცხადებს აუქციონს

### აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება

1. სამეული (1, 2, 3 ადგილიანი, ტყავის, თეთრი ფერის)- ფასი 1.800 ა.შშ დოლარის ექვ.ლარი
2. ჟურნალის მაგიდა, სამეული, ალუმინის კონსტრუქციით, მინის ზედაპირით - ფასი 180 ა.შშ დოლარი ექვ. ლარი

აუქციონი ჩატარდება 2005 წლის 25 ნოემბერს 12 საათზე ს.ს. "საქართველოს საზღვაო ბანკში" ქ. ბათუმი გოგებაშვილის N60.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ (888222) 7-73-38


## ჟურნალისტთა კონკურსი

unicef World Vision

## საუკეთესო სტატია საქართველოში ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრობლემის და მიმდინარე დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის შესახებ

პროექტი **"ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენცია და დეინსტიტუციონალიზაცია"** აცხადებს კონკურსს საუკეთესო პუბლიკაციისთვის თემაზე: **საქართველოში ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრობლემა და მიმდინარე დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი.**

ჟურნალისტს (ბეჭდვითი მედიის წარმომადგენელს), რომელსაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს კონკურსში, მოეთხოვება გამოაქვეყნოს სტატია აღნიშნულ თემაზე, ან ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მიმდინარე მოვლენებზე. სასურველია სტატია ეხებოდეს საზოგადოებისთვის საინტერესო თემებს, სადაც გამოკვეთილი იქნება ბავშვთა კეთილდღეობის სისტემაში მიმდინარე რეფორმა და პროექტის როლი ამ პროცესში.

სტატიის გამოქვეყნების ვადაა 18 ნოემბრიდან - 18 დეკემბრამდე (2005 წელი). ჟურნალისტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი მასალები: საკუთარი პუბლიკაციები და ავტობიოგრაფია. გამოქვეყნებული სტატიების წარდგენის ბოლო ვადაა 20 დეკემბერი. დოკუმენტები უნდა მოთავსდეს დაბეჭდილ კონვერტში და გადაეცეს დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფარს, ნუცუბიძის №3-ში, თბილისი, საქართველო.

სასურველია, დაინტერესებული პირები დაესწრონ სემინარს, რომელიც ჩატარდება პარასკევს, 25 ნოემბერს, 11-დან 13 საათამდე, დედათა და ჩვილ ბავშვთა თავშესაფარში. დამსწრეები მიიღებენ დეტალურ ინფორმაციას პროექტისა და იმ სტატიების ხასიათის შესახებ, რომლებიც კონკურსის ფარგლებში უნდა დაიბეჭდოს.

გამოქვეყნებულ მასალებს შეაფასებს ჟიური, რომელის შედგენლობაშიც იქნებიან პროექტის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები: **World Vision საქართველო**, **UNICEF**, **EveryChild**, **განათლებისა და მეცნიერების**, და **შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროები**.

კონკურსში გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან შემდეგი პრიზებით:

პირველი ადგილი - 500 დოლარი (ეკვივალენტი ლარებში)
მეორე ადგილი - 300 დოლარი (ეკვივალენტი ლარებში)
მესამე ადგილი - 200 დოლარი (ეკვივალენტი ლარებში)

გამარჯვებული მასალები გახდება **World Vision საქართველოს** და **UNICEF**-ის ექსკლუზიური საკუთრება, ხოლო მათი გამოყენების შემთხვევაში მოხსენიებულ იქნება ტექტისა და ფოტოს ავტორთა სახელებიც.

**დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:**

**მერი მახარაშვილი**
**CEDC-ის პროგრამის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი**
**World Vision საქართველო**
**მის: ნუცუბიძის ქუჩა N3, თბილისი, საქართველო**
**ტელ: (995 32) 39 11 49**
**მობ: (995 99) 16 02 62**
**ელ-ფოსტა: Mary_Makharasvili@wvi.org**
**ვებ-გვერდი: http://Georgia.WorldVision.org**

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ღია ტენდერს კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვაზე:

**ლოტი N1**

| | შესყიდვის ობიექტის დასახელება | შესყიდვის ობიექტის აღწერილობა | | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| | პერსონალური კომპიუტერი | CASE | ATX P4 300W Codegen 3309-1 | 85 ცალი |
| | | K/B | Standard PS/2 MM KEYS | 85 ცალი |
| | | MOUSE | PS/2 OPTICAL | 85ცალი |
| | | FDD | 1.44MB 3.5 | 85ცალი |
| | | M/B | Int848P 478pin FSB800dual DDR400, SATA, AGP8X 6-ch, Audio, LAN 10/100 | 85 ცალი |
| | | CPU | D325 2530/533/256 478PGA BOX | 85 ცალი |
| | | RAM | DDR 512 MB PC 3200 184PIN/2?256 | 85 ცალი |
| | | HDD | 40GB SATA | 85 ცალი |
| | | SVGA | 3d up+064MB | 85ცალი |
| | | CD-ROM | 52X, IDE | 85ცალი |
| | | SOUND | ON Board 3D 6 Channel | 85ცალი |
| | | SPEAKERS | Active | 85 ცალი |
| | | MONITOR | 17" 0.2 mm 795MB+, 10 | 85 ცალი |
| | | UPS | 600E/VA | 85 ცალი |

**ლოტი N2**

| შესყიდვის ობიექტის დასახელება | ტექნოლოგია | ბეჭდვის ტიპი | ლაზერული | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| პრინტერი | | ხარისხი | 600-1200dpi | 85 ცალი |
| | მწარმოებლობა | მუშაობის ციკლი | 10 000 გვერდი თვეში | |
| | | ბეჭდვის სისწრაფე | 25 გვერდი/წუთში | |
| | საქაღალდის მოცულობა და მიწოდება | დოკუმენტ-მიმწოდებელი(ჯამი) | მინიმუმ 2 | |
| | | სტანდარტული ჯამი | 500 გვერდი | |

**ზემოაღნიშნული საქონელი მოწოდებულ უნდა იქნეს არაუგვიანეს 2005 წლის 15 იანვრამდე, შეფუთულ მდგომარეობაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ.N32 (შემოსასვლელი არსენას ქუჩიდან). ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში./**

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2005 წლის 2 დეკემბრიდან 5 დეკემბრის 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან.) ოთახი N408.

2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1. იურიდიული პირებისათვის:

- *ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);*
- *ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);*
- *ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი პირები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან);*

2.2. ფიზიკური პირებისათვის:

- *ცნობა ქმედითუნარიანობის შესახებ (შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან);*
- *ცნობას, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (შესაბამისი სასამართლოდან);*
- *ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებულ დანაშაულისათვის (შსს საინფორმაციო ცენტრი);*

3. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

4. საკვალიფიკაციო მონაცემების განხილვის შედეგები მონაცემების წარმომდგენ ყველა პირს წერილობით ეცნობება, საკვალიფიკაციო მონაცემების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა;

5. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს 2005 წლის 6 დეკემბრიდან 8 დეკემბრის ჩათვლით, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ;

6. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: , საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან) ოთახი № 408.

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: თამარ მესტვირიშვილი, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32 (შესასვლელი არსენას ქუჩიდან), ტ. 93.56.96.

**სატენდერო კომისია**

კალათბურთი

# უკან მომავალში

მამუკა ხოშტარია

ოთხშაბათს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდა. მოქმედმა პრეზიდენტმა, ბატონმა ბესიკ ლიპარტელიანმა, თანამდებობა შეინარჩუნა. იგი ამ პოსტზე ერთადერთი კანდიდატი იყო. არჩევნებიც, შესაბამისად, ყველაფრით ძველ კარგ დროს მოაგონებდა კაცს: ერთი თანამდებობა, ერთი კანდიდატი, შესაშური ერთსულოვნება დელეგატებს (ამომრჩევლებს) შორის. რა თქმა უნდა, ერთსულოვნებაში ცუდი არაფერია და არც პირადად ბატონ ბესოსთან გვაქვს პრეტენზიები. შეშფოთებას თვითონ სისტემა და ამ სისტემაში წარმოქმნილი სიტუაციები იწვევენ. ქართული კალათბურთი იდეების და ინიციატივების ნაკლებობას რომ განიცდის, ალბათ, ყველასათვის ნათელია. ვერ ხერხდება ბავშვთა კალათბურთის განვითარება, ნაკრების წარმატებულად გამოსვლა ევრო ასპარეზზე, სპონსორების მოძებნა, მათი დაინტერესება. მიუხედავად იმისა, რომ დასწრება უფასოა, უმაღლესი ლიგის თამაშების უმრავლესობაზე ცარიელი დარბაზი ნორმალურ მოვლენადაა ქცეული.

დრო გადის და პრაბლემები არ იცვლება. არ იცვლებიან მოქმედი პირებიც... უძრაობის ხანაში ვბრუნდებით. არა, კი არ ვბრუნდებით, არც გამოვსულვართ... რა პროგრესზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როცა ფედერაციის პრეზიდენტობის მსურველიც არავინ არის, ერთი კაცის გარდა. საერთოდ ყველაფერში და სპორტში მით უმეტეს, კონკურენციის გარეშე, განვითარება რომ წარმოუდგენელია, თითქოს ყველამ ვიცით... ვიცით, მაგრამ... ისლა დაგვრჩენია, მადლობა ვუთხრათ ბატონ ბესოს, (მან მაინც რომ გამოთქვა სურვილი, თორემ ქართული კალათბურთი, ალბათ საერთოდ ბედის ანაბარა დარჩებოდა!) წარმატება ვუსურვოთ და გაგვიკვირდეს: საერთოდ როგორ ვთამაშობთ?!

ფეხბურთი

# ტომას გრავესენი: "მატჩისთვის მზად ვართ"

ხვალინდელი მატჩის წინ მადრიდის "რეალის" ნახევარმცველმა ტომას გრავესენმა "ბარსელონას" შესახებ ჟურნალისტებს თავისი შთაბეჭდილება გაუზიარა.

**- დღეს შენ ივარჯიშე. პაციენტი მზად არის ლაზარეთიდან გამოსაწერად?**

- მე, თანდათანობით წინ მივიწევ. ყოველდღიურად უკეთესობას ვგრძნობ, მაგრამ დღეს მინდორზე პირველად ვივარჯიშე.

**- შენი მკურნალობის მეთოდების ირგვლივ კვლავ პოლემიკა ატყდა. მედიკამენტებს რატომ არ იყენებ?**

- ეს ძველი თემაა და კიდევ ერთხელ ახსნას არ საჭიროებს.

**- მაგრამ, შენ ხომ იცი, კლუბი უკმაყოფილოა იმის გამო, რომ მხოლოდ სახალხო მედიცინით მკურნალობ...**

- მე კავშირი მაქვს ჩემს ექიმებთან, ფიზიოთერაპევტებთან, მაგრამ ჩემი ტრავმები დიდხანს იკურნება.

**- როგორია ამჟამად შენი მდგომარეობა?**

- მე ძალიან ბევრს და რუდუნებით ვარჯიშობ, მაგრამ ასეთი მატჩებისთვის 100 პროცენტით უნდა მოემზადო.




მხოლოდ მაშინ ვითამაშებ, როცა ფორმაში ვიქნები.

**- ახალი ბაზა როგორ მოგწონს?**

- ფანტასტიკაა. ის ჩვენ ყველას მოგვეწონა. ჩვენ სწორედ ამას ველოდებოდით. აქ ვარჯიში სიამოვნებაა. ეს იმ გზის კარგი მახასიათებელია, რომლითაც მივდივართ.

**- განათების გარეშე რატომ ივარჯიშეთ? საღამოს დაბნელდა და პრაქტიკულად არაფერი ჩანდა...**

- იმიტომ, რომ დღეს პირველი დღე იყო.

**- ბოლო დროს ბევრი ჭორი გაჩნდა იმის შესახებ, რომ ზამთარში კლუბის დატოვებას აპირებ...**

- გაზეთებმა ყოველდღე რაღაც ხომ უნდა წერონ. მე უაღრესად ბედნიერი ვარ და ამ კლუბში ყოფნით სიამოვნებას ვიღებ. მე არ მინდა ამ ინფორმაციის კომენტირება. მადრიდის "რეალი" შესანიშნავი გუნდია და ამ ჭორებს კომენტარს ვერ გავუკეთებ.

**- შარშანდელთან შედარებით შენი სიტუაცია შეიცვალა. წელს თამაშის დაწყება სათადარიგოთა სკამიდან გიწევს.**

- გუნდი გაძლიერდა. ახალი ფეხბურთელები მოვიდნენ, მაგრამ მე ვმუშაობ იმაზე, რომ ოპტიმალურ დონეს მივაღწიო. ჩვენ უძლიერესი კლუბი უნდა გავხდეთ და თუ ამისთვის ჩემი სათადარიგოთა სკამზე ჯდომა გახდება საჭირო, მზად ვარ. ყველაფერი რიგზეა იმიტომ, რომ პაბლო გარსია შესანიშნავი ფეხბურთელია.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ "ბარსელონა" "რეალზე" უკეთესია. შენ როგორ ფიქრობ?**

- ჩვენმა გუნდმა თავისი ძალა უკვე დაამტკიცა, როცა ურთულესი სიტუაციიდან გამოვიდა, რომელიც ტრავმების, დისკვალიფიკაციებისა და ხშირი გადაფრენების შედეგად წარმოიქმნა. არ მგონია, რომ "ბარსელონასთან" შეხვედრამდე რაღაც უნდა შევცვალოთ. ჩვენ ამ მატჩისთვის მზად ვართ.

**- როგორ ფიქრობ, რონალდო ითამაშებს?**

- მე არც ექიმი ვარ და არც ფიზიოთერაპევტი, მაგრამ ვხედავ, რომ ის კარგ კონდიციებშია. ვიმედოვნებ, რომ შაბათს მთელი გუნდი ფორმაში იქნება.

**- როგორ განწყობაზე იყო გუნდი "კლასიკოს" წინ პირველ ვარჯიშზე?**

- ნაკრებებიდან ესპანელებისა და ურუგვაელების გარდა ყველა დაბრუნდა. მაგრამ გუნდის შიგნით ატმოსფერო კარგია და შესაშინებელი არაფერია.

# "იუნიფესტი" მსოფლიოსთვის

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ერთბაშად ექვს ეროვნულ ნაკრებს ექნება დებიუტი. ესენი არიან უკრაინა, განა, ტოგო, ანგოლა, კოტ დიუარი და ტრინიდადი და ტობაგო. თუმცა, ცალკეული სენსაციების გამოკლებით, პლანეტის საფეხბურთო ფორუმზე მსოფლიოს მართლაც საუკეთესო გუნდებმა გააღწიეს.

ინგლისელი მსაჯის, გრემ პოლის საფინალო სასტვენით, რომელიც ჩეხეთი-ნორვეგიის მატჩში გაისმა, ოფიციალურად დასრულდა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. გაირკვა 32-ვე ფინალისტის ვინაობა. კვალიფიკაციის შედეგები, ერთი მხრივ, მეტი რომ არ შეიძლება ისე ლოგიკური, ხოლო მეორე მხრივ, საკმაოდ პარადოქსალური აღმოჩნდა.

როგორც ჩანს, ძალზე საინტერესო ფინალური ეტაპი გველის. ბევრს სიცილადაც არ ჰყოფნიდა ისეთი გუნდების გამოჩენა მსოფლიო ჩემპიონატზე, როგორებიცაა სლოვენია, ეკვადორი და სენეგალი. 2002 წელს სწორედ ამ სამი გუნდის დებიუტი შედგა. მაგრამ სწორედაც მხოლოდ სამის, მომავალ წელს კი საფეხბურთო ფორუმზე მსოფლიო კიდევ ექვს ახალ გუნდს გაიცნობს. უკვე დასახელებულ გუნდებს შორის უკრაინის ნაკრების დებიუტანტებზე მიკუთვნება მხოლოდ ფორმალურად იქნება გამართლებული. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო ათწლეულში ამ ზესახელმწიფოს ნაკრების ძირითად ბირთვს სწორედ უკრაინელი ფეხბურთელები, ძირითადად, კიევის დინამოელები შეადგენდნენ.

მაგრამ ანგოლა, ტოგო, ტრინიდადი თავის ტობაგოსთან ერთად? განა ვინმე მოელოდა ამ გუნდების ასეთ სერიოზულ ტურნირში გამოჩენას? მართლაც, უჩვეულო მუნდიალი გველის. 32 წლის წინ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი და ეს ტურნირიც ბევრი უცნაურობით გამოირჩა. შეგახსენებთ, რომ მაშინ ტურნირში მონაწილეობდა არა 32 გუნდი, არამედ ამ რაოდენობის ნახევარი – 16 და მაშინაც, მასში მონაწილეობის უფლება რამდენიმე ეგზოტიკურმა ქვეყანამ მოიპოვა. მაშინ გერმანია-74-ში ითამაშეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიცაა ჰაიტი და ზაირი. ჰაიტელებმა მინისენსაციაც კი გამოაცხვეს – მკვირცხლი თავდამსხმელის, სანონის გოლის წყალობით ეს გუნდი მცირე დროის განმავლობაში თვით იტალიას ამარცხებდა. ზაირელებმა კი გულშემატკივრებს თავი ძირითადად საფეხბურთო წესების ნაწილობრივი არცოდნით დაამახსოვრეს. თან, ანტირეკორდიც დაამყარეს, დამარცხდნენ რა იუგოსლავიასთან ანგარიშით 0:9.



შევჩენკო მსოფლიო ჩემპიონატზე პირველად ითამაშებს.

მომდევნო მსოფლიო ჩემპიონატზე ანალოგიურ შედეგს უკვე სალვადორელები გაიმეორებენ, რომლებიც უნგრელებთან 1:10 დამარცხდებიან.

1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატს მომავალ მუნდიალთან ბევრი რამ ანათესავებს. ამჯერადაც, არაერთი "ინკოგნიტო" გუნდი მოხვდა ფინალურ ეტაპზე, რომელთა დიდი ნაწილიც, არ არის გამორიცხული, მხოლოდ ტურისტად ჩავიდეს გერმანიაში. შესაბამისად, წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ გერმანია-2006 განსაცვიფრებელი შედეგიანობის ნიშნით ჩაივლის.

შესაძლოა, ვინმემ ევროპის მოქმედი ჩემპიონის, საბერძნეთის ნაკრების არყოფნაზე დაიჩივლოს. თუმცა კი, ელადელების გაჩემპიონების კანონზომიერება კითხვის ნიშნის ქვეშ ხომ ამ წლინახევრის წინ, პორტუგალიის ევროპული ფორუმის დასრულებისთანავე მოექცა. 1993 წლის ნოემბერში შეიძლებოდა იმის გამო სინანულის გამოთქმა, რომ ევრო-92-ის მეფეები, დანიელები ვერ მოხვდნენ მსოფლიო ჩემპიონატზე. თუმცა კი, მაშინ დანიელების ვერმოხვედრა ამერიკის მუნდიალზე უფრო ავბედით შემთხვევითობას უნდა მიეწეროს: მაშინ შესარჩევ ქვეჯგუფში ირლანდიამ და დანიამ თანაბარი ქულები დააგროვეს, ირლანდიელებმა საგზური დანიელებთან შედარებით უკეთესი ბურთების სხვაობით მოიპოვეს.

რაც შეეხება ბერძნებს, რეჰაგელის გუნდმა შესარჩევ ტურნირში მხოლოდ და მხოლოდ მეოთხე ადგილი დაიკავა, რაც კატასტროფული შედეგია იმის გათვალისწინებითაც, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე პირდაპირ მოხვედრა მხოლოდ პირველი ადგილის დაკავებით შეიძლებოდა.

უცნაური კანონზომიერებაა: ავსტრალიის ნაკრებს აქამდე მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე ორჯერ მოუწია თამაში და ეს ორივეჯერ გერმანიაში გამართულ მუნდიალზე მოხდა. 1974 წლის ფორმაციის ავსტრალიის ნაკრები, პირდაპირ უნდა ითქვას, ნამდვილად არ ბრწყინავდა, თუმცა, მწვანე კონტინენტის ამჟამინდელი გუნდი, თავისი კიუელით, შვარცერით და კომპანიით, ალბათ, გერმანიაში წყლის ამღვრევის ფუნქციას შეასრულებს. გირჩევთ, ყურადღებით დააკვირდეთ ამ გუნდს. გუუს ჰიდინკმა ხომ ბოლო ორ ჩემპიონატზე თავისი გუნდები ნახევარფინალამდე მიიყვანა.

დიახ, ნამდვილად საინტერესო მსოფლიო ჩემპიონატი გველის. აქამდე გერმანიის ტრადიციული ლუდის ფესტივალები მოიხსენიებოდა მათი ჩატარების თვის, ოქტომბრის მიხედვით და ეწოდებოდა "ოქტობერფესტი". როგორც ჩანს, ამჯერად "იუნიფესტი" გველის, რადგან, თამაშების უმეტესობა სწორედ ივნისში გაიმართება. ბარემ დავასახელოთ ამ ფესტივალის ოცდათორმეტივე მონაწილე: გერმანია, ბრაზილია, არგენტინა, ეკვადორი, პარაგვაი, ავსტრალია, ჰოლანდია, ჩეხეთი, უკრაინა, პორტუგალია, საფრანგეთი, შვეიცარია, იტალია, ხორვატია, შვედეთი, ინგლისი, პოლონეთი, ესპანეთი, სერბეთი, განა, ტუნისი, ტოგო, ანგოლა, კოტ დიუარი, ირანი, იაპონია, სამხრეთ კორეა, საუდის არაბეთი, აშშ, მექსიკა, ტრინიდადი და ტობაგო, კოსტა-რიკა.

ფინალური ეტაპის კენჭისყრა გაიმართება 2005 წლის 9 დეკემბერს, გერმანიის ქალაქ ლეიპციგში.

გუნდების წინასწარი განთესვა მოხდება 6 დეკემბერს, კენჭისყრამდე 3 დღით ადრე. 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირი 9 ივნისს აიღებს სტარტს და ზუსტად ერთი თვის შემდეგ, 2006 წლის 9 ივლისს დასრულდება.

# ვენების ვარიკოზული დაავადება - გვაქვს თუ არა განკურნების შანსი?

*ვენების ვარიკოზული დაავადება - გაგანიერებული, ფერშეცვლილი ვენები, კაპილარული სისხლჩაქცევები კანის ზედაპირზე, ფეხებში ტკივილისა და დაბუჟების განცდა... ძნელია დაასახელო სხვა დაავადება, რომელიც ერთდროულად ასე ფართოდაა გავრცელებული მოსახლეობაში და ამდენ პრობლემას უქმნის ავადმყოფს. როგორ უნდა "გამოვიცნოთ" ვენების ვარიკოზული დაავადება ადრეულ სტადიაზე? როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ გვაწუხებს მისთვის დამახასიათებელი სიმპტომატიკა? მკურნალობის რა გზებს გვთავაზობს თანამედროვე მედიცინა?*

გვესაუბრება საქართველოს რკ/გზის ***ანგიოლოგია ანგიოქირურგიის სამკურნალო-კვლევითი ცენტრის*** ფლებოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, **პროფ. იგორ მიქაძე**

**- ბატონო იგორ, რა ძირითადი ნიშნებით ვლინდება ვენების ვარიკოზული დაავადება?**

- ვენური სისხლის მიმოქცევის დარღვევისთვის დამახასიათებელი უმთავრესი სიმპტომებია სიმძიმე ფეხებში, დაღლილობის და ფეხების დაბუჟების შეგრძნება, სურვილი, რაც შეიძლება მალე გაიხადო ფეხსაცმელი ტკივილის, შეშუპებისა და "დაკრუნჩხული კუნთის" დაძაბულობის გამო, ღამის გაკვანძვები.

წარმოიდგინეთ, რომ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის 30-50%-ს აქვს ვენური პათოლოგიის ესა თუ ის ფორმა. ქალებში იგი 2-3-ჯერ უფრო ხშირია, ვიდრე მამაკაცებში. უმეტესწილად დაავადებულია შრომისუნარიანი მოსახლეობა 30-40 წლის ასაკში, ხოლო მათი 10-15% ინვალიდი ხდება.

**- საინტერესოა, როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა გვაწუხებს ზემოთ აღწერილი სიმპტომატიკა?**

- ჩვენი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი არ მიმართავს ექიმს, და ეწევა თვითმკურნალობას. პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში ასეთი მკურნალობა უშედეგოა. უფრო მეტიც, თუ წლიდან წლამდე თქვენ არ ჩაგიტარდებათ კვალიფიციური მკურნალობა, თქვენ გაქვთ შანსი მოხვდეთ ამ დაავადებით გამოწვეულ ინვალიდთა რიცხვში.

თქვენთვის უკვე ცნობილია ისეთი გართულებები, როგორიცაა სპილოვნება, ტროფიკული წყლული, მორეციდივე წითელი ქარი, თრომბოფლებიტი. როგორ არასასიამოვნოდ ხვდება ყურს თითოეული აქედან ჩამოთვლილი. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ეს გართულებები, როგორც წესი არის საკუთარი თავის მიმართ დაუდევრობის შედეგი. და ეს მით უფრო დასანანია, რომ დღეს უკვე არსებობს ქრონიკული ვენური უკმარისობის მკურნალობის წარმატებული მეთოდები. სისხლძარღვთა ქირურგიაში კი გამოიკვეთა ისეთი მიმართულება, რომელიც უშუალოდ ვენური დაავადებებით არის დაკავებული - ეს არის ფლებოლოგია. თუ ჩვენ გულის ტკივილის დროს მივმართავთ კარდიოლოგს, შაქრიანი დიაბეტის დროს - ენდოკრინოლოგს და ა.შ., ვენური დაავადებების დროს უსათუოდ უნდა მივმართოთ ფლებოლოგს. მხოლოდ ამ სპეციალისტს შეუძლია კვალიფიციურად უმკურნალოს ვენურ დაავადებას.

**- ბატონო იგორ, მოსახლეობაში დღემდე არსებობს აზრი, რომ ვენების ვარიკოზული დაავადების მკურნალობის ერთადერთ ეფექტურ გზას წარმოადგენს ქირურგიული ოპერაცია. საინტერესოა, რეალურად მკურნალობის რა მეთოდებს გვთავაზობს თანამედროვე მედიცინა?**

- დღეს არსებობს ვენური დაავადებების მკურნალობის სამი ძირითადი მიმართულება:

**1. ქირურგიული მკურნალობა.** ეს მკურნალობის ყველაზე რადიკალური და ეფექტური მეთოდია. ოპერაციის შესრულების ახალი, ნაკლებად ტრავმატული მიდგომა ამცირებს როგორც ოპერაციის ხანგრძლივობას, ისე პაციენტის სავადმყოფოში ყოფნის დროს (ერთ დღემდე) და უზრუნველყოფს კოსმეტიკურ ეფექტს.

ზოგიერთ პაციენტისგან გვესმის, რომ ქირურგიული ჩარევის შემდეგ ვენები ისევ "ჩნდება" და ამიტომ იგი უარყოფითადაა განწყობილი ოპერაციის მიმართ. უნდა ავღნიშნოთ, რომ კვალიფიციურად ჩატარებული ოპერაციის შემდეგ ვენები არ უნდა "გაჩნდეს". მაშინ კი, როდესაც ოპერაცია კეთდება შორს წასულ შემთხვევაში, ან ოპერაციის შემდგომ პერიოდში ავადმყოფი არ იცავს ექიმის რჩევებს, მართლაც არსებობს რეციდივის რისკი. შემთხვევათა 10-15 %-ში შეიძლება "გაჩნდეს" კანქვეშა ვენური ქსელი. ეს ქსელი არ წარმოადგენს სერიოზულ საშიშროებას და თუ თქვენ მუდმივ კონტაქტში იმყოფებით თქვენს ფლებოლოგთან, ის არ დაუშვებს პროცესის გავრცელებას და გართულებების გაჩენას.

**2. სკლეროთერაპია.** ეს არის ნაკლებტრავმული ინექციური მეთოდიკა, რომელიც გულისხმობს ვარიკოზული ვენებისა და გაფართოებულ კანქვეშა კაპილარული ქსელის გაქრობას. მკურნალობის დროს მასკლეროზირებელი ნივთიერება შეიყვანება ინტრავენურად. ინიექციის შემდგომ, ექიმის გადაწყვეტილებით, საჭიროა ჩულქის ან ელასტიური ბანდის ტარება 5-დან 10 დღემდე. მანიპულაციის ჩატარების შემდეგ, აუცილებლია აქტიური სიარული 1 საათის განმავლობაში. პროცედურა მიმდინარეობს ამბოლატორიულად და არ საჭიროებს გაუტკივარებას.

3. შემდეგი მეთოდია **კონსერვატული მკურნალობა**. ეს არის ყველაზე ფართოდ გამოსაყენებადი და ზოგ შემთხვევაში, ერთადერთი საშუალება, რითაც ექიმს შეუძლია დაეხმაროს ავადმყოფს. ამავდროულად, როგორც ქირურგიული მკურნალობა, ისე სკლეროთერაპია აუცილებლად უნდა ტარდებოდეს კონსერვატიულ თერაპიასთან ერთად. წარმატებული ქირურგიული ოპერაციის ან სკლეროთერაპიის შემდეგ ცხოვრების რეჟიმიდან აუცილებლად უნდა გამოვრიცხოთ ქრონიკული ვენური უკმარისობის რისკის ფაქტორები - ჭარბცხიმიანობა, ცხოვრების პასიური წესი, ჰორმონალური პრეპარატების მიღება, ხანგრძლივი სტატიკური დატვირთვა, სიმძიმეების აწევა და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩატარებული მკურნალობის შედეგებს რისკის ქვეშ დავაყენებთ და ხელს შევუწყობთ რეციდივის გაჩენას.

კონსერვატიული მკურნალობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია დაავადებული ქვედა კიდურის ელასტიკური კომპრესია, რომელსაც შეგვიძლია მივაღწიოდ სპეციალური სამკურნალო ტრიკოტაჟის მეშვეობით, ან სპეციალური ელასტიური ბინტებით.

**- რამდენად ეფექტურია ამ დროს ტაბლეტირებული მედიკამენტების მიღება?**

- ტაბლეტოთერაპიის როლი ვენების ვარიკოზული დაავადების მკურნალობაში დღითიდღე მატულობს. შეიძლება გამოვყოთ პრეპარატთა რამდენიმე კლასი, რომელთა ეფექტურობა დადასტურებულია არაერთი მაღალსარწმუნო კვლევით.

სისხლის შედედების კორექციისთვის აუცილებელია ე.წ. ანტიკოაგულანტების (მაგალითად ვარფარინი, სინკუმარი, ჰეპარინი) გამოყენება. ეს მედიკამენტების ის ჯგუფია, რომლის გამოიყენება შეიძლება მხოლოდ გამოცდილი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ.

ანთების საწინააღმდეგო პრეპარატების გამოყენება ხელს უწყობს ტკივილის გაქრობას, ანთების ჩაქრობას ვენის ქსოვილში და მის ირგვლივ. ანთების საწინააღმდეგო პრეპარატებს (დიკლოფენაკი, იბუპროფენი, ასპირინი, მელოქსიკამი და ასე შემდეგ) ახასიათებს უკუჩვენებები და ზოგჯერ სერიოზული გართულებები იმ შემთხვევაში, თუ ამ პრეპარატების მიღება ხდება ექიმის კონსულტაციის გარეშე.

ძირითად როლს თერაპიულ მკურნალობაში თამაშობს მედიკამენტების ჯგუფი, რომელსაც ეწოდება ვენოტონიკები. ამჟამად ამ ჯგუფის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელია პრეპარატი დეტრალექსი, სინთეზირებული ფრანგული ფარმაცევტული კომბანია "სერვიეს" ლაბორატორიაში.

უნდა ითქვას, რომ ევროპის ქვეყნების უმეტესობაში დეტრალექსის გაჩენის შემდეგ, კონსერვატულმა მკურნალობამ მიიღო რეალური საფუძველი.

დეტრალექსი მაღალეფექტური სამკურნალო საშუალებაა არა მარტო ვენების ვარიკოზული გაგანიერების, არამედ ყველა სახის ქრონიკული ვენური უკმარისობის სამკურნალოდ. ამ პრეპარატს პრაქტიკულად არ აქვს უკუჩვენაბა. მისი მოქმედების ეფექტურობის საფუძველს წარმოადგენს მკაფიო და მიზანმიმართული ზემოქმედება დაავადების უმთავრეს გამომწვევ რგოლებზე: პრეპარატის შემადგენლობაში შემავალი მცენარეული წარმოშობის კომპონენტები (ფლავონები) ამაგრებენ ვენურ კედელს, აჩქარებენ სისხლისა და ლიმფის დენას, აცხრობენ ლოკალურ ანთებით პროცესს. შედეგად, მცირდება შეშუპება, ქრება ფეხებში დისკომფორტის, სიმძიმის, სიმხურვალისა და ტკივილის განცდა, ჩქარდება ტროფიკული წყლულების შეხორცება. მკურნალობის კურსი გრძელდება 2 თვემდე დოზით 2 ტაბლეტი დღეში. დაავადების რემისიის შენარჩუნებისათვის აუცილებელია დეტრალექსის დანიშვნა გახანგრძლივებული კურსის სახით. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ავადმყოფს ესაჭიროება ოპერაცია, რეკომენდირებულია დეტრალექსით ოპერაციისწინა მომზადება და ოპერაციისშემდგომი მკურნალობა, არანაკლებ 2 თვის განმავლობაში.

ზემოაღნიშნულის განცხადების საფუძველს გვაძლევს არა მარტო დეტრალექსის შესახებ არსებული ფუნდამენტური სამეცნიერო ლიტერატურა, არამედ ამ პრეპარატის გამოყენების უკვე მრავალწლიანი გამოცდილება ჩვენს კლინიკაში.

**დამატებითი კონსულტაციის მისაღებად პროფ. იგორ მიქაძეს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 56 48 47; 8 99 51 90 28, ან მისამართზე: თევდორე მღვდლის ქ. N13, მე-5 სართული, "რკ/გზის ძველი საავადმყოფო".**

ნინია კაკაბაძის სვეტი

## გიხაროდეთ, გვიხაროდეთ....



ის ჯარისკაციც არის, პოლიციელიც, პატრიოტიც; მას ბავშვებიც უყვარს, მან ავტობუსის ტარებაც იცის, ტრაქტორის და მეტროს მატარებლისაც, ის ყველგან არის, მან ყველაფერი იცის, ყველა უყვარს და ყველას უყვარს. მისი ერთ-ერთი წინამორბედი ბოდლერს თარგმნიდა და როიალზეც უკრავდა, მაგრამ რა?! ვინმემ ნახა რამე ხეირი?!

ის ბუნებრივი, ადამიანური, მომღიმარი და სხარტია. ხალხს უყვარს, მას ხალხი უყვარს, ის ჩვენს ქვეყანას მხსნელად მოევლინა, მან გაანადგურა გველეშაპი და გვიხსნა ჩვენ ბოროტისაგან. სხვა ვინ, თუ არა ის?! ადამიანთა გულთამპყრობელი, სიკეთის მქადაგებელი, სნეულთა მკურნალი, მოსიყვარულე და კეთილშობილი. მართლაც, რომ ღვთისმშობლის რჩეული ქვეყანა ვართ, მხოლოდ ღვთისმშობლის მადლით იშვა მიწასა ამასა ზედა იგი, ჩვენი მხსნელი. ყველგან მარტოა, მარტო იბრძვის და ყველა ბრძოლა მისი გამარჯვებით სრულდება. ის გენიაა, ის მოვლენაა, ის მესიაა...

ძვირფასო მკითხველო, ჯერ არ გინახავს ტელეეთერში ვიდეორგოლი მისი მოღვაწეობის შესახებ? მე ვნახე. მართლაც, რომ შესანიშნავია! მართალია, ნოემბრის რევოლუციას ეძღვნება, მაგრამ რად ღირს რევოლუცია მის გარეშე, ვინ იყვნენ დანარჩენი პოლიტიკოსები, თუ არა ის?! ვინ იყო ხალხი, რომელიც წვიმაში გარეთ იდგა, თუ არა ის?! ხალხი ბრბოა, - დაგავიწყდათ? ცხვრის ფარა, რომელიც მას მიჰყვებოდა. შესანიშნავი "კლიპია", მაგრამ რასაკვირველია, არა ისეთი სრულქმნილი, როგორც თავად ის არის. კი, ავტობუსის საჭესაც მართავს, პატრიოტების ფორმაშიც ბავშვებთან ერთადაა, ტანკშიც ზის და მეტროშიც, მაგრამ რატომ ასე ცოტა?! განა სხვა რამე არ შეუძლია მას? მაპატიოს კლიპის ავტორმა, მაგრამ პატარა შენიშვნები მაინც უნდა გამოვთქვა. მაგალითად, სიამოვნებით ვნახავდი ფრაგმენტს "გედების ტბიდან", პუანტებში გამოწყობილს, როგორ ცეკვავს ნინო ანანიაშვილთან ერთად, განა არ არის საკმარისად ელასტიური და მოქნილი?! ვნახავდი მას რინგზე ზვიადაურთან შერკინებულს, განა ვერ დაამარცხებს?! ვნახავდი შტანგით ხელში, როგორ წევს 300 კილოგრამიან შტანგას, დარწმუნებული ვარ, კლიპის შემქმნელს ეჭვი ეპარება, მაგრამ მინდა იცოდეს, რომ ის 300 კილოსაც ასწევს და გაცილებით მეტსაც, - ის ხომ ჰერკულესის შთამომავალიც არის. მახსოვს ის მზიანი დილაც, ერთხელ ოსური ცეკვაც რომ შეასრულა. ევროპულ ცეკვებსაც გადასარევად ცეკვავს, რატომ გვიმალავთ ამ ფაქტებს?! ამგვარ ჩამონათვალს ვერასდროს დავასრულებთ, იმიტომ რომ, მას ყველაფერი შეუძლია, ყველაზე ძლიერი, ყველაზე მომხიბვლელი, ყველაზე კეთილი არსებაა, რაც კი ოდესმე ღმერთს შეუქმნია. რა არის იმის მიზეზი, რომ ასე ცოტა გადმოგვიგდეს, ასე მკრთალად დაგვანახეს მისი არსება, ასეთ (სლენგს ვიხმარ) "ნიხვატკაში" დაგვტოვეს. იქნებ შურია? ოხერი რამეა ეს შური! არ უნდათ წარმოგვიდგინონ მთელი მისი ღირსებები ("პრელესტები"). გგონიათ დავიჯერებთ, რომ ბოდლერს, ეკოს თუ ფუკოს არ თარგმნის? გგონიათ დავიჯერებთ და არ ვიცით, რომ ლექსო თორაძესთან ერთად შესანიშნავად ასრულებს ოთხ ხელში მოცარტის მე-4 საფორტეპიანო კონცერტს. ხალხი არც ისეთი ბრიყვია, თქვენ რომ გგონიათ, ჩვენ ყველაფერი ვიცით!

ახლა იმასაც დაიწყებენ ფსევდო ინტელექტუალები - 23 ნოემბრის ვიდეორგოლში ხალხი საკმარისად არ მოჩანსო. ზოგი ხალხზე იდარდებს, ზოგიც სხვა პოლიტიკურ ლიდერებზე. ხალხი არა, მაგრამ, ალბათ შესაძლებელი იყო გაკვრით მაია ნადირაძე, კობა ბექაური, დავით კირკიტაძე, დავით კეზერაშვილი და ალბათ კიდევ რამდენიმე მსგავსი პატრიოტი დაგვენახა, მაგრამ რანი იყვნენ და რანი არიან ისინი მის გარეშე?! ადამიანები? ხალხი, გითხარით რომ ბრბოა! მაგალითად, მესიამოვნებოდა, თუკი გვაჩვენებდნენ მრავალრიცხოვან მიტინგს და ყველა ცალკეულ ადამიანს მისი სახე ექნებოდა, მდედრსაც და მამრსაც. რატომ? იმიტომ, რომ 23 ნოემბრიდან მისი ხატება და იერი, მისი სული ყველა ჩვენთაგანშია და ამიტომაც სრულიად საქართველო ის არის!

ამიტომ არ არის საჭირო გაბრაზებული საუბრები იმასთან დაკავშირებით, რომ ხალხის ღვაწლი იგნორირებულია 23 ნომებრის კლიპში თუ ზოგადად ნოემბრის მოვლენებში. არ არის საჭირო იმის თქმა, რომ ეს კლიპი აშკარა მაგალითია იმისა, რომ ქვეყანა ავტორიტარული რეჟიმისკენ სწრაფი ნაბიჯით მიდის. ნუ ვიტყვით რომ ჩვენ ყოველთვის გმირი გვჭირდება, თუნდაც საკუთარი გმირობის ხარჯზე. გამოგონილი და შეთითხნილი ბელადი გვჭირდება, რომელსაც გავყვებით. ის ბელადი არ არის, ის მესიაა, რომელიც მხსნელად მოგვივლინა ღმერთმა. განა 23 ნოემბერი კომუნისტური, ძირმომპალი რეჟიმის დამარცხების დღე იყო? კარგად დაუკვირდით სარეკლამო რგოლის შინაარსს. კადრი მისი ინაუგურაციის ცერემონიით იწყება. კლიპის რეჟისორი ფარულად მიგვანიშნებს არსის ჭეშმარიტებას. 23 ნოემბერს გაიგო ხალხმა, რომ მან სძლია ბოროტსა და ჩვენს წინამძღოლად ჩადგა ქვეყნის სათავეში. ჰოდა, მოდით მისი მეორედ მოსვლა ერთად აღვნიშნოთ, ერთად ვიმხიარულოთ და ღმერთს კიდევ ერთხელ ვუთხრათ მადლობა. ის ჩვენთან არის, აწ და მარადის უკუნისით, უკუნისამდე. ამინ.

# ცოცხალი აპლიკაციები

### ცხინვალიდან იმედით - ოსი მხატვრის თბილისური გამოფენა

ია ვეკუა

ეს ის შემთხვევაა, როდესაც ხელოვნება და პოლიტიკა ერთმანეთს კვეთს, თუმცა არ ნიშნავს, რომ ხელოვნება პოლიტიკისთვის იქმნება. სწორედ კულტურის პოლიტიკის ნაწილია გამოფენა, რომელიც უკვე იქცა მოვლენად, რადგან თავისი პირველი პერსონალური გამოფენა ოსმა მხატვარმა თბილისში გამართა. ამის გამო იგი, შესაძლოა, ვერასდროს დაბრუნდეს ცხინვალში, სადაც ცხოვრობს და ოჯახის წევრები ჰყავს. ტატიანა გოგინოვა-თიბილოვას გამოფენა სახელწოდებით "იმედის ყვავილობა" ქართულ-ოსურ კულტურულ ურთიერთობებს მიეძღვნა.

ტატიანა გოგინოვა-თიბილოვა არ იყენებს ხატვის ტრადიციულ ხერხებს და საკუთარ ფანტაზიას გამხმარი ბალახით აცოცხლებს. პრაქტიკულად, ეს არის ერთგვარი ჰერბარიუმი, რომელიც მხატვრის ხელითაა სრულყოფილი. მსგავსი არატრადიციული მასალით (ბუმბული, თევზის ფხა) დღეს ბევრი მხატვარი



ბუბა კიკაბიძე, რეზო ჩხეიძე და ტატიანა გოგინოვა-თიბილოვა.

ირაკლი ლომაძის ფოტო

მუშაობს, თუმცა ბალახით ხატვა ჯერ არავის უცდია. აღმოჩნდა, რომ ერთი შეხედვით ერთფეროვანი ბალახის ღეროები ფერთა თითქმის მთელ პალიტრას მოიცავს, თანაც ხანდახან სრულიად წარმოუდგენ-

ელ სპექტრსაც იძლევა(?). ამ შესაძლებლობას კარგად იყენებს ტატიანა გოგინოვა-თიბილოვა და თავის ცოცხალ აპლიკაციებს ერთფეროვნებისგან სრულიად ათავისუფლებს. მხატვარი, ძირითად-

ად, კონკრეტული ადამიანების პორტრეტებს ქმნის, თუმცა არცთუ იშვიათად თავისუფალ და ავანგარდულ თემასაც მიმართავს. აღმოჩნდა, რომ მისი მთავარი შემოქმედებითი მუზა ქართული ნაციონალური ბალეტის ანსამბლია. მას დიდი სიფრთხილით აქვს შესრულებული ნინო რამიშვილის პორტრეტი, რომელიც სრულად გადმოსცემს ამ ქალბატონის ხასიათს. აქვეა ანსამბლის მოცეკვავეთა საიუველირო სიზუსტით შექმნილი პორტრეტებიც: ნინო ტურაბელიძე, ეთერ გამსახურდია, თეა დარჩია და სხვები სცენაზე - ქართული ცეკვების შესრულებისას. ტატიანა გოგინოვა-თიბილოვა ხშირად ხატავს ცნობილი ქართველი ხელოვანების პორტრეტებს, თუმცა მას არც კოსტა ხეთაგუროვის სახის შექმნა დავიწყებია.

ტატიანა გოგინოვა-თიბილოვა ცხინვალში დაიბადა და დღემდე იქ ცხოვრობს. სამუსიკო და სამხატვრო სასწავლებლების დამთავრების შემდეგ ცხინვალის პიონერთა სასახლეში ხატვის წრეს ხელმძღვანელობდა. ქართულ-ოსური კონფლიქტის დაწყების შემდეგ ხატვა შეწყვიტა. მთელი 15 წლის განმავლობაში ერთი ნამუშევარიც არ შეუქმნია, მაგრამ საბოლოოდ მაინც დაუბრუნდა საყვარელ საქმიანობას. თუმცა ამჯერად საკუთარი შემოქმედებისთვის ბუნების ნაწილი - ბალახი აირჩია.

მხატვარი არ გამორიცხავს, რომ ამ გამოფენის შემდეგ ცხინვალში ადგილობრივი მთავრობისგან პრობლემები შეექმნება. სწორედ ამ ფაქტორის გამო აქამდე ვერ ბედავდა გამოფენის თბილისში მოწყობას. თუმცა, მისივე თქმით, მეტის მოცდა არ შეიძლებოდა და პირველი ნაბიჯი, თუნდაც რისკის ფასად, მაინც უნდა გადაედგა.

გალერეა "კოპალაში" გამართული გამოფენის ოფიციალური ორგანიზატორი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო იყო, თუმცა პირველი ვიოლინოს პარტიას გამოფენის დირექტორი გიორგი ოქრიაშვილი ასრულებდა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ გამოფენაზე საზოგადოების თითქმის ყველა სფეროს წარმომადგენლები მივიდნენ. მათი სასუბრო თემა კი ერთი იყო - ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარება.

# ახალი სახე და განსხვავებული ხმა

### თბილისელი ბარიტონი გერმანიაში

სოფო კილასონია

მასაც ჰკითხეს: არ გეშინია? უპასუხა, რომ არა და ასე შეიქმნა მისი დონ ჟოვანი, სახე, რომლითაც მასზე გაგონილი საქებარი და გამაოგნებელი შეფასებები ყველამ თვალნათლივ დაინახა. ფართო საზოგადოებისთვის მაშინ დაიბადა ნიკა ლაგვილავა, ახალგაზრდა, ემოციური, წარმატებული, ამბიციური და ვარსკვლავური მონაცემებით დაჯილდოებული მომღერალი. შესაძლოა, ზოგიერთი, განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენელი, მას ჯერ კიდევ მხოლოდ რევაზ ლაგვილავას შვილად აღიქვამს, ეს ალბათ დროის საკითხია, თუმცა ისიც შესაძლებელია, რომ მუდამ ასე დარჩეს. ახალგაზრდა მომღერალს ცნობილი მამის გვერდში დგომა მხოლოდ აძლიერებს. იმის მიუხედავად, რომ ნიკას მართლაც შთამბეჭდავი ვოკალური და არტისტული მონაცემები აქვს, მის ვოკალისტად ჩამოყალიბებაში მთავარი "დამნაშავე" მაინც მამაა – მისი ერთადერთი პედაგოგი და ერთგული მრჩეველი. რომ არა რევაზ ლაგვილავას პედაგოგიური ნიჭი, შესაძლებელი იქნებოდა ნიკა დრამის მსახიობად ანდა რიგით მოქალაქედ ქცეულიყო. რომ არა გამოცდილი მომღერლის ალღო, ნიკას შემოქმედებითი განვითარება ასეთი მყარი და პერსპექტიული არ გამოდგებოდა.

ახალგაზრდა ბარიტონმა თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე რამდენიმე სერიოზული პარტია უკვე განასახიერა. მათ შესახებ სხვადასხვა დროს ჩვენც დაგვიწერია. შესაძლოა, ისიც ხშირად თქმულა, რომ უკვე დღეს გამორჩეულ და გამოკვეთილ არტისტულ სახესთან გვაქვს საქმე, მომღერალთან, რომელსაც ნამდვილ-[illegible]

- რამდენიმე წლის წინ ბელგიური კონკურსის ჟიურის ყოფილმა დირიჟორმა მომისმინა და [illegible] მაგრამ [illegible] ვერ წავედი. ამის მიუხედავად, მათ ჩემთან კონტაქტი არ გაუწყვეტიათ. მათვე გამიწიეს რეკომენდაცია ფრანკფურტთან ახლოს არსებული ლაუბახის საგრაფოს მასტერკლასებსა და ფესტივალზე. ამაში ისიც დამეხმარა, რომ ევროკავშირის კულტურის ფონდის დიპლომატი ვარ. მოვხვდი ლაუბახში, სადაც მასტერკლასს ატარებდა გამოჩენილი გერმანელი მომღერალი ვერენა კელერი. ის იყო ფანტასტიკური მეცოსოპრანო, ვაგნერის ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი, გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი არტისტული მონაცემებით. ძალიან კარგი პედაგოგიცაა. სხვათა შორის, გამახარა იმან, რომ მამაჩემთან გავავლე პარალელები. სიმღერის მანერა და სკოლა ძალიან ჰგავს ერთმანეთს, რაც ხმის მართვაში, სუნთქვასა და კიდევ მრავალ დეტალში გამოიხატება. ვიმუშავე აღიარებულ დირიჟორებთან. იქ ხომ ძალიან მაღალი დონეა, მუშაობის სულ სხვა სტილი და რეჟიმი.

**- როგორ შეეჩვიეთ მათ განრიგს? ევროპაში ხომ პროფესიონალები სულ სხვაგვარად მუშაობენ, ვიდრე ჩვენთან?**

- ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ძალიან შრომისმოყვარე ვარ. მიჩვეული ვარ სპარტანულ შრომას, თუმცა, როცა დავინახე, რომ დილის ექვსი საათიდან დაღამებამდე მუშაობდნენ, მეც გამიკვირდა. მერე შევეჩვიე. როცა ხმა და სკოლა ხელს გიწყობს, ძნელი არაფერია. იქ იყვნენ მომღერლები სხვადასხვა ქვეყნიდან. მე ყველაზე ახალგაზრდა ვიყავი, თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია.

**- როგორი იყო ასეთი დაძაბული მუშაობის საბოლოო შედეგი?**

- სარეპეტიციო მუშაობა დასრულდა, წარმოდგენა კი ასეთი იყო: სხვადასხვა ოპერიდან არიები და დუეტები იყო შერჩეული და წარმოდგენილი ერთიანი სპექტაკლის სახით. გმირები ერთი ეპიზოდიდან გადადიოდნენ მეორეში, ეს კი რეჟისორის საშუალებით აზროვნების ძალიან საინტერესო იყო გადაწყვეტა. [illegible] მე სამი ნაწყვეტი მქონდა. ვიმღერე რიგოლეტოს და სპარაფუჩილეს დუეტი, ძალიან [illegible] და თანამედროვე გადაწყვეტით, ასევე სკარპიას არიოზო და დიდი სცენა "ტოსკას" მეორე აქტიდან, ბოლოს [illegible], რომლის სიმღერაც მომიწია ბისზე. ამ ყველაფრის შემდეგ ამ მასტერკლას-ფესტივალის ლაურეატი გავხდი.



ნიკა ლაგვილავა, სცენა სპექტაკლიდან "დონ ჟოვანი".

■ ■ ■

თუმცა, ყველაფერი ლაურეატობით არ დამთავრებულა. სკარპიას პარტიის ოსტატური შესრულებისა და, საერთოდ, მისთვის დამახასიათებელი არტისტიზმისთვის ჯერ დემონი უწოდეს, შემდეგ კი მისი მსგავსი მომღერლები მეტროპოლიტენ ოპერის თეატრის სცენას უსურვეს. მას შემდეგ, რაც ფრაუ კელერთან დონ ჟოვანის არია იმღერა, იგი გამოჩენილ იტალიელ ბანს და დონ ჟოვანის საუკეთესო შემსრულებელს ჩეზარე სიეპის შეადარეს. ოპერის გერმანელ მელომანებს ლაგვილავას ხმა ისე მოსწონებიათ, რომ პერსპექტივაში მისთვის ვაგნერის წარმატებული შესრულება უწინასწარმეტყველებიათ. ეს კი მათთვის საუკეთესო შეფასებაა. ალბათ ამიტომაც ახალგაზრდა ქართველი ბარიტონი გერმანული ენის გრამატიკის სირთულეებს შეეჭიდა და სამომავლოდ კარიერის გაგრძელებას იქ აპირებს.

- წასვლას აუცილებლად ვაპირებ. ჩემთვის საუკეთესო ვარიანტია გერმანული სკოლა, რადგან ისინი საბოლოოდ ვაგნერზე აკეთებენ აქცენტს. ვაგნერი კი მხოლოდ მაღალი დონის ოსტატების ხვედრია. ვაგნერს უნდა ყელი, სკოლა და [illegible] გამძლეობა. არ გამოვრიცხავ, რომ ის შემომთავაზონ ბას-ბარიტონის [illegible] პარტიები და კიდევ ბევრი საინტერესო [illegible].

გერმანიაში წასვლა [illegible], თუმცა მანამდე თბილისის ოპერის სცენაზე საზოგადოებას ნიკა ლაგვილავას მოსმენის შანსი არაერთხელ ექნება.

## 2005 წლის სახელმწიფო პრემიის ნომინანტები

**I. ლიტერატურის დარგში**

1. პოეტი დათო მაღრაძე - ლექსების კრებულისათვის "სალვე". გამომცემლობა შპს "საარი", 2004 წ. წარმოადგინა გამომცემლობა "საარმა".

2. პოეტი ლია რუსიაშვილი - ლექსების კრებულისათვის "ორეული". გამომცემლობა "ბაკმი", 2004 წ. წარმოადგინა გამომცემლობა "ბაკმმა".

**II. მუსიკის დარგში**

3. პიანისტი ლექსო თორაძე - 2003-2005 წლების საკონცერტო გამოსვლებისათვის. წარმოადგინა საქართველოს მუსიკალურმა საზოგადოებამ.

4. კომპოზიტორი გიორგი ჩლაიძე - ბოლო ორი წლის მანძილზე შექმნილი მუსიკალური ნაწარმოებებისათვის. წარმოადგინა საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითმა კავშირმა.

**III. სახვითი ხელოვნების დარგში**

5. მოქანდაკე გენო ზაქარაია - 2003-2005 წლებში შესრულებული სკულპტურული ნაწარმოებებისათვის (ელიზბარ ერისთავის ძეგლი გორში, ვახტანგ ბოჭორიშვილის ძეგლი თბილისში, ეროვნული ერთიანობისათვის მებრძოლთა მემორიალი გარდაბანში). წარმოადგინა საქართველოს სამუზეუმო-საგამოფენო გაერთიანება "სურათების ეროვნულმა გალერეამ".

**IV. თეატრის დარგში**

6. მსახიობები მედეა ჩახავა და თამარ სხირტლაძე - ლალიასა და ჩიტოს როლებისათვის (თბილისის სამეფო უბნის თეატრში განხორციელებული სპექტაკლი "აი აქ, ამ სავანეში"). თემურ ჩხეიძის სახელოსნო. ავტორი თამარ ბართაია, რეჟისორი მამუკა ტყემალაძე. წარმოადგინა საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ.

7. მსახიობი მურმან ჯინორია - 2004 წელს თეატრ "ვერიკის" სცენაზე განხორციელებულ საავტორო მონოსპექტაკლისათვის "[illegible]". წარმოადგინა თბილისის ერთი მსახიობის თეატრმა "ვერიკომ".

8. მსახიობი რამაზ იოსელიანი - გოგოლის "რევიზორში" ხლესტაკოვის როლისა და რ. ერისთავის ვოდევილში - "ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" - [illegible] როლის შესრულებისათვის. წარმოადგინა შიდა ქართლის შემოქმედთა კავშირმა "დელფიამ".

9. დამდგმელი რეჟისორი იოსებ ნემსაძე და მთავარი როლის შემსრულებელი პიერ ქადაგიშვილი - სპექტაკლისათვის "ვინ არის დამნაშავე". წარმოადგინა თბილისის სახელმწიფო მუნიციპალურმა თეატრმა "გლობუსმა".

**IV. კინოხელოვნების დარგში**

10. რეჟისორი ლევან ზაქარეიშვილი - ფილმისათვის "თბილისი, თბილისი". წარმოადგინა საქართველოს კინემატოგრაფიის კავშირმა.

11. კინომსახიობი გურამ ლორთქიფანიძე - ბოლო წლებში შესრულებული როლებისათვის (მთელი შემოქმედების გათვალისწინებით). წარმოადგინეს საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირმა და სააქციო საზოგადოება "ქართულმა ფილმმა".

12. რეჟისორი გენო ცაავა, დამდგმელი ოპერატორი მიხეილ მედნიკოვი და მთავარი როლის შემსრულებელი, მსახიობი მიხეილ გომიაშვილი - სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისათვის "6 და 7". წარმოადგინა კინოპროდიუსერთა ცენტრმა "კინო პლიუსმა".

**VI. პუბლიცისტიკის დარგში**

13. დავით წერედიანი - პოეტი, მთარგმნელი, ესეისტი - წიგნისათვის "ანარეკლი". გამომცემლობა "ნეკერი", 2005 წ. წარმოადგინა გამომცემლობა "მერანმა".

14. ნანული ჭავჭანიძე, კარლო ვაშაკიძე - ოთხტომეულისათვის "ქართველები რუსეთში" (რუსულ ენაზე). წარმომდგენი - "ქართველთა საზოგადოება რუსეთში".

15. ლევან ჭილაშვილი, თამაზ კანდელაკი, გიორგი წერეთელი - წიგნისათვის "ვენახი, ღვინო, ქართველები" (ქართულ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ ენებზე). გამომცემლობა "შეგა", 2004 წ. წარმოადგინა საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნულმა მუზეუმმა.

**თარგმანი**

16. ნათან ბაზოვი - წიგნისათვის "XX საუკუნის ქართული პოეზიის ანთოლოგია" (რუსულ ენაზე). წარმოადგინა შპს "მერანმა", რუსთაველის საზოგადოებამ, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითმა კავშირმა.


bp

# განცხადება ვაკანსიაზე, ელექტრო ტექნიკოსი

BP საქართველო იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირებს **სუფსის ტერმინალზე ელექტრო ტექნიკოსის** პოზიციის დასაკავებლად.

სამუშაო ადგილმდებარეობა: სუფსის ტერმინალი

**ფუნქციები და პასუხისმგებლობები**

კონკრეტული ფუნქციები მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

■ [illegible] ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის პრინციპების მიმართ.

■ მონაწილეობის მიიღებს ინციდენტებისა და უბედური შემთხვევების გამოძიებაში საჭიროებისამებრ, რათა უზრუნველყოს დადგენილი ქმედებების ზუსტი შესრულება.

■ იმუშავებს ექსპლუატაციის ჯგუფთან ერთად, რათა კოორდინაცია გაუწიოს ყველა დაგეგმილ ტექნიკური მომსახურების საქმიანობას.

■ უზრუნველყოფს მაღალი სტანდარტის უსაფრთხო და მიღებული ელექტრო ტექნიკური მომსახურების პრაქტიკის გამოყენებით, განახორციელოს პრევენციული ტექნიკური მომსახურების დავალებები, რაც ჩვეულებრივ გულისხმობს კონკრეტულ დისციპლინურ უნარ-ჩვევებს.

■ აჩვენებს სრული და ძირფესვიანი ცოდნა სამუშაოების წარმოების ნებართვის სის-ტემისა და ელექტრო იზოლაციის პროცედურებისა. დახმარება გაუწიოს ექსპლუატაციის ჯგუფს თითოეული სამუშაო დავალების ნებართვის პირობების განვითარებაში.

■ ჩანაწერების განხორციელება ტექნიკური მომსახურების Maximo სისტემაში, შესრულებულ სამუშაოზე ზუსტი და მნიშვნელოვანი ინფორმაციის უზრუნველყოფით.

■ განახორციელოს ხელმძღვანელის მითითებით საგანგებო მდგომარეობაში დაკისრებული ფუნქციები და მოვალეობები.

**განათლება და მუშაობის გამოცდილება**

■ სათანადო უნივერსიტეტის დიპლომი ტექნიკურ სფეროში (საინჟინრო).

■ 3 წლის მუშაობის გამოცდილება სამრეწველო ობიექტებზე, მაგალითად, ელექტრო და ხელსაწყოებთან მუშაობის.

■ ინგლისური ენის ცოდნა, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი და შემდგომი განვითარების სურვილი

■ მანქანის ტარების ცოდნა (სულ ცოტა B კატეგორია)

■ კომპიუტერის ცოდნა

■ პირადი უნარ-ჩვევების ადაპტაციის უნარი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ურთიერთობაში.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იმავე მისამართზე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა **22 ნოემბერი, სამშაბათი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

სატესტირებელის უზრუნველყოფა სუფსაში იქნება შერჩეული კანდიდატის პასუხისმგებლობა.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაიცნობს გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**სუფსის ტერმინალის ადმინისტრაცია**

სოფ. გრიგოლეთი,

ლანჩხუთის რაიონი

**ან**

**კადრების განყოფილება**

BP Explorations Caspian Sea Ltd.

საქართველო, თბილისი

საბურთალოს ქუჩა N38

*გამოსათხოვარი*

# დამშვიდობება დათო ჯავახიშვილთან



მეტად მტკივნეული და ძნელი ასატანი აღმოჩნდა ჩემი მეგობრის, შესანიშნავი ქართველი მწერლის დათო (დავით) ჯავახიშვილის გარდაცვალება. ჩემი მეგობარი-მეთქი ვამბობ, მაგრამ უფრო სწორი ვიქნები, თუ ჩვენს მეგობარს ვიტყვი. ეს ადამიანი მეგობრად იყო დაბადებული და დიდი სამეგობრო ჰყავდა. [illegible]

[illegible] ულ საუბრებში ხშირად გამოხატავდა იას დაკარგვით გამოწვეულ დარდს. ახლობლებისადმი ერთგულება მისი დომინანტური თვისება იყო. ხშირად ახლობლებზე ზრუნვის გამო განზე გადაუდვია შემოქმედებითი სამუშაო, ახლობლებზე ფიქრი და ზრუნვა თავისებურ, შეჭირვებულ და სევდიან ინტონაციას სძენდა მის იუმორს, რომლის გრძნობაც არასდროს არ ტოვებდა. მეგობრებიც ახლობლებად მიაჩნდა. ხანდახან, როცა დროებით გადაიკარგებოდა ხოლმე, დამირეკავდა და მეტყოდა: - არ გეგონოს, რომ დამავიწყდი. სულ მინდა შენთან მოსვლა და დროს ვერ ვპოულობ. და მე ვხვდებოდი, რომ რომელიმე ახლობელზე ან მეგობარზე ზრუნვით იყო დაკავებული. როცა მოდიოდა, როგორც წესი, რაიმე გემრიელი უთუოდ მოჰქონდა. მეც შემეძლო გამასპინძლება, მაგრამ რამე რომ არ მოეტანა, არ შეეძლო. შთაგონებით ახორციელებდა მეგობრებთან მისვლას. ეკონომიკურად უჭირდა, მაგრამ იმ მცირედს და ლაზათიანს მაინც ახერხებდა, რაც მყუდრო და ხალისიანი საუბრის პირობას ქმნიდა. მყუდრო მეგობრული ვითარების შექმნის დიდი ოსტატი იყო. დიდი ქეიფები ნაკლებად იზიდავდა. მეგობრების ვიწრო წრეში უყვარდა ჯდომა და საუბარი. მისი საუბრების მიხედვით გამოიცნობოდა ღრმად ადამიანური პიროვნება. განსაკუთრებით გამოიკვეთებოდა მისი ბუნებისადმი ტრფიალი. ჩანდა, რომ უყვარდა ბავშვები. ხშირად და მზრუნველობით ახსენებდა თავის შვილიშვილს – თინანოს. ასაკში როცა შევიდა, თავის განუყოფელ ჯიბის დანასთან ერთად პატარა მაგნიტს ატარებდა. სხვადასხვა ოჯახში სტუმრობის დროს ბავშვებს ფოკუსებს უჩვენებდა მაგნიტის საშუალებით. აშკარად გააჩნდა პედაგოგიური უნარი. მთებში მიჰყავდა ბავშვები ექსპედიციებზე. თავს ევლებოდა მათ. მის საუბრებში შესაგრძნობად გამოსჭვიოდა მისი ზნეობრივი კრიტერიუმი, რომლითაც ადამიანებს და მოვლენებს განიხილავდა. საბოლოოდ თან სუფთა და გულუბრყვილო, თან რთული პიროვნება იძერწებოდა მისი საუბრიდან და საქციელებიდან. სისუფთავე და თავმდაბლობა განსაკუთრებით მიმზიდველს ხდიდა დათოს. მშვენიერებისადმი ლტოლვა და ადამიანთმოყვარეობა იყო მისი შემოქმედებითი მუხტის მთავარი საწყისი. მწყობრი ქართულით მეტყველებდა. მისი კარგი ქართულით დაწერილი მოთხრობები სასიამოვნოდ იკითხება. წერის მანერა ხასიათდება მონოლოგური, ფიქრიანი, წყნარი საუბრის ინტონაციით. მისი ტექსტის სიცოცხლისეული ენერგია ფორმალური ეფექტებით არ არის განპირობებული, იგი მომდინარეობს დათოს ადამიანისადმი სიყვარულიდან, მისდამი თანაგრძნობიდან, მის ბედის ცვლილებებისადმი ინტერესებიდან. საღი კრიტიკული აზროვნება, ძლიერი თვითმყოფადი პოზიცია და ირონიული იუმორი ისევე ჩვეული და ბუნებრივი იყო დათოსთვის, როგორც სულიერი სიფაქიზე და ნატიფი ინტელიგენტიზმი. მაგრამ ამ წერილის მიზანს დათოს ლიტერატურული ნამუშევრების განხილვა არ წარმოადგენს. ამ წერილით ჩემი და დათოს სხვა მეგობრების სახელით ვემშვიდობები უძვირფასეს ადამიანს, უსაყვარლეს დათო ჯავახიშვილს.

*თემო ჯაფარიძე*

# სოციალურად დაუცველ ადამიანებს ეხმარებიან

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო USAID-მა, 1.25 მილიონი დოლარი გამოყო WFP-ს საქართველოში მიმდინარე სასურსათო ოპერაციისათვის, რაც წარმოქმნილი დეფიციტის შესავსებად მნიშვნელოვანია. **"შეერთებული შტატების მხარდაჭერას ჩვენი ოპერაციისათვის ყველაზე კრიტიკულ მომენტში ვიღებთ,"** - განაცხადა WFP-ს საქართველოს ოფისის დირექტორმა ინგე ბროერმა. მისივე ინფორმაციით, ეს დონაცია საშუალებას მისცემთ, სასიცოცხლო დახმარება 200 ათასზე მეტი სოციალურად დაუცველი ადამიანისათვის (მათ WFP უფასო სასადილოების მეშვეობით ეხმარება) განაგრძონ. **"ამერიკის შეერთებული შტატები WFP-ს მნიშვნელოვანი პარტნიორია საქართველოში მიმდინარე ჰუმანიტარული ოპერაციებისათვის. ამ დონაციით ჩვენ შევძლებთ, სურსათით დახმარების პროგრამები მომავალი წლის მარტამდე განვაგრძოთ,"** - აღნიშნა ინგე ბროერმა.

ამჟამად WFP ახორციელებს სურსათი-სამუშაოსათვის პროექტებს, რომლებშიც 170 000-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობს. პროექტების მიზანია ძირითადი სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის აღდგენა. **"სურსათი-სამუშაოსათვის პროექტები ხელს უწყობს სოფლის ღარიბ მოსახლეობას, გაზარდოს თავისი მიწის პროდუქტიულობა. ძალზე ამაღელვებელია, როდესაც ხედავ, თუ რამდენის მიღწევა შეიძლება შედარებით მცირე ინვესტირების პირობებშიც კი,"** - დასძინა ბროერმა.

WFP მსოფლიოს უდიდესი ჰუმანიტარული სააგენტოა, რომელიც ყოველწლიურად მსოფლიოს 80 ქვეყანაში საშუალოდ 90 მილიონ ადამიანს სურსათით ეხმარება, მათ შორის 56 მილიონი ბავშვია.

**24 საათი**

# "თბილგაზმა" ბუნებრივი აირის დამტაცებელი მსხვილი კომპანიები დაასახელა

უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში "თბილგაზის" მიერ გამოვლინდა მრავალი საწარმო და ორგანიზაცია, რომლებიც ათეულობით ათასი ლარის ბუნებრივ აირს იპარავენ. გაზის დატაცების ფაქტები აღმოჩენილია და, შესაბამისად, დაჯარიმებული არიან შემდეგი რესტორნები - "ამბასადორი", "მალიბუ", "პიკნიკი", "ტავერნა", "ალაზანი", "სარაჯიშვილი", "იმერეთი" და "მირაჟი". ჯარიმა დაეკისრა პურის 13 ქარხანას. დაჯარიმდნენ, აგრეთვე, ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორიცაა შპს "არაგვი", შპს "მტკვარი", "ბროკერ პეტროლი", კაზინო "ფლამინგო", საცურაო აუზი "დელფინი", მეფრინველეობის ფაბრიკა "თელეთი-21" და სხვა. ეს განცხადება გუშინ "თბილგაზში" გამართულ პრესკონფერენციაზე კომპანიის გაკოტრების მმართველმა გია გვიჩიანმა გააკეთა.

მისივე თქმით, სექტემბერსა და ოქტომბერში საწარმოებს ბიუჯეტის სასარგებლოდ 900 ათას ლარზე მეტის გადახდა დაეკისრათ. "ეს კომპანიები პრივილეგიებით ვერ ისარგებლებენ". საგანგაშოა, როცა პრესტიჟულ საწარმოებს გაზის ქურდობის არ ერიდებათ, - განაცხადა გვიჩიანმა. გუშინ კომპანია "თბილგაზმა" რესტორან "წისქვილში" ბუნებრივი აირის მოპარვის ფაქტი დააფიქსირა. გუშინვე ბუნებრივი აირი ჩაეჭრა ორ პრესტიჟულ რესტორანს - "კარიბჭესა" და "კოლხეთს", აგრეთვე, სასტუმრო "ძველ მეტეხს."

*24 საათი*

# მიხეილ სააკაშვილმა საწარმოები მოინახულა

გუშინ, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შიდა ქართლის რეგიონს ეწვია და აგარის შაქრის ქარხანა და ახლახან გახსნილი, აგარის ხილის გადამამუშავებელი საწარმო დაათვალიერა. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი სწორედ ამგვარი წარმოების განვითარება და მათი ხელშეწყობაა. ხილის გადამამუშავებელ საწარმოში 200-მდე ადამიანი დასაქმდა. საწარმომ უკვე შეძლო 70 ათასი გლეხისგან დაბალი ხარისხის ხილის მიღება, რომლის რეალიზაციასაც მოსახლეობა, პრაქტიკულად, ვერ ახერხებდა. საწარმო, რომელმაც 7 სახეობის პროდუქცია უნდა აწარმოოს, ამჟამად სრული დატვირთვით არ მუშაობს. მისი პროდუქცია ჯერჯერობით მხოლოდ ამიერკავკასიის ბაზარზე იყიდება. თუმცა, როგორც მეპატრონეები აცხადებენ, უახლოეს მომავალში ისინი საერთაშორისო ბაზარზე გასვლასაც შეძლებენ. მათივე თქმით, სრული დატვირთვის შემთხვევაში, ქარხანა მთლიანად მოუხსნის შიდა ქართლის მოსახლეობას დაბალხარისხიანი ხილის ჩაბარების პრობლემას.

გუშინ, მოსახლეობის მოლოდინის მიუხედავად, პრეზიდენტმა რეგიონი ისე დატოვა, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს არ შეხვედრია. **ინტერპრესნიუსი**

# ლეშეკ ბალცეროვიჩი კახა ბენდუქიძეს შეხვდა

პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ლეშეკ ბალცეროვიჩი, საქართველოში სამუშაო ვიზიტის დროს, სახელმწიფო მინისტრს რეფორმების კოორდინაციის საკითხებში კახა ბენდუქიძეს შეხვდა. შეხვედრას საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი გიორგი ღლონტი და საბჭოს მდივანი გურამ აბაშიძე დაესწრნენ. მხარეებმა ისაუბრეს საქართველოში ფისკალურსა და პრივატიზაციის სფეროებში მიმდინარე რეფორმებსა და სახელმწიფოს მცირე როლზე ეკონომიკის მართვის პროცესში.

სახელმწიფო მინისტრსა და პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტს შორის საბანკო თემატიკაზე საუბრისას პოზიციები გაიყო. კახა ბენდუქიძემ აღნიშნა, რომ საბანკო ზედამხედველობის სამსახური საქართველოს ეროვნულ ბანკს უნდა გამოეყოს, რასაც ლეშეკ ბალცეროვიჩი კატეგორიულად არ დაეთანხმა. პოლონელი სტუმრის განცხადებით, ეროვნული ბანკის სისტემაში საზედამხედველო სამსახურის არსებობა ქვეყნის ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობის მნიშვნელოვანი ელემენტია. მან ასევე აღნიშნა, რომ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ზედამხედველობის სამსახურები ცენტრალური ბანკების სისტემაში შედიან.

ბენდუქიძესთან შეხვედრის შემდეგ ლეშეკ ბალცეროვიჩი სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომლებსაც შეხვდა და მათ კითხვებს უპასუხა.

პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის სამუშაო ვიზიტი საქართველოში 19 ნოემბერს დასრულდება. **ინტერპრესნიუსი**

# რომან გოცირიძე მთავრობის გადაწყვეტილებას შეცდომას უწოდებს

საქართველოს მთავრობა გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) დეპოზიტების დაზღვევის სისტემის მხარდამჭერი კრედიტის აღებაზე უარს აცხადებს. მთავრობის ამ გადაწყვეტილებას საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ შეცდომა უწოდა. მისი თქმით, დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შექმნა ქართული საბანკო სისტემისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

**"გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო დაწესებულების, საქართველოს ეროვნული ბანკისა და პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ნაყოფიერი თანამშრომლობის შედეგად უკვე მომზადებულია კანონპროექტი დეპოზიტების დაზღვევის შესახებ. იგი აუცილებლად პარლამენტში წარდგენილი იქნება,"** - აღნიშნა რომან გოცირიძემ.

"დეპოზიტების დაზღვევის სისტემის დასაფინანსებლად გერმანულ მხარეს 2006 წლიდან 3,5 მილიონი ევროს ოდენობის დახმარების გამოყოფა ჰქონდა გათვალისწინებული.

პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ლეშეკ ბალცეროვიჩმა განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობაზე, როგორც საქართველოში ჯანსაღი ეკონომიკის ჩამოყალიბების ძირითად ფაქტორზე. ამ საკითხს მან ხაზი გაუსვა პარლამენტის თავმჯდომარესა და პრემიერ-მინისტრთან შეხვედრებისას. პოლონეთის ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ისაუბრა ასევე დეპოზიტების დაზღვევის მოქნილი სისტემის აუცილებლობის შესახებ. მისი თქმით, დეპოზიტების დაზღვევის მექანიზმის გარეშე ქვეყანა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ვერ გახდება. **ინტერპრესნიუსი**

# ნიკა გილაური "გაზპრომთან" მოლაპარაკებებს მომავალ კვირას განაახლებს

რუსეთიდან საქართველოსთვის მოწოდებული ბუნებრივი აირის ტარიფის საკითხთან დაკავშირებით, მოსკოვში მოლაპარაკებები მომავალ კვირას განახლდება. ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური მოსკოვში ჩასვლას 21-22 ნოემბერს გეგმავს და 2006 წლიდან საქართველოსთვის მოწოდებული ბუნებრივი აირის საფასურის და საქართველოს გავლით რუსული გაზის სომხეთში ტრანზიტის ტარიფის საკითხს განიხილავს.

მოლაპარაკებები "გაზპრომში" გაიმართება, რომლის დასრულების შემდეგაც ცნობილი გახდება, როდის და რა პირობებით გაფორმდება "გაზპრომთან" ახალი ხელშეკრულება.

მოსკოვში ვიზიტამდე, გილაური პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან ერთად ყაზახეთსაც ეწვევა, სადაც საქართველოსთვის ყაზახური გაზის მოწოდების საკითხებს განიხილავს. **ინტერპრესნიუსი**

# საქართველოში მყოფ ჩეჩენ ლტოლვილებს სამშობლოში დაბრუნება არ უნდათ

საქართველოში მყოფი ჩეჩენი ლტოლვილების სამშობლოში დაბრუნების საკითხები განიხილება რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს დელეგაციის ვიზიტისას, რომელიც საქართველოში გუშინ ჩამოვიდა.

როგორც პრაიმ-ნიუსს შს სამინისტროში აცნობეს, დელეგაცია ჩავა პანკისის ხეობაში და იქ მცხოვრებ ჩეჩენ ლტოლვილებს შეხვდება. შსს-ს წინასწარი მონაცემებით, სამშობლოში დაბრუნების სურვილი 70-მა ლტოლვილმა გამოთქვა. ამასთან, როგორც პრაიმ-ნიუსს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში უთხრეს, სამშობლოში დაბრუნების სურვილის შესახებ ჩეჩენი ლტოლვილების განცხადება მათთან არ შესულა. მათივე ინფორმაციით, ამჟამად სამინისტრო საქართველოში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილების აღრიცხვას აწარმოებს. სამინისტროს მონაცემთა ბაზაში ირიცხება 2 293 ჩეჩენი ლტოლვილი. **პრაიმ-ნიუსი**

# ლიცენზიები აუქციონზე

*ამიერიდან, ბუნებრივ რესურსებზე სარგებლობის ლიცენზიების გაცემა აუქციონის ფორმით მოხდება და დაინტერესებულ პირს რესურსის სარგებლობაში მისაღებად განსაზღვრული თანხის გადახდაც მოუწევს. ლიცენზიებისა და ნებართვების ახალი კანონის ამოქმედებამდე ლიცენზიების გაცემა კონკურსის ფორმით ხდებოდა, რაც, სამინისტროს მესვეურების აღიარებით, საკმაოდ გაუმჭვირვალე პროცესი იყო. ქვეყნის მთავარი გარემოსდამცველები იმაშიც გვარწმუნებენ, რომ ახალი კანონის ფარგლებში ბუნებრივი რესურსებიდან მილიონობით ლარის მიღება იქნება შესაძლებელი. ლიცენზიების და ნებართვების ახალი კანონის დეტალების გასარკვევად "24 საათი" ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტს დაუკავშირდა.*

დიანა ჩაჩუა

ლიცენზიების და ნებართვების ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ, ბუნებრივი რესურსით სარგებლობის ლიცენზიაზე პირველი აუქციონი დღეს გაიმართება, კერძოდ, სამინისტროში ხე-ტყის დამზადების ლიცენზია უნდა გაიცეს. ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის ცნობით, სამინისტრო აუქციონიდან დაახლოებით 200 ათას ლარს ელის. და ეს მაშინ, როცა, მათივე განცხადებით, ძველი კანონის პირობებში ამ პროცესიდან სახელმწიფოს არავითარი მოგება არ ჰქონდა. ანუ, ადრე სარგებლობის ლიცენზიას კონკურსში გამარჯვებული უფასოდ იღებდა.

**"ახალი კანონის მიღებამდე, ლიცენზიების გაცემა კონკურსის წესით ხდებოდა, რაც ძალიან გაუმჭვირვალე და ჩახლართული პროცესი იყო. ხშირად ეს პროცესი თვეების განმავლობაში ჭიანურდებოდა. ამასთან, აქედან სახელმწიფოსთვის ეკონომიკური ეფექტი ნული იყო,"** - აცხადებს ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი კვაშილავა.

როგორც დეპარტამენტის თავმჯდომარე აღნიშნავს, ლიცენზიებისა და ნებართვების ახალ კანონში სამი მომენტია აღსანიშნავი. ეს არის: ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების ხელშეწყობა, **"როცა ადამიანი რაღაცაში თანხას ჩადებს, ე.ი. ეს მას ულირს და შემდეგ გაუფრთხილდება კიდეც იმ რესურსს,"** - განმარტავს ირაკლი კვაშილავა. მეორე - სამინისტროში შეიქმნა გარემოსდაცვითი ინსპექცია, რომელიც დეპარტამენტის მიერ ლიცენზიის და ნებართვების მიმღებთათვის დაწესებულ პირობებს მკაცრად გააკონტროლებს. და მესამე - კანონის შემოქმედთა აზრით, ლიცენზიების აუქციონის წესით გაცემა გამჭვირვალე პროცესი იქნება. **"ლიცენზიის მიღების პროცესი დროში არ იქნება გაწელილი, როგორც ეს ადრე იყო. გამარჯვებული ლიცენზიას აუქციონის გამოცხადებიდან დაახლოებით ერთ თვეში მიიღებს,"** - დასძინა დეპარტამენტის თავმჯდომარემ.

ახალი კანონით, ცვლილებები ნებართვების გაცემის პროცედურასაც შეეხო. მაგალითად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ვალდებულია, რომ გარემოზე ზემოქმედების ნებართვა ოცი დღის ვადაში გასცეს. **"წინა კანონის მოქმედების დროს, ნებართვების გაცემის პროცედურა, ისევე როგორც ლიცენზიებისა, გაუმჭვირვალე და დროში გაწელილი იყო,"** - განუცხადა კვაშილავამ "24 საათს".

ხელისუფლებისთვის, რომლისთვისაც პრიორიტეტი ყველაფრიდან მაქსიმალური მოგების მიღებაა, ბუნებრივ რესურსებში ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა, წესით, აქტუალური უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ როგორც ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი კვაშილავა ამბობს, ამ პროცესიდან მილიონობით ლარის მიღება შეიძლება. **"რეალურად, საქართველოში ძალიან ბევრი რესურსია, რომლის ათვისების შემთხვევაშიც ჩვენ სერიოზულ ეკონომიკურ ეფექტს მივიღებთ. ქვეყანაში გვაქვს საბადოები, რომლის საწყისი სარგებლობის ფასი ათი და ოცი მილიონია,"** - აღნიშნავს კვაშილავა.

ახალ კანონში ლიცენზიების და ნებართვების გარკვეული ფორმები უქმდება. მათ შორისაა ლიცენზია გეოლოგიურ საქმიანობაზე და ხე-ტყის ექსპორტზე გატანის ნებართვა. ორივე მათგანი, ირაკლი კვაშილავას აზრით, ლიცენზიებისა და ნებართვების ერთ-ერთ იმ ფორმას წარმოადგენდა, რომლებიც ადამიანებს ხელს უშლიდა. **"გეოლოგიური საქმიანობის წამოწყებას ლიცენზიის მიღება არ სჭირდება. ეს იყო ლიცენზიების ერთ-ერთი ძალიან ცუდი ფორმა, რომელიც ადამიანებს რაიმე საქმიანობის წამოსაწყებად ბარიერს უქმნიდა. გამოდის, რომ ამ ლიცენზიის გაცემით, ჩვენ ადამიანების დიპლომს ვამოწმებდით,** - აღნიშნავს დეპარტამენტის ხელმძღვანელი. **- გაუქმდა ასევე ხე-ტყის ექსორტზე გატანის ნებართვაც. ამ ნებართვის ასაღებად ხალხს სხვადასხვა უწყებებში სირბილი უწევდა. ადამიანი რომ ლიცენზიას მიიღებს და ხე-ტყეს მოჭრის, მისი ექსპორტზე გასატანად არანაირი ნებართვის აღება აღარ უნდა სჭირდებოდეს."**

უახლოეს დღეებში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში მოქალაქეთა მისაღებიც გაიხსნება, სადაც დაინტერესებულ პირებს ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებით დეტალურ ინფორმაციას მიაწვდიან. ქვეყნის ბუნებრივი რესურსების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება სამინისტროს ინტერნეტ-საიტზეც. **"პერიოდულად, სამინისტროს საიტზე განვათავსებთ აუქციონზე გამოსატან ბუნებრივ რესურსებს, როგორც ეს სხვა სამინისტროებში ხდება,"** - განაცხადა ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი კვაშილავამ.

*ორი სიტყვით*

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის იმერეთის სამმართველოს თანამშრომლებმა გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ტყიბულის სერვისცენტრის ხუთი დისტრიბუტორი დააკავეს. როგორც ფინანსურ პოლიციაში განაცხადეს, დაკავებულებს ბრალად ედებათ მოქალაქეებისგან აკრეფილი თანხის მითვისება. მთლიანობაში თანხის ოდენობა სამი ათას ლარს შეადგენს. აღნიშნული დანაშაული კომპანიის კომერციული უსაფრთხოების სამსახურმა მოიძია და ფინანსურ პოლიციას შეატყობინა. სისხლის სამართლის საქმე "მითვისების" მუხლით აღიძრა. დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში, მათ 2-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცველებმა "თბილგაზის" ყოფილი ინკასატორი, 36 წლის ზაზა ჩხიკვაშვილი თაღლითობაში ამხილეს. როგორც შს სამინისტროში განაცხადეს, გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოში იამზე ჯამბურიძემ განაცხადა, რომ ნოემბრის თვეში დაუდგენელი პირი მას "თბილგაზის" ინკასატორად გაეცნო და, ბუნებრივი აირის მრიცხველის "თბილგაზში" აღრიცხვაზე აყვანის მიზნით, 70 ლარი გადაახდევინა.

გატარებული ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული პიროვნება "თბილგაზის" ყოფილი ინკასატორი ზაზა ჩხიკვაშვილი იყო და მან "თბილგაზის" აბონენტს 70 ლარი თაღლითური გზით გამოსძალა. გარდა ამისა, დადგინდა, რომ ჩხიკვაშვილმა, ანალოგიური საბაბით, 70 ლარი გამოსძალა დიდი ჯიხაიშის ქუჩაზე მცხოვრებ ნანა ბეგიაშვილს. ამ ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიებას გლდანი-ნაძალადევის რაიონის შს მე-9 განყოფილება აწარმოებს. **ინტერპრესნიუსი**



სტუმრად

მაია ქალაგანიძესთან

# ახლა რთული დროა, ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ

*ჯონ ფ. ტეფტს, აშშ-ს ელჩს საქართველოში, პროფესიონალი დიპლომატის ოცდაცამეტი წლის გამოცდილება აქვს. საქართველოში ჩამოსვლამდე იგი იყო სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე ევროპისა და ევრაზიის საკითხებში და კურირებდა აშშ-ს ურთიერთობას რუსეთთან, უკრაინასთან, ბელორუსთან და მოლდოვასთან. 2003-2004 წლებში ტეფტი იყო ეროვნული სამხედრო კოლეჯის მრჩეველი საერთაშორისო საკითხებში. 2000-2003 წლებში იგი იყო აშშ-ს ელჩი ლიტვაში, შემდეგ ელჩის მოადგილე მოსკოვში და ელჩის მოვალეობის შემსრულებელი. იგი ასევე მუშაობდა იერუსალიმში, ბუდაპეშტსა და რომში. ჯონ ტეფტს აქვს ბაკალავრის ხარისხი მარკეტის უნივერსიტეტიდან (მილუოკი, ვისკონსინი) და მაგისტრის ხარისხი ჯორჯტაუნის უნივერსიტეტიდან (ვაშინგტონი). სხვა ჯილდოებთან ერთად ტეფტს მიღებული აქვს სახელმწიფო დეპარტამენტის საპატიო ჯილდო და 1999 წლის საუკეთესო ელჩის მოადგილის ჯილდო მოსკოვში სამსახურისთვის. 2001 და 2005 წლებში მან მიიღო პრეზიდენტის ჯილდო წარჩინებული სამსახურისათვის.*

პირველი გვერდიდან

**ჯონ ტეფტი:** მე და ჩემი მეუღლე, მარიელა წარმოშობით ვისკონსინის შტატიდან ვართ, მედისონიდან. გვყავს ორი ქალიშვილი. 32 წლის კრისტინა იურისტია და ამჟამად ტაჯიკეთში წარმოადგენს ამერიკის იურისტთა ასოციაციას. მეორე ქალიშვილი, 28 წლის კეტლინი ვაშინგტონში არენა სტეიჯ თეატრის მენეჯერია.

ჩვენ უკვე 35 წელია, ცოლ-ქმარი ვართ და მთელი ჩემი დიპლომატიური კარიერის მანძილზე მეუღლე ყოველთვის თან მახლდა.

**მედელაინ ტეფტი:** პროფესიით ექთანი და ბიოსტატისტიკოსი ვარ. ჯორჯტაუნის უნივერსიტეტთან არსებულ ლომბვარდის კიბოს ცენტრში ვმუშაობდი და ამ დაავადებასთან ბრძოლაში ვეხმარებოდი.

**- როგორ მოგწონთ ქალბატონი მაილსის მიერ დატოვებული რეზიდენცია?**

- ძალიან მომწონს ჩვენი რეზიდენცია. მართალია, დიასახლისი ვარ, მაგრამ კურირებას ვუწევ ჩემი მეუღლის საშინაო ფუნქციებს – მიღებებს, წვეულებებს. ვხელმძღვანელობ რეზიდენციის თანამშრომლებს. ასე რომ, საკმაოდ ბევრი საქმე მაქვს.

**- საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვას არ აპირებთ?**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.00** (შვეიცარია), 02.430(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** სხვა ცხოვრება. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **10.30** ტელეტურიზმი. **11.05** გადაცემა: ოჯახის ფოტოები. **12.15** კლარა შელერი. ტელესერიალი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** გადაცემა: ფრანს ევროპ ექსპრესი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** ცხოვრება. მხ. ფილმი. რეჟისორი ელიზაბეტ რაპენო. 2005. **23.00** გადაცემა: სამიზნე. ახალი საუკეთესო რეპორტაჟები. **04.20** სახლი არხის პირას. მხ ფილმი. რეჟისორი ალენ ბერლინერი. 2002

### 1

**08.00** ქართ. მხ. ფილმი "ამბავი ივანე კოტორაშვილისა" **09.00** "მთავარი" **09.10** მხ. ფილმის გაგრძელება **10.00** სერიალი "ანასტასია" **11.00** დოკ. ფილმი "დროის თვალთვალი - მკვლელობა რომში" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფილმი "მედელაინი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მიწისძვრა ნიუ-იორკში" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.30** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.45** მულტსერიალი "მუმუზას კოვბოები" **16.15** სერიალი "მძიმე პერიოდი" **17.00** სერიალი "ადვოკატები" **18.00** "მთავარი" **18.15** ძიუდო - საქართვ. ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები **19.30** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და დანაშაული" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** სერიალი "ადვოკატები" **23.00** მხ. ფილმი "ვილა ორისთვის" (გ) **00.30** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა **09.00** ანიმ. ფილმი "ახალი ბრემენელი მუსიკოსები" **10.00** სერიალი "ჩენტო" **10.55** მზერა **11.05** რუსული სერიალი "ქვიშის თოკი" **11.55** მზერა **12.05** მხ. ფილმი "ქეთო და კოტე" **12.55** მზერა **13.05** მხ. ფილმი "ქეთო და კოტე" (გაგრძ.) **13.55, 14.55, 15.55** მზერა **14.05** მხ. ფილმი "ვირთხების რბოლა" **16.55** მზერა **17.05** სერიალი "გვერდიგვერდ" **17.35** ანიმ. ფილმი "მოხეტიალე თუთიყუშის დაბრუნება" **17.55** მზერა რეგიონებიდან **18.05** რუსული სერიალი "ქვიშის თოკი" **19.00, 19.30** "მზერა-ჰედლაინი" **19.05** სერიალი "ჩენტო" **20.00** მზერა- ვრცელი გამოშვება **20.50** ქართ. ფილმი "ვედრება" **22.30** სერიალი "ასა" **23.00** მხ. ფილმი "სამნი უნდა მოვიშოროთ" (18) (ალენ დელონი)

### მეორე არხი

**19.00** "ბაბილინა" **19.15** მულტსერიალი "ჩოგბურთის აკადემია" **19.40** მრწამსი **20.05** კინოსეანსი "მოლანდება"

### იმედი

**07.00** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **10.00** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **11.15** სერიალი "საბრალო ნასტია" **12.25, 16.15, 17.10, 03.00** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.25** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "27 დაკარგული კოცნა" (გ) **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 02.50** ქრონიკა **15.20** სერიალი "მოჯადოება" **16.40** დოკ. სერიალი "შეხვედრები წყალქვეშ" **17.30** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **19.05** სერიალი "მოჯადოება" **20.55** სერიალი "საბრალო ნასტია" **21.55** კონცერტი "ფიროსმანი" **23.45** მხ. ფილმი "თარგმანში დაკარგულნი" (გ) (ს. იოჰანსონი) **02.00** სერიალი "დრონგო"

### აჭარა

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** კომედია "საზღვაო თავგადასავალი" **10.30** დოკ. ფილმი **11.25** სათავგადასავლო ფილმი "ამერიკელი ბოროტმოქმედი" **13.00** ფანტასტიკა "ავტოსადგური" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** ბოევიკი "სნაიპერი-2" **16.20** მულტსერიალი **18.30** "ნოვოსტი" **19.00** "ჭიტა-ჭიტა" **20.00** "შესანიშნავი შვიდეული" **21.30** კომედია "საღამო იბიცაზე" **23.00** "ექსკლუზივი" **00.15** თრილერი "მეზავრი"

### ОРТ

**06.00**, **10.00**, **13.00**, **16.00**, **19.00**, **4.00** Новости. **06.05** Первая программа. **07.00** Доброе утро. **10.10** Сериал **"ПРИНЦЕССА И НИЩИЙ"**. **11.20** Сериал **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ"**. **12.30** Искатели. **13.20** Большой обед. **14.30** Мультфильм. **14.50** Док. фильм "Пагубная страсть слабого пола". **16.10** Лолита. Без комплексов. **17.00** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ"**. **18.00** Федеральный судья. **19.10** Кривое зеркало. **19.40** Сериал **"АДЪЮТАНТЫ ЛЮБВИ"**. **20.50** Человек и закон. **22.00** Время. **22.30** Сериал **"ПРИНЦЕССА И НИЩИЙ"**. **23.30** Док. фильм "Андрей Миронов его женщины". **00.40** Ночные новости. **01.00** Судите сами. **02.00** Брэд Питт в мистической мелодраме **"ЗНАКОМЬТЕСЬ, ДЖО БЛЭК"**. Уильям Пэрриш, безумно богатый и могущественный владелец корпорации средств массовой информации и любящий отец двух дочерей, приближается к своему 65-летнему рубежу. Однажды вечером он чувствует симптомы тяжелейшего сердечного приступа, а на утро его посещает таинственный незнакомец Джо Блэк. Ангел Смерти, вселившись в тело красавца Джо, решает лучше изучить мир живых...

### НТВ

**07.00** "Сегодня утром". **10.15** "Вопрос... еще вопрос". **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00**, **23.00**, **01.00** "Сегодня". **11.15** "Криминальная Россия". **11.50** "Принцип "Домино". **12.50** Сериал **"АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ"**. **14.25** "Для тебя". **15.25**, **20.40** Сериал **"БРИГАДА"**. **16.35**, **19.35** "Чрезвычайное происшествие". **17.20** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"**. **21.50** Сериал **"ВОЗВРАЩЕНИЕ МУХТАРА 2"**. **"ТАЛАНТЫ И ПОКЛОННИКИ"**. **23.40** Ток-шоу "К барьеру!" **01.20** Джим Кэрри в комедии **"ТУПОЙ И ЕЩЕ ТУПЕЕ"**. Неожиданно для них самих два бестолковых друга оказываются обладателями крупной суммы. А потом весь фильм пытаются вернуть деньги их владелице. Они не подозревают, что дамочка специально оставила их на вокзале, в качестве выкупа... **03.35** Бильярд. **04.20** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА 3"**. **05.10** Сериал **"КЛИЕНТ ВСЕГДА МЕРТВ 3"**. **06.10** Сериал **"КИН ЭДДИ"**.

## პარასკევი 25.11

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** მულტფილმი "ადამიანი-ობობა" **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** სერიალი "ბრძოლა ჩრდილთან" **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.10** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** "ჯეობარი" **15.25** მულტფილმი "ადამიანი-ობობა" **16.00** სერიალი "მეამბოხე სული" **17.05** სერიალი "მეამბოხე სული" **18.30** პატრული **19.30** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ღამის შოუ **23.00** "ჯეობარი" **00.00** მხ. ფილმი "ჯეინ ეარი" (18) (შარლოტა გინსბურგი) **02.20** პატრული **02.40** მხ. ფილმი "ექსპერიმენტი" (18)

### TV5

**08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.00** (შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** ბუდას ცხოვრება. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **12.15** ელუაზ რომეს გამოძიება. ტელესერიალი. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** გადაცემა: კულტურები და დამოკიდებულებები. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** დაქანცული ვარსკვლავი. მხ ფილმი. რეჟისორი მიშელ ბლანი. 1994. **24.30** ჟოილის შეხვედრები. მხ ფილმი. რეჟისორი პატრიკ პუბელი. 2001. **03.00** ალბერ მემი. დოკ. ფილმი. **04.20** გადაცემა: პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება.

### 1

**08.00** მხ. ფილმი "ვილა ორისთვის" (გ) **09.00** "მთავარი" **09.10** მხ. ფილმის გაგრძელება **10.00** სერიალი "ანასტასია" **11.00** დოკ. ფილმი "წინაპრები" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმ. ფილმი "მედელაინი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "რობინზონების ოჯახი" 1-ლი ს. **15.00** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** მულტსერიალი "მუმუზას კოვბოები" **16.00** სერიალი "მძიმე პერიოდი" **17.00** დოკ. ფილმი "ავაზები და ბოკვერები ლომების მიწაზე" **18.00** "მთავარი" **18.15** ძიუდო - საქართვ. ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები **19.30** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "ანასტასია" **22.00** მსოფლიო რაგბი **22.30** მუსიკა - პრინცი **23.30** მხ. ფილმი "ზანა" (გ) **01.00** საინფორმაციო გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა **09.00** ანიმ. ფილმი "ვინი პუხი" **09.30** სერიალი "ასა" **10.00** სერიალი "ჩენტო" **11.05** რუსული სერიალი "ქვიშის თოკი" **11.55, 12.55** მზერა **12.05** ქართ. ფილმი "ვედრება" **13.55, 14.55, 15.55** მზერა **14.05** მხ. ფილმი "სამნი უნდა მოვიშოროთ" **16.55** მზერა **17.05** სერიალი "გვერდიგვერდ" **17.35** ანიმ. ფილმი **17.55** მზერა რეგიონებიდან **18.00** რუსთა ველი - იგორ სავოლსკი **18.25** ტელემეტრი **19.00** "მზერა-ჰედლაინი" **19.05** სერიალი "ჩენტო" **20.00** "მზერა" **20.50** მხ. ფილმი "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" **22.30** სერიალი "ასა" **23.00** მხ. ფილმი "მშვიდობით ლენინ" (გ) (დანიელ ბრიული)

### მეორე არხი

**19.00** "ბაბილინა" **19.15** მულტსერიალი "ჩოგბურთის აკადემია" **19.40** სიცილის ოთახი **19.50** ქართული ფოლკლორი **20.00** აფხაზეთის ტელევიზია **20.40** სპექტაკლი "ქამუშაძის გაჭირვება"

### იმედი

**07.00** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **10.00** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **11.15** სერიალი "საბრალო ნასტია" **12.25, 16.15, 17.10, 03.20** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.45** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "თარგმანში დაკარგულნი" **15.00, 17.00, 19.00, 20.00, 23.00, 03.10** ქრონიკა **15.20** სერიალი "მოჯადოება" **16.40** დოკ. სერიალი "შეხვედრები წყალქვეშ" **17.30** ვაკაჭი-ნიუსი **18.05** სერიალი "ჩემი შეყვარებული" **19.05** სერიალი "მოჯადოება" **20.30** "რეაქცია" **22.30** "ათასიდან ერთი შანსი" **23.30** უცნობი საქართველო **00.05** მხ. ფილმი "კამა სუტრა - სიყვარულის ამბავი" (18) (ი. ვარმა) **02.20** სერიალი "დრონგო"

### აჭარა

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** კომედია "50 პირველი კოცნა" **10.40** ისტორიული ფილმი "მისიე ტ" **12.50** ფანტასტიკა "დაუმარცხებელი" **14.30, 17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **14.45** თრილერი "კინჯაიტი აკრძალული თემები" **16.30** მულტსერიალი **18.30** "ნოვოსტი" **19.10** "ხელხვავი" **20.00** "შესანიშნავი შვიდეული" **21.30** ინდური ფილმი **00.15** მხ. ფილმი "მონიკი"

### ОРТ

**06.00**, **10.00**, **13.00**, **16.00**, **19.00** Новости. **06.05** Первая программа. **07.00** Доброе утро. **10.10** Сериал **"ПРИНЦЕССА И НИЩИЙ"**. **11.20** Сериал **"АГЕНТ НАЦИОНАЛЬНОЙ БЕЗОПАСНОСТИ"**. **12.30** Искатели. **13.20** Большой обед. **14.30** Мультфильм. **14.50** Док. фильм "Надежда Аллилуева". **16.10** Лолита. Без комплексов. **17.00** Сериал **"ХОЗЯЙКА СУДЬБЫ"**. **18.00** Федеральный судья. **19.10** Кривое зеркало. **19.40** Сериал **"АДЪЮТАНТЫ ЛЮБВИ"**. **20.50** Поле чудес. **22.00** Время. **22.25** Алексей Кравченко в боевике **"МУЖСКОЙ СЕЗОН"**. Все не ладится у агента Вершинина... Над головой то и дело свистят пули, жена подсела на наркотики, с дочерью потерян общий язык. После срыва спецоперации на смену Вершинину прислали Суворовцева - человека непредсказуемого, с непроницаемым лицом и взглядом, затаившимся за стеклами очков. Кто подставил агента Вершинина? Кажется, главным героям не сработаться... Но им придется вместе противостоять всему миру. **00.40** Золотой граммофон. **01.50** Джозеф Энтони в комедии **"ЭЛВИС ВЫШЕЛ ИЗ ЗДАНИЯ"**. Дух "Короля рок-н-ролла" обретает новую плоть: то здесь, то там появляются загадочные двойники великого певца и также загадочно погибают... **03.30** Джон Стэмос в комедии **"КАК ЖЕНИТЬСЯ НА МИЛЛИАРДЕРШЕ"**. Трое молодых людей Том, Марк и Джейсон больше всего в жизни хотят разбогатеть. Причем быстро и сейчас. И вот во время Рождественских каникул, получив консультацию знающих людей, они разрабатывают гениальный план... **05.10** Сериал **"ПРИРОЖДЕННЫЕ ОХОТНИКИ"**. **06.00** Док. фильм "Гангстеры интернета".

### НТВ

**07.00** "Сегодня утром". **10.15** "Вопрос... еще вопрос". **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00**, **23.00** "Сегодня". **11.15** "Криминальная Россия". **11.50** "Принцип "Домино". **12.50** Сериал **"АГЕНТСТВО "ЗОЛОТАЯ ПУЛЯ"**. **14.25** "Для тебя". **15.25** Сериал **"БРИГАДА"**. **16.35**, **19.35** "Чрезвычайное происшествие". **17.20** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"**. **20.40**, **23.40** "Звезды на НТВ". **00.45** Анук Эме в мелодраме **"МУЖЧИНА И ЖЕНЩИНА"**. Каждый из них потерял своего супруга и остался один с ребенком. Их неудержимо тянет друг к другу, но они никак не могут решиться безрассудно отдаться во власть новой любви, и каждый из них, не переставая любить, мучает другого... **03.05** Бильярд. **03.45** "Кома: это правда". **04.15** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА 3"**. **05.05** Сэм Эллиотт в фильме **"ТЫ ЗНАЕШЬ МОЕ ИМЯ"**. Фильм основан на реальных приключениях Уильяма Мэттью Тилгмана, представителя закона на Диком Западе. Коррупция, насилие, беззаконие, произвол и пьянство царят в маленьком городке Кромвелл. Все население занято на нефтедобыче, а кто не занят нефтью - тот промышляет проституцией и грабежами...

## შაბათი 26.11

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.30** "ჯეტიქსი" **11.00** საბავშვო ფილმი **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** გაიღიმეთ ფარული კამერაა **12.50** მხ. ფილმი "ჩვენს შემდეგ" **15.20** მხ. ფილმი "სერიული მკვლელობები" (გ) **17.00** სერიალი "ანდრომედა" **18.20** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **19.20** მხ. ფილმი "საჰარა" (გ) (მ. კრუსი) **22.00** შაბათის ღამის შოუ **23.00** "ჯეობარი" **00.00** მხ. ფილმი "აკვანი დაირწევა" (18) **02.00** კურიერი

### TV5

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 03.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** ჩაი ან ყავა. საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **08.25** საბავშვო შემეცნებითი გადაცემა: ბიდუმ-ბიდუმ. **10.25** პლანეტის 7 დღე. **12.15** ჟოილის შეხვედრები. მხ ფილმი. რეჟისორი პატრიკ პუბელი. 2001. **13.55** გადაცემა: მარჯვე ხელები. **16.30** გადაცემა: ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი. **18.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** სამძებრო პოლიცია. ტელესერიალი. **22.55** რეგბი. საფრანგეთი-სამხრეთ აფრიკა. **24.50** კლარა შელერი. ტელესერიალი. **04.20** გადაცემა: ყველას თავს ვერ მოაწონებ.

### 1

**08.00** "მთავარი" **08.15** მომავლის ცირკი **08.55** ანიმ. ფილმი "ზღარბ სონიქის თავგადასავალი" **09.20** საბავშვო სერ. "მერი ქეითი და ეშლი ბრძოლაში" **09.45** საბ. სერიალი "სკოლის შემდეგ" **10.00** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **10.30** სერიალი "დინოტოპია" **11.30** დოკ. ფილმი "ჯანსაღი კვების სტილი" **12.00** "მთავარი" **12.20** სპექტაკლი "პროვინციული ამბავი" **14.20** დოკ. ფილმი **15.00** დოკ. ფილმი "მოგზაურის გიდი" (ლონდონი) **16.00** დოკ. ფილმი "ადგილები, რომლებიც უნდა გვახსოვდეს" **17.00** "ახალი პროექტი" - ეთნიკური უმცირესობები საქართველოში **18.00** "მთავარი" **18.10** მუსიკა - პრინცი. **19.00** სერიალი "სტუდენტები" **20.00** "მთავარი" -საინფ. პროგრამა **20.30** ბიოგრაფიული პორტრეტები -ლორა ბუში, კიმ ჩენ ირი. **21.30** ქართ. ფილმი "ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა" **23.10** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **23.40** მხ. ფილმი "ციდან ჩამოვარდნილი" (გ) 1-ლი ს. **01.10** საინფორმაციო გამოშვება

### მზე

**09.00** მუსიკა **09.30** ანიმაცია **10.30** ქართ. მულტფილმი **11.00** ტელემეტრი (გან.) **11.30** სერიალი "კარაბინერები" **12.30** მხ. ფილმი "მშვიდობით ლენინ" **14.00** მზერა **14.15** მხ. ფილმი "ნამდვილი სიყვარული" **17.00** ფეხბურთი. **19.00** ფეხბურთი. **19.45** მზერა **21.00** მხ. ფილმი "ვერცხლისფერი ქორი" (გ) (მიშელ იეო) **23.00** სერიალი "კარაბინერები" (ახალი სეზონი. 1-ლი ს.) **00.00** მხ. ფილმი "კრაზანას ბუდე" (15) (ა. ინფანტი)

### მეორე არხი

**19.00** ტელეზღაპარი **19.15** მულტსერიალი "ჩოგბურთის აკადემია" **19.40** კონცერტი **20.50** კინოსეანსი "ხაფანგი" 1-ლი ს.

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00** ქრონიკა **09.10** 12 პლუსი **10.30** უცხო სუნელი **11.00** ჩვენი ეზო **11.20** "რაორაო?" **11.30** "დილის ფოსტა" **12.20** "იმედითა შენითა" **12.40, 16.15, 01.00** ტვ-მარკეტი **13.20** მხ. ფილმი "მიაღწიე წარმატებას" (გ) (კ. დანსტი) **15.15** "დეკორაციო" **15.45** დოკ. სერიალი "წყალქვეშა ნავები" **16.30** უცნობი საქართველო **17.10** სერიალი "მოჯადოება" **18.00** "ეტალონი" **19.00, 20.00, 23.00, 03.30** ქრონიკა **19.05** სერიალი "მოჯადოება" **20.30** "ნაცნობი საქართველო" **21.00** სერიალი "საპონი" **22.00** "ალავერდი" **23.30** მხ. ფილმი "ფორმულა-51" (15) (ს. ჯეკსონი) **01.35** მხ. ფილმი "კაცი, როელიც არ იყო" (12) (ბ. ტორნტონი) **03.40** იმედის მელოდიები

### აჭარა

8.00 "შესანიშნავი შვიდეული" 8.30 "ახალი ამბები" 8.45 მულტფილმი **10.20** "ჭიტა-ჭიტა" **10.35** კომედია "მელინდა და მელინდა" **12.20** იუმორისტული ნოველები "ვიცინოთ ერთად" **12.40** ფანტასტიკა "სასიკვდილო გამოწვევა" **14.30** თეატრი **17.30, 20.30, 00.00** "ახალი ამბები" **17.50** ბოევიკი "რონინი" 20.00"შესანიშნავი შვიდეული" **21.00** "ფერისცვალება" **21.20** დრამა "ელაპარაკე მას" **00.15** თრილერი "ველური იღბალი"

### ОРТ

**07.00**, **11.00**, **13.00**, **19.00** Новости. **07.10** Шутка за шуткой. **07.30** Людмила Чурсина в мелодраме **"ЖУРАВУШКА"**. **09.00** Играй, гармонь любимая! **09.40** Слово пастыря. **10.00** Мультфильм. **11.10** Три окна. **11.50** Док. фильм "Цыганское счастье". **13.10** Здоровье. **14.00** Док. фильм "Лавина". **15.00** Н. Гундарева в мелодраме **"ВАС ОЖИДАЕТ ГРАЖДАНКА НИКАНОРОВА"**. **16.40** Алексей Кравченко в боевике **"МУЖСКОЙ СЕЗОН"**. **19.10** Ералаш. **19.40** Кто хочет стать миллионером? **20.40** Бисквит. **22.00** Время. **22.20** Умора - 2005. **00.10** "Что? Где? Когда?" **01.40** Сигурни Уивер в боевике **"КЛАД"**. Это захватывающая и трогательная история приключений весьма необычного юного героя по имени Стенли Элнатс. Ему очень не везет в жизни, ибо в древности его род был проклят, но Стенли даже представить себе не мог, что его отправят в лагерь "Зеленое озеро" и что его там ждет... **03.50** Дженифер Энистон в трагикомедии **"ОБЪЕКТ МОЕГО ВОСХИЩЕНИЯ"**. Джордж и Нина - прекрасная пара. У них масса общих интересов, они обожают танцы и живут вместе в очаровательной квартирке в Бруклине. Есть всего лишь две небольшие проблемки. Первая: Нина беременна и хочет, чтобы Джордж стал отцом ее ребенка. И вторая: Джордж - голубой. **05.50** Сериал **"ПРИРОЖДЕННЫЕ ОХОТНИКИ"**.

### НТВ

**06.55** Клара Лучко в мелодраме **"ЦЫГАН"**. **08.35** Сериал **"АЛЬФ"**. **09.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00** "Сегодня". **09.15** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА"**. **09.45** "Без рецепта". Доктор Бранд. **10.25** "Дикий мир". **11.15** "Главная дорога". **11.55** "Кулинарный поединок". **12.55** "Квартирный вопрос". **14.20** "Особо опасен!" **14.55** Нонна Мордюкова в драме **"МАМА"**. **17.15** "Женский взгляд" с О. Пушкиной. Р. Кадыров. **17.55** "Своя игра". **18.50** Сериал **"МАРШ ТУРЕЦКОГО"**. **20.30** "Профессия - репортер". **20.55** "Программа максимум". Скандалы. Интриги. Расследования. **21.50** Сериал **"АДВОКАТ"**. **"ЛЮБОВНЫЙ КВАДРАТ"**. **23.00** "Реальная политика". **23.40** Михаил Ульянов в драме **"ВОРОШИЛОВСКИЙ СТРЕЛОК"**. **01.55** "Мировой бокс. Ночь нокаутов". **02.40** Деннис Хоппер в мистическом фильме **"ОХОТА НА ВЕДЬМ"**. Голливуд 1953 года, когда магия была таким же обыденным явлением, как сейчас полеты в космос. Жена продюсера нанимает частного детектива, чтобы выяснить, нет ли у муженька любовницы. Вскоре продюсера убивают, и происходит это после того, как он объявил жене о том, что собирается с ней развестись и не будет снимать ее в кино. И частный детектив продолжает расследование уже за собственный счет, пытаясь выйти на след того, кто наложил порчу... **04.35** Дженифер Лопес в мелодраме **"СЕЛЕНА"**. Став певицей, Селена оправдала надежды семьи. Ее песни в стиле теджано (латиноамериканский музыкальный стиль) полюбила вся Америка. Со славой и признанием пришла настоящая любовь, но Селене не суждено стать счастливой...

## კვირა 27.11

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **09.00** კურიერი **09.20** "ჯეტიქსი" **11.00** საბავშვო ფილმი **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.20** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **12.50** მხ. ფილმი "ეკიპაჟი" **15.20** მხ. ფილმი "სამკაული სატრფოსთვის" **17.00** სერიალი "ანდრომედა" **18.20** დოკ. ფილმი (ბი-ბი-სი) **19.20** მხ. ფილმი "ნატვრის ხე" (გ) **22.00** ჯეოსელის ლატარეა **23.00** გაიღიმეთ ფარული კამერაა **00.00** დოკ. ფილმი "გახსნილია" **00.30** მხ. ფილმი "გრძნეული" (18) (მ. ჟაბროვსკი) **02.40** კურიერი **03.00** მხ. ფილმი "ინტიმური სცენები" (18).

### TV5

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00, 02.30** (შვეიცარია), **03.50** (აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** ჩაი, ყავა. საუბრები მრგვალი მაგიდის გარშემო. **08.25** ბიდუმ-ბიდუმ საბავშვო გადაცემა. 12.15ბუდას ცხოვრება. დოკ. ფილმი. **14.05** არტ რეპორტაჟი. **16.30** კლარა შელერი. ტელესერიალი. **19.05** გადაცემა: კიოსკი. **20.25** ევროპა 1-ისა და TV5-ის დიდი შეხვედრა. **21.15** გადაცემა: მხოლოდ კვირა დღეს. **23.00** საფრანგეთის საფეხბურთო ჩემპიონატი. I ლიგა. **03.00** გადაცემა: ყველა მასზე ლაპარაკობს.

### 1

**08.00** "მთავარი" **08.15** მომავლის ცირკი **08.55** ანიმ. ფილმი "ზღარბ სონიქის თავგადასავალი" **09.20** საბავშვო სერ. "მერი ქეითი და ეშლი ბრძოლაში" **09.45** საბ. სერიალი "სკოლის შემდეგ" **10.00** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **10.30** სერიალი "დინოტოპია" **11.30** დოკ. ფილმი "ჰოლივუდი და დანაშაული" **12.00** "მთავარი" **12.20** სპექტაკლი "კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" **13.40** ქართ. ფილმი "ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა" **15.00** დოკ. ფილმი "ბრძოლა არსებობისთვის" **16.00** დოკ. ფილმი "შანელი" მე-3-4 ნაწ. **17.00** "ახალი პროექტი" - "საქართველო და ევროპა", "პროფესია - ბალეტმეისტერი - გ. ალექსიძე" **18.00** "მთავარი" **18.10** მუსიკა - შუბერტის მე-5 სიმფონია. **19.00** სერიალი "სტუდენტები" **20.00** "მთავარი" **20.30** ბიოგრაფიული პორტრეტები - ბობ კენედი. **21.30** მხ. ფილმი "მეცხვარე ბიჭები" (გ) **23.10** დოკ. ფილმი "სიჩქარე" **23.40** მხ. ფილმი "ციდან ჩამოვარდნილი" (გ) მე-2 ს. **01.10** საინფორმაციო გამოშვება

### მზე

**09.00** მუსიკა **09.30** ანიმაცია **10.30** ქართ. მულტფილმი **11.00** რუსთა ველი - იგორ სავოლსკი. **11.30** სერიალი "კარაბინერები" **12.30** მხ. ფილმი "ვერცხლისფერი ქორი" **14.00** მზერა **14.15** კონცერტი **15.10** მხ. ფილმი "შემოდგომა ნიუ-იორკში" **17.15** საქართველოს ისტორია **17.50** ანიმ. ფილმი "ტომ სოიერი" **18.00** ცირკი და აკრობატები **19.45** "მზერა" **20.00** ფეხბურთი. **22.00** სერიალი "ასა" **23.00** სერიალი "კარაბინერები" (ახალი სეზონი. 1-ლი ს.) **00.00** მხ. ფილმი "კაიროს ლალი" (15) (ე. მაკდაუელი)

### მეორე არხი

**19.00** ტელეზღაპარი **19.15** დოკ. ფილმი "შეტყობინება მთავრობის სახელზე" **19.40** რაციო **20.45** კინოსეანსი "ხაფანგი" მე-2ს.

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00** ქრონიკა **09.10** ანიმ. ფილმი "ყურცქვიტა რეჟის თავგადასავალი" **09.50** "რაო, რაო?" **10.30** უცხო სუნელი **11.10** "წუთისოფელში" **11.40** "საკვირაო კოქტეილი" **12.40, 16.15, 00.20** ტვ-მარკეტი **13.20** "ჩვენი ექიმი" **14.00** "ალავერდი" **15.15** "ეტალონი" **15.25** დოკ. სერიალი "წყალქვეშა ნავები" **15.55** "მერიდიანი" **16.30** სპ. პროგრამა "ასი" **17.00, 19.00, 02.55** ქრონიკა **17.20** "პოლიციის აკადემია" **17.50** "არტ-ბულვარი" **18.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **19.30** ქართული მხ. ფილმი "დათა თუთაშხია" **21.00** დროება **22.30** მხ. ფილმი "ელვისი გავიდა შენობიდან" (12) (კ. ბესინჯერი) **00.55** მხ. ფილმი "არამზადას სიკვდილი" (გ) (ალენ დელონი) **03.05** იმედის მელოდიები

### აჭარა

**08.00** "შესანიშნავი შვიდეული" **08.30** "ახალი ამბები" **08.45** მულტსერიალი **10.30** "მოგზაური" **11.00** "ფეხბურთი 11 საათზე" **12.00** "დებატები" **13.00** დოკ. ფილმი **14.00** "გადარჩენილი სიტყვა" **14.45** "ფერისცვალება" **15.00** მხ. ფილმი "საქორწინო წვეულება" **16.45** "ექსკლუზივი" **17.30, 00.00** "ახალი ამბები" **17.50** თრილერი "ციხის თამაშები" **19.30** "შესანიშნავი შვიდეული" **20.00** იუმორისტული ნოველები "ვიცინოთ ერთად" **21.00** დოკ. ფილმი **22.00** "შესანიშნავი შვიდეული" **22.30** "მხოლოდ კინო" **22.45** კომედია "ისტვიქსელი ჯადოქრები"

### ОРТ

**07.00**, **11.00**, **13.00** Новости. **07.10** Шон Коннери в фильме **"РОБИН И МЭРИОН"**. **09.20** Служу Отчизне! **09.50**, **13.10** Мультфильм. **10.20** Умницы и умники. **11.10** Непутевые заметки. **11.30** Пока все дома. **12.20** Веселые картинки. **13.20** Живой мир. **14.30** Кумиры. **15.10** КВН-2005. **17.40** Большие гонки. **19.00** Времена. **20.10** Кривое зеркало. **20.40** Сердце Африки. **22.00** Время. **22.45** Джеки Чан в боевике **"СМОКИНГ"**. Незадачливый водитель такси Джимми Тонг неожиданно получает прекрасную работу. Джимми становится шофером у лощеного дэнди-миллионера Кларка Девлина. Новая "престижная" должность была тихой и спокойной до тех пор, пока "водила" не обнаружил, что его важный босс - шпион экстра-класса... **00.45** Ирина Пегова в мелодраме **"ПРОГУЛКА"**. Девушка и двое ее случайных спутников проходят пол-Петербурга, флиртуя, пикируясь и за полтора часа реального времени проживая любовную драму. Прогулка эта наполнена смехом и слезами, обыденной суетой улицы и какой-то почти зловещей тайной... **03.00** Питер Фальк в фильме **"ИЗ ЛЮБВИ К ИСКУССТВУ"**. Бывшие звезды Королевской Шекспировской труппы Николас Фреймер и Лилиан Стэнхоуп собираются триумфально вернуться на сцену в премьере "Макбета". Об этом публику извещают расклеенные по Лондону афиши. Супружеская пара хочет представить эту постановку своим проектом, но им очень мешает владелец театра сэр Роджер Хавершем... **04.50** Док. фильм "Право на ребенка".

### НТВ

**06.45** Клара Лучко в мелодраме **"ЦЫГАН"**. **08.10** "Сказки Баженова". **08.40** Мультфильм "БРЕМЕНСКИЕ МУЗЫКАНТЫ". **09.00**, **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00** "Сегодня". **09.15** Сериал **"ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА"**. **09.40** "Их нравы". **10.25** "Едим дома". **11.15**, **21.25** "Чрезвычайное происшествие". Обзор за неделю. **11.40** "Top Gear". **12.15** "Растительная жизнь". **13.10** "Цена удачи". **14.20** "Звездный бульвар". **15.00** В. Шиловский в криминальной драме **"ЛИНИЯ СМЕРТИ"**. **17.15** "Один день. Новая версия". **17.55** "Своя игра". **18.50** Сериал **"МАРШ ТУРЕЦКОГО"**. **20.55** "Чистосердечное признание". **21.50** Сериал **"АДВОКАТ"**. "Темная комната". **23.00** "Воскресный вечер". **00.20** Владимир Стеклов в комедии **"ВОРЫ И ПРОСТИТУТКИ"**. Женя Михайлов - сын итальянской революционерки и звезды Голливуда Тины Модотти, уехавшей некогда в СССР и разделившей свою постель с множеством высокопоставленных лиц. Когда-то Женя сделал фундаментальное открытие в области генетики. Однако его не поняли... **03.00** "Журнал Лиги чемпионов". **03.40** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА 3"**. **04.30** Элизабет Тейлор в фильме **"БАТТЕРФИЛД 8"**. Героиня фильма - высококлассная и высокооплачиваемая проститутка, вращающаяся в высших кругах, но приходящая к осознанию пустоты и бессмысленности своей жизни. Однажды она встречает мужчину, который кажется ей самим совершенством. Вот он, шанс навсегда покончить с жизнью содержанки, соединиться с человеком, которого любишь. Но ее избранник уже женат. И потом, действительно ли он Мистер Идеал?... **06.40** "Профессия - репортер".

*P.S. ფილმებთან არსებული ნიშნები (12), (15), (18) აღნიშნავს მათ კატეგორიას, რაც დადგენილია მავნე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კანონში.*




ყურადღება!
რესტორანი
„დაკარგული სამოთხე"
რუსთაველზე (კინოს სახლში) 12-დან 18 საათამდე გთავაზობთ სადილის მენიუს, სადაც ყოველი კერძის ფასი 3 ლარია. სამზარეულოში ყოველი 15 ლარის შეკვეთაზე მოგართმევენ 0,5 ლ ღვინოს (რქაწითელი) უფასოდ. გპირდებით კერძების ფართო არჩევანს და შესანიშნავ გარემოს.
ტელ. 999-207




FM ცნობი 98.0

# ლაშა და დღესასწაული

**ლაშა ბუღაძე:** დღეს ჩვენი სტუმრები არიან მუსიკოსები ნინო ქათამაძე და აჩიკო გულედანი. საუბრის თემა კი მოახლოებული 23 ნოემბრის დღესასწაულია.

**ნინო ქათამაძე:** ეს პომპეზურობა არ მიმაჩნია საჭიროდ. ეს არის ქვეყანა, სადაც თითოეული კაპიკი ძვირფასია, რადგან მოსახლეობის 80 პროცენტი შიმშილობს. თანაც არ მიმაჩნია, რომ რამეში გავიმარჯვეთ. როცა მართლაც გავიმარჯვებთ, მაშინ მთელი ერი გარეთ გამოვა და ერთად ვიზეიმებთ.

**ლაშა ბუღაძე:** ანუ მიგაჩნია, რომ ეს ზეიმი ხელოვნურია.

**ნინო ქათამაძე:** ასეთივე ყალბი იყო თბილისობაც. ამ დღეს ორკესტრი ფონოგრამაზე უკრავდა და ის ხალხი, ვისაც მართლა უყვარს ეს ქალაქი და ქვეყანა, შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე განსაზღვრული წესებით ამხიარულეს.

**ლაშა ბუღაძე:** აჩიკო, როგორ ფიქრობ, რამდენად საჭიროა ასეთი დღესასწაული? იქნებ ეს, მართლაც, საჭიროა იმისთვის, რომ ხალხს არ დაავიწყდეს?

**აჩიკო გულედანი:** რა დონეზეც უნდა აღვნიშნოთ ეს დღე, მაშინდელი 23 ნოემბერი აღარ განმეორდება და აქედან გამომდინარე, მუდამ ყალბი იქნება. აჯობებს ასეთი თარიღები 10 წლის შემდეგ აღვნიშნოთ, როცა გარკვეული შედარების საშუალებაც გვექნება - რა შეიცვალა ამ პერიოდში. ჩვენ ჯერ კიდევ იმ პროცესში ვართ, რომელიც იმ 23 ნოემბერს დაიწყო. ეს პროცესი ყველამ ერთად უნდა დავასრულოთ, ამისთვის კი არ არის აუცილებელი მუდმივ ზეიმებში ვიყოთ.

**ლაშა ბუღაძე:** იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს დღე საერთოდ არ უნდა აღინიშნებოდეს.

**ნინო ქათამაძე:** მის აღნიშვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს. ამ დღის გამართლება და ზეიმი ის უფრო იქნება, რომ გამართლდეს ის იდეები, რისთვისაც ნოემბრის მოვლენები მოხდა.

**აჩიკო გულედანი:** ცხადია, არ ვამბობთ, რომ ეს დღე უნდა დავივიწყოთ. მაგალითად, კარგი იქნებოდა, რომ ტელევიზიით მაშინდელი მოვლენების ამსახველი დოკუმენტური ფილმი გასულიყო, ან გამოეცათ ფოტოალბომი. ვფიქრობ, ძეგლების დადგმასა და კონცერტებს ეს სჯობია.

**ნინო ქათამაძე:** უფრო უპრიანი იქნებოდა, რომ ამ დღესასწაულისთვის გამოყოფილი თანხა (დარწმუნებული ვარ, მილიონებზეა საუბარი) რომელიმე რეგიონს მოხმარდეს, ან აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტისთვის გამოიყენონ. მაგალითად, ჩვენ 24 ნოემბერს საქველმოქმედო კონცერტს ვატარებთ ფილარმონიაში. ხომ შეიძლება ხელისუფლებაც ასე მოიქცეს. დარწმუნებული ვარ, ამ მილიონებით ათასობით ადამიანს დავეხმარებით.

**აჩიკო გულედანი:** მოდით, ამ დღეს ქველმოქმედების დღე დავარქვათ. ვთქვათ, დევიზით "რევოლუცია ეხმარება წყალდიდობით დაზარალებულებს". მაშინ ეს კონცერტებიც გამართლებული იქნება და უფრო ხალისიანადაც ვიზეიმებთ. ასეთ კონცერტებში ისეთივე სიამოვნებით მივიღებთ მონაწილეობას, როგორც 2003 წლის წვიმიან დღეებში.

**ლაშა ბუღაძე:** სატელეფონო ხაზზეა მაია ნადირაძე.

**მაია ნადირაძე:** არც ისეა საქმე, როგორც თქვენს ეთერში საუბრობთ. ჯანდაცვის სამინისტროს ღარიბების საკითხის მოსაგვარებლად წელს 750 მილიონი ლარი აქვს გამოყოფილი. ამ ადამიანებს კი ჯანმრთელობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების გარდა ადამიანური დამოკიდებულება და მხიარულებაც სჭირდებათ. თქვენ, ამ სტუდიის სტუმრები და მასპინძელიც, ელიტარული ადამიანები ხართ და გაქვთ გარკვეული გართობისა და განტვირთვის საშუალება. დანარჩენ ხალხს კი დღესასწაული სჭირდება. რაც შეეხება მის პომპეზურობას, იმ 23 ნოემბრის შემდეგ ძალიან ბევრი რამ შეიცვალა უკეთესობისკენ. თანაც ეს დღე სხვა ქვეყნებისთვისაც ცვლილებების მომტანი იყო და ეს მათი დღესასწაულიცაა. ის რომ, ამ დღეს უამრავ სტუმარს სურს ჩვენთან ჩამოსვლა, ძალიან მნიშვნელოვანია. დღეს ჩვენი ქვეყანა მოდაშია, ამ პერიოდით უნდა ვისარგებლოთ და ჩვენი სათქმელი ყველას ვუთხრათ.

**ლაშა ბუღაძე:** სტუმრები ჩვენს ქვეყანას არასდროს აკლდა. აქ, უბრალოდ, საუბარია ზეიმის ფორმაზე. მაგალითად, რა სჭიროა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილის გადმოსვენებას ასეთი საზეიმო განწყობა მივანიჭოთ? უბრალოდ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ძალიან ბევრს ვზეიმობთ.

**მაია ნადირაძე:** ნუ იფიქრებთ, თითქოს ეს თარიღი თქვენი აღარ არის და იგი მხოლოდ ხელისუფლებას ეკუთვნის. რაც შეეხება ქაქუცა ჩოლოყაშილის გადმოსვენებას, ეს ფაქტი მისი ნეშტის გადმოსვენებაზე მეტი მნიშვნელობის მატარებელია. ცხადია, ჩვენც გვაქვს შეცდომები, მაგრამ არ მგონია რომ სახლების შეღებვა და ძეგლების გადატანა რაიმე სტრატეგიული მნიშვნელობის შეცდომებია. ამ მხრივ კი ყველაფერი კარგად გვაქვს. დაიმახსოვრეთ, რომ ამ დღესასწაულისთვის ხალხის კუთვნილი ერთი თეთრიც არ იხარჯება.

**ნინო ქათამაძე:** არა მგონია, რომ ჩვენი ემოცია ზედმეტია, რადგან ქალბატონ მაიასგან და ხელისუფლების სხვა წევრებისგან განსხვავებით, უბრალო და გაჭირვებულ ხალხთან ურთიერთობა ჩვენ უფრო ხშირად გვაქვს და კარგად ვიცით, ვის რა აწუხებს.

**აჩიკო გულედანი:** თანაც თუ ამ დღესასწაულებით ქვეყნის პრომოუშენზეა საუბარი, მაშინ ჯობს ეს უკეთესად გააკეთონ და არა მომაბეზრებელი კონცერტებით და ტაშფანდურით.

**მსმენელი:** ეს ქვეყანა მოდაში ყოველთვის იქნება - არა აქვს მნიშვნელობა, იქნება თუ არა ეს ხელისუფლება.

CSL
კავკასიის სამართლის სკოლა
CAUCASUS SCHOOL OF LAW

# ოსტატი და შეგირდი

სოფო კილასონია

14 ნოემბერს გოგი ალექსიძის დაბადების დღე იყო. იგი დღეს პეტერბურგში მოღვაწეობს, ვაგანოვას სახელობის აკადემიაში ქორეოგრაფიის ფაკულტეტს ხელმძღვანელობს, ასევე "გიტისის" პროფესორია, სადაც საბალეტმეისტერო ფაკულტეტზე ლექციებს კითხულობს, ახლახანს კი იაკობსონის სახელობის საბალეტო დასის მთავარ ბალეტმეისტერად მიიწვიეს. მისი დაბადების დღე პეტერბურგის კონსერვატორიამ განსაკუთრებულად აღნიშნა: საღამოზე მუსიკათმცოდნე ერა ბაუჩევას მიერ მასზე შექმნილი წიგნის პრეზენტაცია გამართულა. გამოჩენილი ქორეოგრაფის დღეობა თბილისშიც აღინიშნა. კონკრეტულად კი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში. თუმცა ამ ღონისძიების ავტორი არა აღნიშნული დაწესებულება, არამედ ბატონი გოგის მოსწავლე, ახალგაზრდა და დამწყები ქორეოგრაფი, ირაკლი შენგელია გახლდათ.

სამინისტროს საკონცერტო დარბაზში ვიდეო-ბალეტის ჩვენება მოეწყო. ირაკლი შენგელია ფილმის გადაღებას მაშინ შეუდგა, როცა კულტურის სამინისტროს ტენდერებში მისმა პროექტმა გაიმარჯვა და იდეა დაფინანსდა. შემდეგ, როგორც თავად ამბობს, არაჩვეულებრივი გადამღები ჯგუფი შეკრიბა და ის საქმე წამოიწყო, რომლისაც, ჯერ ბოლომდე ვერშემდგარ ქორეოგრაფს, არც არაფერი ესმოდა. ინტუიციით და სურვილით ფილმი გამოვიდა, სახელად "ოსტატი და შეგირდი" დაერქვა და მოწონებაც დაიმსახურა.

ირაკლი შენგელია იმ ერთადერთი ჯგუფის წევრია, რომელმაც საბალეტო რეჟისურის მიმართულებით თბილისში პროფესიონალური განათლება მიიღო. იგი ერთადერთია ამ ეტაპზე, ვინც საკუთარი პედაგოგის, გოგი ალექსიძის გამოცდილება, ცოდნა და პედაგოგიური ნიჭი მეტნაკლებად გაიზიარა და საკუთარ პროფესიად აქცია. დიდი ხნის მანძილზე ველოდით, როდის წარმოგვიდგენდა ეს ადამიანი საკუთარ მიღწევებს და ქორეოგრაფიულ ნაწარმოებებს, მაგრამ იგი არ ჩქარობდა. თანაც, როგორც გავიგე, ახალგაზრდა ქორეოგრაფს აქტიური მუშაობის საშუალება არ ეძლევა, შესაძლოა სწორედ ამიტომაც, მისი და მაყურებლის პირველი პაემანი არა სცენასთან, არამედ ეკრანთან შედგა. თვითნასწავლი რეჟისორისა და ალექსიძის შეგირდის პირველ ვიდეო-ფილმში ორი საბალეტო ნომერი გაერთიანდა. გოგი ალექსიძის "ტანგო" გია ყანჩელის მუსიკაზე და თავად ირაკლი შენგელიას "ზიგზაგი", არვო პიარტის მუსიკაზე. ჩვენება სავსე დარბაზში გაიმართა, დამსწრე საზოგადოება ბუნებრივია, რომ მხოლოდ ხელოვანები და განსაკუთრებით ბალეტომანები გახლდათ. ალექსიძის "ტანგოს" მაყურებელი კარგად იცნობდა, ვიდეო ვარიანტში მას ლალი კანდელაკი და მიშა მენაბდე ასრულებდნენ. რაც შეეხება "ზიგზაგს" მას თავად ავტორი და კიდევ ერთი არაპროფესიონალი მოცეკვავე ქალბატონი, უწინ ტანმოვარჯიშე ანა ალექსიშვილი ასრულებდნენ. როგორც თავად ირაკლიმ მითხრა, "ზიგზაგი" მისი ბოლო ნამუშევარი ყოფილა, ბოლო, მაგრამ მაინც პირველი, რომელიც ფართო საზოგადოებას გაუმხილა: "ეს არის პირველი დადგმა, რომელიც მე შევთავაზე ჩემს მაყურებელს. ჩავთვალე რომ ამის დრო დადგა. ძალიან გამიმართლა, რომ შევკრიბე არაჩვეულებრივი გადამღები ჯგუფი, მოცეკვავეებიც მხარში ამომიდგნენ. ერთადერთი, ვინც არ იცოდა თავისი საქმე ამ ფილმთან დაკავშირებით, ვიყავი მე. ეს ჩემი დებიუტია, როგორც ვიდეო რეჟისორისა. მე არასდროს მისწავლია ამის კეთება... მე დიდი სიამაყით გადავიღე გოგი ალექსიძის ცნობილი "ტანგო", რომელშიც მიშა მენაბდე და ლალი კანდელაკი მონაწილეობენ, ლალი ერთადერთი ბალერიანაა, რომელმაც საქართველოში ოქროს მედალი ჩამოიტანა, ის ძალიან დიდი მოცეკვავეა. "ზიგზაგში" ჩემთან ერთად ანა ალექსიშვილი ცეკვავს, არც კი ვიცი ზუსტად სად ვიპოვე ეს ადამიანი. ტანმოვარჯიშეა, საქართველოს სამგზის ჩემპიონი. არანაირი შეხება აქამდე ცეკვასთან არ ჰქონია. ახლა თეატრალურ უნივერსიტეტში სწავლობს. ეს დადგმა სწორედ მისთვის გავაკეთე, მრავალი ნაწარმოები მოვისმინე, მაგრამ მას ყველაზე მეტად ეს მოუხდა... ვგეგმავ ბევრს, იმედი მაქვს, რომ დასის სოლისტებთანაც ვიმუშავებ, ყოველთვის იმისთვის ვემზადებოდი, რომ საბოლოოდ პროფესიონალებთან უკეთ ვიმუშავო. სიმბოლურია ყანჩელის და პიარტის მუსიკის შეხვედრა ფილმში, ისინი ერთი პერიოდის მუსიკოსები, თანამოაზრეები და მეგობრები არიან. დღეს პირველ რიგში ვიზეიმეთ არა ჩემი დებიუტი, არამედ გოგი ალექსიძის დაბადების დღე. ჩვენ, მისმა მოსწავლეებმა ამ ფილმით ჩვენი მოკრძალებული საჩუქარი გავუკეთეთ."


"ზიგზაგის" რეპეტიცია. ირაკლი შენგელია და ანა ალექსიშვილი.

ფილმის ჩვენება მილოცვებით და საუკეთესო სურვილების გაცვლა-გამოცვლით დასრულდა, თუმცა მანამდე იყო ყველაზე მთავარი. "შეგირდის" სიტყვები, რომლითაც ის გაჟღერდა, რასაც მრავალი იქ მისული ადამიანი ფიქრობდა. ქართული ბალეტი დღეს და გუშინ არ დაწყებულა. იყო პერინი, ჯავრიშვილი და იყო ჭაბუკიანი. მათმა არსებობამ შექმნა, ალბათ, ალექსიძეც, როგორც მოვლენა არა მხოლოდ ქართულ ბალეტში, არამედ ზოგადად. ალექსიძე თავისი ესთეტიკით, მკაფიო ხელწერით, დიდი ნიჭით, ხელოვნებისთვის არის დაბადებული და არა-ჩამოყალიბებული. სულ ერთია გვესმის თუ არა ეს, გვინდა თუ არა დავინახოთ, ხელოვნება და მით უფრო სასცენო, ყოველთვის აშკარად ავლენს პერსონებს და ადრე თუ გვიან ყველაფერს ჩვენც კი თავის სახელს დავარქმევთ.

**მიშა მენაბდე**: ძალიან კარგად ვიცნობ გოგი ალექსიძის ქორეოგრაფიას, ტანგო თავდაპირველად ჩემზე არ დადგმულა, მაგრამ იყო შემთხვევები, როცა ბალეტებს ჩემზეც დგამდა. მაგალითისთვის "დიპლიპიტო", "ფსალმუნი". ყველაზე მკვეთრად, რასაც ვხედავ მის ხელოვნებაში, სხვა მრავალთან ერთად არის ძალიან მკაფიოდ დასანახი ქართული სული. არ აქვს მნიშვნელობა რას დგამს. მისი დადგმები ძალიან ღრმაა, ძალიან ფილოსოფიური. მასთან მუშაობა ნებისმიერ დასს წაადგება, იმედი მაქვს, მოვა დრო, როცა ჩვენთან ისევ იმუშავებს. გოგი ალექსიძის სტილი და ესთეტიკა პლასტიკაში არა მხოლოდ მის მოსწავლეებს მონატრებია:

**გოგი ჭიჭინაძე**: იმდენად საოცარი განწყობით მივდივარ, რომ რითი დავიწყო არ ვიცი. იმის მიუხედავად, რომ ირაკლის კარგად ვიცნობ, როგორც საოპერო სპექტაკლების ქორეოგრაფს და საბალეტო დასის მოცეკვავეს. იმდენად ვერ წარმომედგინა, რომ იგი ასეთი ტრაგიკული ძაბვისა იყო, რომ ამდენი რაღაც უდევს გულში. სიმართლე უნდა ვთქვა, ახლა შოკში ვარ. საკმარისად მრავალფეროვანია ირაკლის ქორეოგრაფია, საოცრად სუბიექტურია, ძალიან დრამატული. ყველაფერი იყო არაჩვეულებრივი განწყობით გაკეთებული. ვთვლი, რომ აქ იყო პატარა ტრიუმფი. ჯერ ერთი, აქ ალექსიძისეული არაჩვეულებრივი ატმოსფერო დატრიალდა. ბატონი გოგის პირველი ეპიზოდი იყო უმშვენიერესი. იგი საერთოდ ხომ ჩვენი სიამაყეა, როგორც ქორეოგრაფი, ხელოვანი და შემოქმედი და როგორც პერსონა. სამწუხაროდ, ჩვენთან გოიმი უნდა იყო, რომ იყო ვარსკვლავი, და ასეთ დახვეწილი ადამიანს როგორიც ალექსიძეა, მას ჯერჯერობით აქ ვერ ხედავენ. აუცილებელია შედიოდე კაბინეტებში, ერთ ამბავში იყო, ითხოვდე რაღაცეებს, პიარი უნდა გაიკეთო, უნამუსობები უნდა ჩაიდინო, შეკვეთით საზიზღრობები თქვა, ეს ყველაფერი აუცილებელია ჩვენთან, რომ დაგინახონ და გახდე ვარსკვლავი. მოკლედ, მიღებული ადამიანი. ეს ფაქტია, სამწუხაროდ. ჩვენ ვართ პროვინციალები პროვინციაში. ჯერჯერობით ასეა, როცა ასე აღარ იქნება, თვითონ მივხვდებით. მაგრამ ის, რომ დღეს აქ ბატონი გოგის ესთეტიკა ტრიალებს, ეს არის მთავარი და ყველაზე არაჩვეულებრივი.

ირაკლი შენგელიას პირველი ნაბიჯი პროფესიონალმა მაყურებელმა დადებითად შეაფასა. ახლა მთავარია, იმუშაოს, რაც შეიძლება ბევრი და სცენაზე გაიტანოს საკუთარი ოპუსები. სცენა ქორეოგრაფს ხომ ყველაზე კარგად ავლებს და აყალიბებს. ამ ეტაპზე შენგელია ჩვენი თეატრის საბალეტო დასის წევრია. თუმცა როგორ თავად მითხრა, იგი საოპერო დასში გადანაცვლებას გეგმავს, უკვე ქორეოგრაფის სტატუსით. ამ შემთხვევაში მას მეტი დრო დაშრჩება, რათა როგორც რეჟისორმა იმუშაოს.